

ბეჟა ჭიჭინაძე

საქართველოს ხუთჯვრიანი
დროშის წარმომავლობა
და
ქართულ-ჯვაროსნული
ურთიერთობები



თბილისი, 2022

დაიბეჭდა და აიკინძა შპს „უნივერსალში“, 2022.

ტირაჟი 250

ISBN 978-9941-33-347-7

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო აგრძელებს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების ისტორიული საფუძვლების მოძიებას, შესწავლასა და გამოქვეყნებას. ამჯერად გთავაზობთ ისტორიკოს ბექა ჭიჭინაძის ნაშრომს „საქართველოს ხუთჯვრიანი დროშის წარმომავლობა და ქართულ-ჯვაროსნული ურთიერთობები“. ავტორი იკვლევს შუა საუკუნეების საკითხებს დასავლეთ ევროპული წყაროების მიხედვით, რომლებიც ნაკლებად არის ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისთვის.

წარმოდგენილი ნაშრომი დამატებით უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვანჯდის საქართველოს სახელმწიფო დროშისა და საქართველოს სახელმწიფო გერბის მთავარი ფიგურის – წმინდა გიორგის შესახებ. როგორ უკავშირდებოდა შუა საუკუნეებში ხუთჯვრიანი დროშა და წმინდა გიორგი ქრისტიანული სამყაროს უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე ქართველთა სამეფოს და სხვადასხვა დროს როგორი წარმოდგენა არსებობდა ამ სიმბოლოების მატარებელი ხალხის, მისი მეფეებისა და ქრისტიანული ღირებულებების მცველი და გამავრცელებელი მხედრობის შესახებ.

ბექა ჭიჭინაძის უკვე არაერთ გამოკვლევას იცნობს საზოგადოება და წინამდებარე წიგნი მეტ ნათელს მოჰფენს საქართველოს სახელმწიფო ჰერალდიკის საკითხებს, სახელმწიფო სიმბოლოების წარმომავლობასა და მათ ცივილიზაციურ მნიშვნელობას.

ქესავალი

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობ ერთ-ერთ ფრანგულენოვან წყაროში, ჟან დუ პაის მიერ გამოცემულ შესანიშნავ თხზულებაში, სახელწოდებით: „სუვერენულ სახელმწიფოთა ხელისუფალნი“, ქართველთა შესახებ ასეთი საგულისხმო ჩანაწერია მოცემული: „[ქართველები] იმედოვნებენ, რომ ქრისტიანთა ძალისხმევით იერუსალიმის სამეფო დაუბრუნდება [მის მესაკუთრე] ფლანდრიის გრაფებს, რის სახსოვრადაც ისინი თავის ნიშად ატარებენ იერუსალიმის ჯვარს (იერუსალიმის ჯვარი წარმოადგენს ცნობილ ხუთჯვრიან სიმბოლოს. – ბ. ჭ.), რომელიც ფლანდრიის ჯვარაცაა“.¹

მოსმობილი ნაწყვეტის სწორად გასაგებად ქართულ-ჯვაროსნული მრავალმხრივი ურთიერთობების სრული სურათი უნდა აღვადგინოთ, რის შემდეგაც ისევ დავუბრუნდებით ამ უნიკალურ ცნობას, ხელახლა მოვიხიშობთ მას და განვიხილავთ რეკონსტრუირებულ ისტორიულ კონტექსტში, რომლის ფონზეც ის უფრო გასაგებად ამეტყველდება.

¹ Interets et Maximes Des PRINCES des estats souverains, Jean du Pais, LXVI. 205-206.



ჟუა საუკუნეების ევროპელთა წარმოდგენები ქართველთა შესახებ (ახალი მასალების მიხედვით)

ჯვაროსნული ეპოქის დასავლეთ ევროპაში საქართველო წარმოდგენილია ძლევამოსილი ქრისტიანული სახელმწიფოს სახით. მაგალითად, ერთიანი ქართული მონარქიის წარმატებები სელჩუკებთან ბრძოლაში აისახა ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის უცნობ ძველ ფრანგულ მატთანში – „Le Theatre Universel“, სადაც აღნიშნულია, რომ XII საუკუნეში ქართველთა და სომეხთა სამეფომ, ანუ ერთიანმა ქართულმა ფეოდალურმა მონარქიამ განდევნა სელჩუკთა ურდოები. წყაროს ცნობით, იბერთაგან განდევნილი სელჩუკების „ნაწილი გაიქცა ალადინ სულთანთან, დანარჩენები კი – სხვა სულთანებთან“.²

XII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპაში ქართველთა მეფის ლაშქარი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ბრძოლისუნარიანად მიიჩნეოდა. ამ ხმამაღალი განაცხადის უფლებას გვაძლევს ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურისათვის უცნობი, XII საუკუნის ძველი ფრანგული ძეგლის, ჟან ბოდელის „საქსონური სიმღერის“ გასაოცარი ცნობები ქართველების შესახებ.³ როგორც ცნობილია, დასავლურ წყაროებში ქართველთა ვრცელი აღწერები, ძირითადად

² Le Theatre universel des Princes, ou histoire generale des tous les Papes, Empereurs, Roys et Monarques du monde, Paris, 1613, 560.

³ Bodel J., La chanson des Saxons, Vol.2, Paris, 1839, 74-76.

მოგვიანო ხანაში გვხვდება. ამიტომ „საქსონიური სიმღერა“, რომელიც უფრო ადრეულ, საქართველოს „ოქროს ხანის“ პერიოდს ეკუთვნის, უდავოდ გამორჩეულია.

ქართველთა შესახებ ცნობების კონტექსტი მოცემულ წყაროში ასეთია: შუა საუკუნეების ევროპული სიმღერების ერთ-ერთი პოპულარული გმირი – კარლოს დიდი, ანუ შარლემანი, იბრძვის გუიტეკლინ საქსონიელის წინააღმდეგ. შარლემანის რჩეული ჯარები – გასკონელები და პუატიელები, სადაცაა „პირისაგან მიწისა აღხოცავენ საქსონთა სახსენებელს“. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ქართველთა მეფე აღმოსავლეთიდან გუიტეკლინის დასახმარებლად გამოგზავნის ქართველ მებრძოლებს, რომლებიც დიდებული მეომრები არიან. მათი მრისხანე სამხედრო წყობის დანახვისას კარლოს დიდსა და მის საუკეთესო ფრანგ მებრძოლებს სასო წარეკვეთებათ. საბოლოოდ, ქართველთა წყალობით, გუიტეკლინი ძლიერ მტერს სასტიკად დაამარცხებს. ტექსტის სხვადასხვა რედაქციაში ქართველები იხსენიებიან ხან „აუნეგუიელებად“, ხანაც „ავესგუიელებად“ (მომდინარეობს ბერძნული „ავასგიიდან“ – აფხაზეთიდან). ეს ეთნონიმები ლათინურ წყაროებში მრავალგზისაა გამოყენებული მხოლოდ ქართველთა აღმნიშვნელად (მაგალითად, რიშარდე კლუნი და უილიამ ტირელი ქართველებზე საუბრისას სწორედ ამ უკანასკნელ ტერმინს იყენებენ). თხზულების სხვადასხვა რედაქციაში ქართველთა ლათინური ეთნონიმის ორივე ვერსიის დადასტურება არ ტოვებს ეჭვს, რომ აქ საუბარი სწორედ ქართველებს შეეხება. ქართველთა ეს სახელი ევროპაში იმდენად გავრცელებული იყო, რომ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის მნიშვნელობითაც კი გვხვდებოდა. მაგალითად, მაკედონიაში, თანამედროვე მონოზვიზდის მახლობლად შუა საუკუნეებში მდებარეობდა

დიდი დაბა – ქართველთა სოფელი, ანუ „Selo Avazgovo“⁴. შუა საუკუნეების მაკედონიის ტოპონიმიკის მკვლევრებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს ტოპონიმი ქართველთა ეთნონიმი. საგულისხმოა, რომ ეს სწორედ ის ტერიტორიაა, რომელსაც ბიზანტიის დიდი ქართველი მთავარსარდალი – გრიგოლ ბაკურიანისძე და მისი შთამომავლები ფლობდნენ. ჩანს, სწორედ მათ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული აქ ქართული სამოსახლოს გაჩენა.

ბოდელთან ქართველთა ელიტურ შენაერთს ზოგი ზღაპრული ელემენტიც მიეწერება. არნახულადაა გაზვიადებული მათი რაოდენობაც. მარტივი შესამჩნევია, რომ მხატვრული და წარმოსახვითია თხრობის ქრონოლოგიაც. ავტორი ვერ ერკვევა ასევე ქართველთა ეთნიკურ წარმომავლობაში და მათ თურქული რასის წარმომადგენლებად მიიჩნევს, მაგრამ ყველაფერ ამის მიუხედავად, მთლიანობაში, აღწერა განსაცვიფრებლად რეალისტურია და უდავოდ ეფუძნება ჩვენთვის უცნობ რეალურ შეხვედრას, რომლის საფუძველიც, ბიზანტიაში ქართველი სამხედრო მოქირავნეების უკიდურესი მრავალრიცხოვნობა უნდა ყოფილიყო. XII საუკუნეში ბიზანტიელი იმპერატორები მათ, როგორც საუკეთესო მეზრძოლებს, ცალკეული სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად დასავლეთ ევროპის ტერიტორიებზეც იყენებდნენ. იოანე კინამუსი აღწერს, რომ ბრინდიზიუმში, ერთ-ერთი შეტაკებისას, ქართველმა მოქირავნეებმა გაანადგურეს ნორმანები და მათი ალალი და დროშებიც კი ხელთ იგდეს. ვფიქრობ, სწორედ ამ სახის ერთ-ერთი მოვლენა უნდა იყოს ჟან ბოდელის შთაგო-

⁴ M. Lascaris. „Survivances dans la toponymie de la Macedonie des „Francs“ – „Byzantion“, vol. 23, 1953, 5-8.

ნებაც, როდესაც საქსონიაში ჩასულ ქართველ მოქირავ-
ნეებს აღწერს.

გამორჩეულად საყურადღებოა, რომ სიმღერა ვრცლად
მოგვითხრობს ქართველთა ფიზიკურ თავისებურებებზეც.
ბოდელის მიხედვით, ქართველ მებრძოლებს სხეულის
მომხიბლავი აგებულება ჰქონდათ, ამავეს იმეორებენ
მიქაელ პსელოსი, უილიამ ტირელი, გიორგი პახიმერე, რენე
პრუიმელი, იბნ დავადარი, „მელიქ დანიშმენდი“ და სხვები.
აქ ყურადღებას შევაჩერებთ პსელოსსა და „დანიშმენდზე“,
რათა ბოდელის ჩვენების რეალური შინაარსი უფრო
ნათელი გახდეს. ძველ თურქულ ნაციონალურ ეპოსში –
„მელიქ დანიშმენდში“ ქართველი ფალავნების აღწერა
ზედმინვენით თანხვედა ჟან ბოდელისეულ აღწერას.
მაგალითად, ხსენებულ ძეგლში ქართველი ფალავანი ასეა
აღწერილი – „აფხაზი შემზარავი იყო, წყეული, ტანადობით
ძლიერ გამორჩეული მებრძოლი“.⁵

დიდი ბიზანტიელი ფილოსოფოსი და თეოლოგი
მიქაელ პსელოსი კი ქართველთა შესახებ მოხდენილად
წერს: „ეს ხალხი სიმაღლით ათ ფუტს აღწევს. ნარბებიც
ქედმაღლურად შეუჭმუნიათ. უმამაცესად მებრძოლი
ქართველები... ყველას ახლახან ამოსვლოდა წვერი, და
თვით გაფურჩქნილ ყვავილს ჰგავდნენ; მაღალი ტანისანი,
თანაზომიერნი, თითქოს კანონის მიხედვით მოზომილნი“.⁶

ბოდელთანაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქართველებს
იგივე არსებითი მახასიათებლები აქვთ მიწერილი, რო-
გორც ეს „დანიშმენდშია“: მათი ნახვისას ყველა იზაფრება
(კარლოს დიდიც კი), ამავე დროს ქართველ მებრძოლთა

⁵ La geste de Melik Dānišmend, Etude critique du Danismendname par I. Melikoff,
Vol.1, Paris, 1960, 221.

⁶ ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა“, 6. 1966, 10-12.

ლამაზი სხეულები მნახველთა თვალს იტაცებს („მშვენება მათი ტანისა სიამე არის თვალისა“. – ბოდელი), სწორედ ისე, როგორც ამას პსელოსი წერს. ერთი მხრივ, ძველი ფრანგული და ძველი თურქული სიმღერების ცნობებისა და მეორე მხრივ პსელოსის ცნობის უჩვეულო სიახლოვე ქართველთა აღწერისას შეიძლება აიხსნას ერთადერთი გარემოებით – სამივე, მხატვრული აქცენტებით, მაგრამ სწორად ასახავს ქართველებთან დაკავშირებულ საერთო სინამდვილეს. საინტერესოა ისიც, რომ ძველი თურქული სიმღერა („მელიქ დანიშმენდი“), ისევე, როგორც ჟან ბოდელის „საქსონიური სიმღერა“, ქართველ მებრძოლებს „აფხაზს“ უწოდებს, რაც ბუნებრივია, რადგანაც არა მხოლოდ შუა საუკუნეების ევროპულ, არამედ მუსლიმურ წყაროებშიც საქართველო „აფხაზეთადაა“ წოდებული.

„საქსონიურ სიმღერაში“ ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველები ფართო სახეებით გამოირჩეოდნენ. როგორც ცნობილია, ქართველთა ანთროპოლოგიურ ტიპს, მართლაც, შედარებით ფართო სახე ახასიათებს.

ბოდელის დაკვირვებით, ქართველები მარბიელ ლაშქრობებს იყვნენ მიჩვეულნი. ამ შემთხვევაშიც, ყოველივე ეს გამოძახილს პოულობს სხვა თანადროულ წყაროებში. უილიამ ტირელი წერს, რომ „ახოვანებითა და უაღრესი სიძლიერით გამორჩეული“ ქართველნი გამუდმებით ესხმოდნენ თავს სპარსელებს (შდრ. ასევე „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, სადაც ქართველი მოლაშქრეები აცხადებენ, რომ ლაშქრობისა და რბევის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა, თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“). ჩვენი წყარო საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ქართველთა საჭურველზეც, ისევე, როგორც ამ ეპოქის სხვა წყაროები, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამ

უნიკალურ ტექსტში, ყველაფერთან ერთად ზედმინვენითაა აღწერილი XII საუკუნის ქართული სამხედრო წყობა, შუბების გროვა, რომლის წყალობითაც ქართული ლაშქარი მთელ თანადროულ მსოფლიოში თავზარდამცემ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. სწორედ ამას შენიშნავს ჟან ბოდელიც. მისი სიტყვით, შუბოსან ქართველთა მჭიდრო სამხედრო წყობის პირისპირ არ დარჩენილა არც ერთი მამაცი ფრანგი, რომელიც შიშს არ შეეპყრო.

ევროპაში გავრცელებული ამ სამხედრო ტაქტიკის თავისებურება შემდეგი იყო: წაგრძელებული შუბებით შეიარაღებულ მხედართა წყობა საერთო მასით ასკდებოდა მოწინააღმდეგეს, ნიაღვრად მოვარდნილი ძალის ეს ერთიანი მასა შლიდა მტრის სამხედრო წყობას და ხშირად სწრაფი და დამაჯერებელი გამარჯვების მიზეზი ხდებოდა. შოკური შეტევა იმდენად თავზარდამცემი იყო, რომ მოწინააღმდეგე ზოგჯერ მასთან შეტაკებამდე კარგავდა მხნეობას და გარბოდა.⁷

ქვემოთ მოცემულ ცნობაში ბოდელი შოკური შეტევის კლასიკურ სახეზე საუბრობს, რომელიც საქსონიაში ქართველებმა დიდი წარმატებით განახორციელეს, ეს საუცხოოდ ვლინდება მისი შემდეგი სიტყვებიდან: „მაგრამ ამ დროს გამოდიან ქართველნი, მოიღერეს მუშტით თავიანთი შუბები და წინაშე მათი მჭიდრო წყობისა, გაილივნენ შიშით ფრანგთა გულები“. აშკარაა, რომ აქ ასახულია შოკური შეტევის თანმხლები სწორედ ეს ხშირი მოვლენა, როცა მტერი ჯერაც შეტევის მოგერიებამდე კარგავდა მხნეობას ამ მრისხანე სამხედრო წყობის პირისპირ („და წინაშე მათი მჭიდრო წყობისა, გაილივნენ შიშით ფრანგთა გულები“).

⁷ De Vries, *Medieval Military Technology*, 12.

საქართველოს სამხედრო ისტორიის შესანიშნავ სპეციალისტს, მამუკა წურწუმის მრავალრიცხოვანი წყაროებისა და თანამედროვე ევროპული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ნაჩვენებია აქვს, რომ ქართული ლაშქარი საუკუნეების განმავლობაში იყენებდა შოკურ დარტყმას. იგი წერს: „საუკუნეების განმავლობაში ცხენოსანთა შეტევის სტილი არ იცვლება და შოკური შეტევა ქართველთა უსაყვარლეს ტაქტიკურ იარაღად რჩება“.⁸

ქართველთა ტრადიციული სამხედრო ტაქტიკის აღსანიშნავად მამუკა წურწუმისაგან გამოყენებული ტერმინი „შოკური დარტყმა“ თანამედროვე ევროპული სამეცნიერო ლიტერატურიდანაა მოტანილი. ეს ტერმინი აქტიურად გამოიყენება სამხედრო ისტორიის ევროპულ ისტორიოგრაფიაში, რაც ბუნებრივია, რადგან მოცემული სამხედრო ტაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ევროპაშიც, რის გამოც აღნიშნული ტერმინი ჯერაც ძველ ევროპულ წყაროებში გვხვდება. ვფიქრობ, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ქართველთა ამ ტრადიციული სამხედრო ტაქტიკის აღსანიშნავად ტერმინი „შოკური დარტყმა“ გამოყენებულია ზოგ ძველ, უცნობ ევროპულ წყაროში. ფრანსუა დე ბელფორეს უნივერსალურ ისტორიაში ქართველთა შესახებ გადავანყდი ასეთ ჩანაწერს: „...რაც შეეხება [ქართველთა] მეომარ მამაკაცებს, ჭეშმარიტად, ისინი არიან ძლიერ ღირებულნი... ბრძოლაში შესვლისას, მწყობრში მდგარნი [მტერს] უტევენ შოკურად (ან, დასაშოკად. – ბ.ჭ.). „Mis en ranc preftz à chocuer“.⁹

⁸ მამუკა წურწუმია, „ნაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება“, საისტორიო კრებული, 2011, გვ. 199.

⁹ Francois de Belleforest, Histoire universelle du monde (etc.). Divisee en 4 livres, 1572 წ. გვ. 40.

ეს ძალიან საინტერესო ტერმინოლოგიური თანხვედრაა. როგორც ირკვევა, ქართველთა უმთავრესი სამხედრო ტაქტიკა „შოკურად“ ინოდება არა მხოლოდ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ მათგან დამოუკიდებელ ზოგ უცნობ წყაროშიც. ამგვარად, ძველი ევროპული წყაროების მიხედვით, ქართველთა და ევროპელთა შორის არსებულ მრავალ საერთოს შორის იყო მონინავე სამხედრო ტაქტიკაც. სწორედ ეს ტაქტიკაა ასახული ბოდელის შესანიშნავ პოემაში.

წარმოგიდგენთ პოემის აღნიშნული მონაკვეთის ჩემს თარგმანს ძველი ფრანგულიდან:

„ფრანგნი და საქსნი შექმნილან მტერნი,
საქსონთა სისხლით მორწყულა ველნი,
სულაც მოსპობდნენ მათ გასკონელნი,
რომ არა საქსონთ მშველელნი, მძლენი,
ასი ათასნი, ყველანი მხნენი,
ამ საკვირველ ხალხის წვერი,
თეთრი, როგორც დათვის ბენვი,
ნიჩაბივით განიერი იყო მათი თავი,
მაყვალვიით კუნაპეტი ჰქონდათ შავი თვალი,
მომახული იყო მათი ჯაგრისებრი წარბები,
დიდი პირის ქრილი ჰქონდათ,
ბასრი, მყარი კბილები,
მათ მეთაურთა ტანის მშვენება
საამურია თვალმიდევნებად.
საქართველოდან იყვნენ მოსულნი,
თავის საჭურვლით სრულად მოცულნი,
ისინი იყვნენ რბევას ჩვეულნი,
ნადგურდებოდნენ მათგან გვემულნი.
მათი ციხენი, მათი ქალაქნი

აღარ ყოფილან საქსონთ მოდგმისა
და ეს ლაშქარი, გუიტეკლინისთვის
მათ ბატონს ეძღვნა ნიშნად ძმობისა.
მათი მოსვლისას, საქსონიელთა
შენწყვიტეს უმაღ ძრწოლა,
ხოლო მათ მნახავ კარლოს დიდს
შეეტყო შიში, თრთოლა,
და მოუწოდა მის რაზმებს, რჩეულთ
ერუპუელებს, დალენილთ, ვნებულთ,
ოფლსა და სისხლში შეღებილ სხეულთ,
უკვე ნაომართ, მოქანცულთ, გვემულთ,
მაგრამ არიან მამაცნი ისე,
მეფის შეწევნად მოვიდნენ ისევ.
მალლობნი, ხევნი – ქვეყანა მთელი,
მოფენილია საჭურვლით, ჭრელით...
ბატონო ჩემნო, ნუ გეგონებათ,
რომ ეს ამბავი ცრუ და თხზულია,
Saint-Pharon de Meaux-შიც,
ამის შესახებ სიტყვა თქმულია.
დაცემულან მრავლად, ბევრგან,
რონსევეუმში, ვობუტონში
შარლ მარტელი ბრძოდა მედგრად,
კამბრაიზშიც, სადაც მოკლეს რაული,
ასპერმონტშიცა და დარუნდაულშიც,
ვიმეუსთან, სად გორმონდი შეება
მეფე ლუის და ვაჟკაცებს მისას,
მაგრამ მათი საკვირველი ამბავი
აღარ არის ახლანდელის სადარი,
ამ დღეს, წყმედლილთ ჯოჯოხეთი აღავსეს,
ღვთისმოსავთ კი ღვთის სამოთხე განავსეს.

შარლი, ჩვენი დიდი იმპერატორი,
წარმართთ ჯარზე თავის მზერას აკავებს,
შემდეგ უცქერს მამაც რაზმებს თავისას,
მათი ნახვა მეფეს დიდად ახარებს
(ერუპუელთა, პუატიელთა და გასკონელთა)...
გონდბეუფმა, ვენდულისა წინამძღოლმა,
გოროზმა ხარებრ, ბურგუნდიელთ წინა მდგომმა,
ბავარიელ გერმანელნი თავის რიგებს დაუმატა,
მიეტევა გონდბეუფი და სვლას თვისას მოუმატა...
შემდეგ, შარლი ხედავს ფრანგებს ელენებათ შუბები,
რომ აკუნონ გუიტეკლინის რიცხვმრავალი ჯარები,
ფრანგებმა უმალ იშიშვლეს ფოლადის ჯავარდნები,
მაგრამ ამ დროს გამოდიან ქართველნი,
მოიღერეს მუშტით თავის შუბები,
და წინაშე მათი მჭიდრო წყობისა
გაილივნენ შიშით ფრანგთა გულები“.

ძლევამოსილ ქართველთა მეფის ჰეროიზებულ ფიგურასა და ძლიერ ლაშქარს ვხვდებით ბენუა დე სან მორთანაც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს, რომ მას მხედველობაში დავით აღმაშენებელი ჰყავს. სანამ ცნობებს მოვიხმობთ, ამ ძალიან რთული ნაწარმოების თავისებურებებს უნდა შევეხოთ.

ბენუას თხზულება – „ტროას რომანი“, 1160-იან წლებშია შექმნილი და გმირთა ერთგვარი გაღერეაა, სადაც თავმოყრილნი არიან დიდი ანტიკური გმირები. ერთი შეხედვით, გაუგებარია, თუ რატომ უნდა საუბრობდეს ავტორი ამგვარ ნაწარმოებში ქართველთა მეფე დავითის შესახებ.

„ქართლის ცხოვრებაში“ დავით აღმაშენებელი ხშირად ანტიკური ეპოქის გმირებთანაა გათანაბრებული. ერთერთ ხოტბაში კი ვკითხულობთ: „დავით, ვსთქუა ზესთა

განდიდნეს, მით ხრმალი ხორცსა სჭამს მისი და აქილევ-სისებრ ძალითა, მპყრობ ელადეთსა ხამს ისი“, ანუ ზესთა განდიდებული დავითის ადგილი, თავისი მასშტაბებით, გმირულ ელადაში, ანტიკურ სამყაროშია. ამდენად, ბენუა დე სანმორს, თავის ლიტერატურულ სამყაროში სწორედ ეს იდეა აქვს რეალიზებული, მაგრამ გამორჩეულად ყურადსაღები ისაა, რომ იგი დავითის ჰეროიზებას ახდენს ამ უკანასკნელის გარდაცვალებიდან სულ რაღაც 30-35 წლის შემდეგ. დავითი თითქმის ერთადერთი რეალური ისტორიული პერსონაჟია, რომელსაც ბენუა აქილევსის, პატროკლეს, ჰექტორისა და ლაუდომატას გვერდით აყენებს. ეს გარემოება, ვფიქრობ, ნებისმიერ წმინდა ისტორიულ წყაროზე უკეთ მეტყველებს იმ საპატიო ადგილის შესახებ, რომელიც დავითს ჯვაროსნულ და დასავლურ წარმოდგენებში ჰქონდა მიკუთვნებული.

უშუალოდ ცნობების მოხმობამდე, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბენუასთან დავითი ჰეროიზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სიუჟეტი რამდენადმე მხატვრულ-წარმოსახვითია, მაგრამ ქართველთა მეფის ძლიერება და სამხედრო პოტენციალი, უდავოდ ისტორიული სინამდვილის ანარეკლია. მეტიც, დავითთან დაკავშირებული გარკვეული ისტორიული რეალიებიც წყაროში სწორადაა ასახული. მაგალითად, ლაუდომატას ლაშქრობამდე, აღნიშნულია დავითის სომხეთში შესვლის ფაქტიც.

ერთ-ერთ თავში ბენუა მოგვითხრობს დიდი გმირის, ხსენებული ლაუდომატას საგმირო საქმეების შესახებ, რომელმაც შეძლო „დიად და საკვირველ ბრძოლაში“ ქართველთა ძლიერი მეფეც კი დაამარცხებინა, მაგრამ შეპყრობა ვერ მოახერხა: „ქართველთა მეფე შეებრძოლა მთელი თავისი ძალით და ჰყო დიადი და საკვირველი

ბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ ლაუდომატამ უკუაქცია იგი და მის დიდებულთა დიდი ნაწილი საპატიო ტყვეობაში აიყვანა. ქართველთა მეფემ, რომელსაც დავითი ერქვა („Qui Daut estoit appelez“), თავი შეაფარა დიდ ციხესიმაგრეში¹⁰. დავითის ეს „დიადი და საკვირველი ბრძოლა“ „ტროას რომანიდან“, მისი და ლაუდომატას ტიტანომაქია აღორძინების ეპოქის ევროპულ მხატვართა შთაგონებადაც კი იქცა.¹¹ განხილული დასავლური წყაროებიდან ჩანს, რომ XII საუკუნის დასავლეთ ევროპაში, ქართველთა მეფის სამხედრო პოტენციალზე მაღალი წარმოდგენა ჰქონდათ. ჟან ბოდელის მიხედვით, ქართველთა მრისხანე სამხედრო წყობა თვით კარლოს დიდსაც კი თავზარს დასცემდა. ბენუა დე სან მორის გადმოცემით, ქართველთა მეფე „დიად და საკვირველ ომებს“ აწარმოებდა. ორივე ავტორთან იგულისხმება, რომ ქართული ლაშქარი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ბოდელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქართველთა მეფის ჯარის მრავალრიცხოვნობაზეც. მას ეთანხმება ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობი, ამ ეპოქის კიდევ ერთი შესანიშნავი ძეგლი, ალექსანდრე პარიზელის „ათისის და პროფილიას რომანი“, სადაც ავტორი ქართველთა დიდ მხედრობას ახსენებს.¹² XII საუკუნის საქართველოს მეფეთა სამხედრო აქტიურობის მაღალი შეფასებაა ლაშა-გიორგისადმი პაპ ინოკენტი III-ის წერილშიც, რომელიც მას ჯვაროსნულ ლაშქრობაში

¹⁰ William H.F., Laodamas in the Prose „Roman de Troie“, Romance Philology, Vol. 7, №2/3, 1953, 150.

¹¹ Jestaz B., Jean Guillaume, La galerie du Grand Ecuier. L'Histoire de Troie au château d'Oiron, avec une contribution de Bernard Brochard, Chauray, Bulletin Monumental, tome 155, n°3, 1997, 51.

¹² <<https://francaisancien.net/activites/textes/ineke/Chansons/Not1970.htm>>

ჩართვისკენ მოუწოდებს. ბუნებრივია, სახელგანთქმული ქართული არმიის მთავარსარდალთან მოკავშირეობას პაპები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. აღნიშნული წერილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში უცნობი ძეგლია.

პაპობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გამორჩეული პაპი აცხადებს, რომ ლაშამ, თავის წინამორბედ ქართველ მეფეთა მსგავსად, ურწმუნოთა წინააღმდეგ სიმამაცითა და რწმენით უნდა იაროს:

„რაოდენ შეჰფერის ქრისტიან ხელისუფალთ, რომელნიც არიან ქრისტეს მადლის მფარველობაში, იფიქრონ უფრო სერიოზულად წმინდა მინის შველისათვის, რომელნიც ენევიან ამით ყველაზე დიდ დიდებას, არა მხოლოდ კაცთა, არამედ საუკუნო უფლის წინაშეც, ვისი ჯარისკაცებიც არიან. ნაცვალგება, რომელიც თქვენ გელოდებათ, იქნება უფრო მშვენიერი, ვიდრე თქვენგან სარწმუნოების მტრების ყველაზე ძლიერი დამხობა. ამგვარად, თქვენ უნდა შეუდგეთ თქვენს წინამორბედთა კვალს და იაროთ რწმენით და სიმამაცით მათ წინააღმდეგ, რომელნიც ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, იპყრობენ უფლის სამკვიდრებელს, და ამავედროულად, ამით იზრუნოთ თქვენს სამარადისო ხსნაზე“.¹³

ინოკენტი III-ის აღნიშნული წერილის სათაურია „ავოგნიის მეფეს“. „ავოგნია“ ფეოდალური საქართველოს კარგად ცნობილი ლათინური დასახელების – „აუნეგუის“ ვარიაციაა, მიღებული ბერძნული „ავოსგის“, აფხაზეთის დამახინჯებული ფორმით. მაგალითისთვის, რუსუდან ქართველთა დედოფლის წერილი პაპისადმი დასათაურებულია, როგორც „Russutane Reginae Avogniae“.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში ფართოდ ცნობილი

¹³ Hunter F., Histoire du Pape Innocent, Tome 3, Paris, 1855, 133.

კათოლიკე სომეხი ისტორიკოსი და სასულიერო მოღვაწე, ჰაიტონი, პაპს ურჩევს, მიმართოს ქართველთა მეფეს, რათა იგი დაეხმაროს წმინდა მიწის სხვა მომლოცველებსაც. ქართული რეალობის კარგად მცოდნე ჰაიტონი ფიქრობს, რომ სომხეთის მეზობლად მცხოვრები მართლმორწმუნე ქართველები ძალმოსილნი არიან საამისოდ.¹⁴ მრავლისმეტყველია მისი შენიშვნა, რომ „ქართველები ყველა სხვა ერზე მეტად ერთგულობენ წმინდა მიწის სინმინდეთა მომლოცველობას“. ვფიქრობ, სწორედ აღნიშნული სინამდვილე აისახა ენობრივად არაბულ ენაში. ვგულისხმობ იმ ნიშნულ გარემოებას, რომ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ქართველთა აღმნიშვნელი ეთნიკური სახელი „ჯურჯ“ არაბულში ამავედროულად აღნიშნავდა პილიგრიმს. ამ საყურადღებო ენობრივი მოვლენის მიზეზს ჰაიტონის მოხმობილი ცნობა საუცხოოდ გვიხსნის: „ქართველები ყველა სხვა ერზე მეტად ერთგულობენ წმინდა მიწის სინმინდეთა მომლოცველობას“. ამ საფუძველზე, მართლაც, შესაძლებელი იყო, რომ არაბულში ქართველთა ეთნიკურ სახელს პილიგრიმის მნიშვნელობაც განეფითარებინა.

განვაგრძოთ დასავლეთევროპული ცნობების განხილვა ქართველთა შესახებ. დომინიკელთა ორდენის წევრი, სულთანის არქიეპისკოპოსი ვილჰელმ ადამი წერს: „ქართველებს ჰყავთ მეფე, რომელსაც მუდამ დავითს უწოდებენ. ისინი არიან უძლიესი მებრძოლები მთელ აღმოსავლეთში, მუდამ სწყურიათ სარკინოზთა სისხლი. ამგვარი ბუნებისაა ეს ხალხი. ასე რომ, სპარსეთის იმპერატორი (მონღოლთა ილხანი) მათი მძლავრი ხმლის დახმარების გარეშე ვერასდროს დაამარცხებდა სარკინო-

¹⁴ History of the Tartars, Translated by R. Bedrosian, New Jersey, 2004, 53.

ზებს. ამიტომ, მონღოლებს ბალდადისთვის ალყა კი შემოერთყათ, შეტევა კი ვერც ერთხელ ვერ მიიტანეს, ვიდრე ქართველთა ჯარი არ გამოჩნდა. სარკინოზებს შორის მონყობილი სისხლისღვრის შემდეგ, მათი ხალიფა, ანუ პაპი, რომელიც მარტო დარჩა ცოცხალი, საეკლესიო განკვეთის მსგავს წყევლა-კრულვას ისროდა. ამიტომ მონღოლებს შეიარაღებული რაზმის გაგზავნის შეეშინდათ. მაშინ ქართველთა ერთმა მთავარმა, სხვებზე მამაცმა, მას შემდეგ, რაც სამების სახელი ახსენა, თავისი მძლავრი ხელით, რომელშიც ხმალი ეპყრა, ერთი დარტყმით წააცალა თავი მხართან ერთად¹⁵.

კათოლიკე მოძღვრის აღფრთოვანება ქართველებით აქ მეტად მრავლისმეტყველია და ღრმა მიზეზები აქვს. საქმე ისაა, რომ ვილჰელმ ადამი ქართველ ხალხში ხედავს ჯვაროსნული იდეალების სრულყოფილ გამოხატულებას. მეორე მხრივ, ამას შეიძლება ისიც დავეუმატოთ, რომ ჰაიტონის მიხედვით, ქართველი „ხალხი ყველა სხვა ერზე მეტად ერთგულებს წმინდა მიწის სინმინდეთა მოლოცვას“, რაც ჯვაროსნული მოძრაობის გულისგულია (თავდაპირველად ჯვაროსნებს სწორედ მომლოცველები, პილიგრიმები ერქვათ). ძლიერი ქართველი პილიგრიმების შესახებ ჰაიტონის ცნობის კონტექსტი გვაძლევს საშუალებას, რომ „პილიგრიმი“ აქ პირდაპირ ჯვაროსნად ვთარგმნოთ. სინამდვილეში, ჰაიტონი წერს, რომ ქართველები ყველა სხვა ერზე მეტად ჯვაროსნული ხალხია. მართლაც, ქართველი ხალხი ჯვაროსნული იდეალის სრულყოფილ ხორცშესხმას წარმოადგენდა, რის ერთ-ერთ ცხად მონმობად შეიძლება

¹⁵ თვარაძე ალ., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში: XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე, 2004, 158.

ის გარემოებაც მიგვეჩნია, რომ ქართველთა დროშა სწორედ იერუსალიმიურ-ჯვაროსნული ხუთჯვრიანი სიმბოლო იყო.

ქართველებსა და ჯვაროსნებს ერთიანი ფრონტის ნაწილებად აღიქვამდნენ ჯვაროსანთა ყველაზე ძლიერი მტრები – ეგვიპტელი სარკინოზები. ამის შესახებ ერთი შესანიშნავი, უცნობი ცნობა დაცულია ოლივერ სქოლასტიკოსთან. ოლივერის ცნობები ქართველ მხედრებზე, ასევე შავმთელ ქართველ ბერებსა და ქართულენოვან სახარებაზეც ჩვენს ისტორიოგრაფიაში უკვე ცნობილია, მაგრამ იგი საკმაოდ ნაყოფიერი ავტორია. შესაბამისად, მის მრავალმხრივ მემკვიდრეობაში შეიძლება მოიძიოს ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურისთვის უცნობი მასალაც. სწორედ ასეთია მისი შთამბეჭდავი ცნობა დავით აღმაშენებელზე, რომელიც შეუფასებელი წყაროა.

XIII საუკუნის პირველ ნახევარში კათოლიკე ეკლესიის კარდინალი, ოლივერი აღწერს ჯვაროსანთა და ეგვიპტის სულთანთა ბრძოლების ცალკეულ პერიპეტიებს. ავტორი დანვრილებით საუბრობს ეგვიპტელთა ერთ-ერთი ტრადიციული სამხედრო ხრიკის შესახებ, რომელიც გულისხმობდა მონინაალმდეგის ზურგში წყლის არხის გაყვანას და ამგვარად, მათთვის უკანდასახევი გზის დატბორვას, მოსპობას... ეს ხრიკი საკმაოდ ეფექტიანად მუშაობდა და მტრის დემორალიზებას ახდენდა. ეგვიპტელთაგან ჯვაროსნებისთვის უკანდასახევი გზის დატბორვის შემდეგ, სულთნის ბანაკში მოითხოვდნენ, რომ უკანდასახევი გზამოჭრილ ჯვაროსნებს დაუყოვნებლივ დასხმოდნენ თავს, მაგრამ წინდახედული სულთანი ფრთხილობდა, რადგანაც, ამ ეტაპზე, გენერალური შეტევისათვის მზად ჯერაც არ იყო. ოლივერი წერს:

სულთანმა „თათბირისას უბრძანა მათ [თავის სარდლებს], შეენყვიტათ ყველანაირი სამხედრო მოქმედება ჩვენს [ჯვაროსნების] წინააღმდეგ. მისი ძმები, განსაკუთრებით კი ემესის მთავარი, განცხადებული მტერი ქრისტიანებისა, ცდილობდნენ, შემოებრუნებინათ იგი. ისინი მას ეუბნებოდნენ, რომ წყლით გარემოცულ ფრანგებს [ჯვაროსნებს] აღარ შეეძლოთ გაქცევა, მაგრამ სახიერმა და წინდახედულმა სულთანმა, მშვიდობისმოყვარემ და არა სისხლისღვრის მოსურნემ, თავის ძმებთან და სასახლის დიდებულებთან განბჭო და წარმოუსახა მათ თვალწინ მაგალითი სპარსეთის სულთნისა, რომელსაც, თავისი წარმატებებით მეტად გადიდგულეებულს, ჰქონდა სურვილი, თავად დაენიშნა კაიროს მეფეც და ასევე სხვა მმართველები აზიაში, და რომელიც ბოლოს დამარცხებულ იქნა დავით მეფისაგან, საქართველოს უფლისაგან, და რომელმაც [სულთანმა] დაკარგა თავისი სამფლობელო“ (ამ მაგალითის გათვალისწინებით, ოლივერის მიხედვით, ეგვიპტელებმა ჯვაროსნებთან მოლაპარაკებები დაიწყეს).¹⁶ წყაროს შინაარსი, ვფიქრობ, საკმაოდ ცხადია. ჯვაროსანთა ყველაზე ძლიერი მტრების, ეგვიპტელი მუსლიმებისთვის, დავით აღმაშენებლისაგან სპარსთა დიდი სულთნის დამარცხების ფაქტი თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც იმდენად მრავლისმეტყველია, რომ მას ჯვაროსნებთან ურთიერთობისას სახელმძღვანელო მაგალითადაც კი იყენებენ. თუკი სპარსეთის დიდი, მედიდური სულთანიც კი დამარცხდა ქრისტიანებთან (დავით მეფესთან) ომში, შესაძლოა იგივე განმეორდეს ახლაც და ეგვიპტის სულთანიც ასევე დაეცეს ჯვაროსანთა წინაშე. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ქართველები და

¹⁶ Michaud J.F., Bibliothèque des Croisades, Paris, 1829, 158.

ჯვაროსნები ერთი წრის ხალხად არიან აღქმული, რაც ბუნებრივია, რამდენადაც მუსლიმური პერსპექტივიდან არსებობდა ერთი – ანტიქრისტიანული ფრონტი, ამიტომ ამ ხანის ზოგ წყაროში, მაგალითად, „მელიქ დანიშმენდში“, ქართველი სარდლები და ქართველები საზოგადოდ, ხშირად ფრანგებად, ანუ ჯვაროსნებად იწოდებიან. ამ გაგებით, დავითიც „ფრანგთა მეფე“ იყო. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ისიც, რომ ჯვაროსნული სამყაროს წარმომადგენელი, ანსელუსი დავითს „ჩვენს წინაბურჯს“ უწოდებს. სწორედ ამ ორგანულ ისტორიულ კონტექსტში პოულობს ფესვებს საქართველოს ჯვაროსნული, ხუთჯვრიანი დროშაც, როგორც სიმბოლო იმ ფაქტისა, რომ საქართველო „ჯვაროსნული კონფედერაციის“ ნაწილადაა წარმოდგენილი. მუსლიმური პერსპექტივიდან საქართველოს მეფე განასახიერებს ჯვაროსნულ-ქრისტიანული სამყაროს დიდ სამხედრო პოტენციალს, რომლისთვისაც ამა თუ იმ მუსლიმი მმართველისაგან ანგარიშის გაუწევლობამ, შესაძლოა, ამ უკანასკნელთ დიდი კატასტროფა დაატეხოს თავს. ცნობის ეს კონტექსტი მოცემული ისტორიული ფაქტის (დავითისგან სპარსთა სულთანის დამარცხება) შინაარსზე მნიშვნელოვანია და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს დავით აღმაშენებლის უზარმაზარ საერთაშორისო ავტორიტეტში, რომელიც თავისებურად აისახა კიდევ პრესვიტერ იოანეს შესახებ ევროპულ ლეგენდებში. რაც შეეხება საკუთრივ ისტორიულ ფაქტს, დავითისგან დამარცხებულ სპარსეთის მედიდურ სულთანში, ვფიქრობ, დიდი სულთანი მაჰმუდ მოჰამედის ძე უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც 1123 წელს შირვანში შეიჭრა და დავითს მედიდური წერილი გამოუგზავნა – „ტყეთა მეფე ხარ და ველად გამოსვლას ვერ გაბედავ“.

დავითი მაშინვე გაეშურა სულთნის წინააღმდეგ. მეფის ძლევამოსილი ლაშქრის დანახვისას მკვებარა სულთანი ციხე-ქალაქში შეიკეტა. დავითმა გაანადგურა სულთნის დასახმარებლად დაძრული ათაბეგის ლაშქარიც. საბოლოოდ, შერცხვენილი სულთანი მაჰმუდი საკანალიზაციო არხიდან („სასდუნით“) გაიპარა და შირვანი და აზერბაიჯანიც დაკარგა. დავითისგან მედიდური სულთნის ამ საარაკო გაპამპულეებაზე, როგორც ჭკუის სასწავლელ მაგალითზე, როგორც ჩანს, მოთხრობილია ოლივერ სქოლასტიკოსის ამ უძვირფასეს ცნობაშიც.

XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველო იყო სტაბილური ძალა, რომელიც თითქმის მთელ კავკასიას მოიცავდა. ამ ეპოქის დასავლური წყაროები რელიეფურად ასახავენ ქართული სახელმწიფოს მიღწევებს. XII საუკუნის მეორე ნახევარში რიშარ დე კლუნი წერდა, რომ საქართველოს – ავესგუიის (ავასგიის, აფხაზეთის) მეფე ძლიერ დარტყმას აყენებდა სარკინოზებს.¹⁷ შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ინტელექტუალის, გიომ ტიროსელის ცნობით, ქართველთა წარმატებულმა ბრძოლებმა სარკინოზთა წინააღმდეგ ჯვაროსნულ სამყაროს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. დაახლოებით ამავეს წერს ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს კანცლერი გალტერიუსი, გოტიე.

საკუთრივ მუსლიმური პერსპექტივიდან ეს ყველაფერი შემდეგნაირად იყო შეფასებული – იბნ ალ ასირი: „სასაზღვრო მხარეთა შორის, ეს მხარე (კავკასია) იყო და არის ყველაზე მანვე მეზობლებისთვის, სპარსელებისთვის – ისლამამდე და მათ შემდეგ მუსლიმებისთვის, ისლამის და-

¹⁷ Hamilton B., Latins and Georgians and the Crusader Kingdom, Al-Masaq, Journal of the Medieval Mediterranean, Vol. 23, No.2, 2011, 121.

საწყისიდან დღემდე“. ხორასნის სულთანი სანჯარი ხალიფა ალ მუსთარშიდისადმი წერილში მთავარ საგარეო პოლიტიკურ საფრთხეებად ასახელებს ფრანკებსა (ჯვაროსნებს) და აფხაზ ურწმუნოებს (ქართველებს).

მუსლიმ ავტორთაგან დაფიქსირებულ გარემოებას, რომ საქართველო მათი პოლიტიკური სამყაროსთვის ყველაზე საშიში ზონაა, ჯვაროსნული პერსპექტივიდან კარგად ასახავს წმინდა საფლავის ფრანგი ბერი ანსელუსი, როდესაც პარიზის ეპისკოპოსისადმი წერილში აცხადებს, რომ საქართველო ჯვაროსნებისთვის წინა ბურჯია მიდიელთა და სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში.¹⁸ არსებითად, იბნ ალ ასირი, ქართველთა როლთან დაკავშირებით, მის მოსაზრებას იმეორებს, ოღონდ მუსლიმური პერსპექტივიდან.

კათოლიკე ღვთისმეტყველი ჟანენი თავის ნაშრომში გადმოგვცემს: „იაკობ ვიტრელი (Jaques de Vitry) მოგვითხრობს, რომ ქართველები წმინდა ქალაქში ზემით, გაშლილი დროშებით შედიოდნენ და არ იხდიდნენ იმ გადასახადს, რომელიც სავალდებულო იყო სხვა ყველა ქრისტიან მლოცველთათვის“.¹⁹ მსგავსი პრივილეგიები გრძელდებოდა დიდხანს და არ ატარებდა ეპიზოდურ ხასიათს, რამდენადაც მისი საფუძველი ფეოდალური ქართული მონარქიის სტაბილური ძლიერება იყო.

გერმანელმა პილიგრიმმა ტიტმარმა 1210-იან წლებში წმინდა მიწაზე მოგზაურობისას თავი ქართველ მომლოცველად გაასალა, ქართველი ბერის სამოსით შეიმოსა, რათა ესარგებლა იმ უპირატესობით წმინდა მიწის მუსლიმ

¹⁸ ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1925.

¹⁹ ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, შ. ვარდიძის თარგმანი, სტამბოლი, 1921, 17.

ხელმძღვანელთაგან, რომლითაც მხოლოდ ქართველები სარგებლობდნენ.²⁰ ჩანს, დასავლელი პილიგრიმები სხვა დროსაც მიმართავდნენ ამგვარ ხერხს.

ამ პერიოდის ევროპული წარმოდგენები საქართველოს შესახებ გამსჭვალულია არა მხოლოდ ეგზოტიკით, არამედ ქართული სამყაროს ევროპაში ინტეგრაციის იდეითაც. რამდენად შორს იყო წასული ფიქრი ამ მიმართულებით, შეიძლება ვნახოთ ჩვენს ისტორიოგრაფიაში უცნობ ძეგლში, კათოლიკური ეკლესიის ნეტარის, რეიმონდის თხზულებაში, სახელწოდებით „ბლაქუერნის ნიგნი“.

XIII საუკუნის ეს რომანი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა ამ ეპოქის ევროპის იდეური სამყაროს გასაგებად. წყაროში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შეიძლება ითქვას, რომ ავტორი იძლევა ერთგვარ სამოქმედო პროგრამას, თუ როგორ უნდა მოხდეს ქართველთა დაახლოება დასავლეთევროპული ცხოვრების წესთან და მის ბურჟუთან, რომის ეკლესიასთან. ნეტარის ერთ-ერთი იდეა ევროპაში ქართველი სტუდენტების მიღებაა. XVII საუკუნეში რომის ეკლესიამ ამ იდეას მართლაც შეასხა ხორცი. ყველაფერ ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ „ბლაქუერნის ნიგნი“ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ის მხოლოდ რომანია. თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეს ნაწარმოები შუა საუკუნეების ევროპული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი მანიფესტია. მოცემული წყარო საუბრობს პაპის დიდი ეკუმენური პროექტის შესახებაც, რომელიც გულისხმობდა სამყაროს სხვადასხვა ნაწილიდან რომ-

²⁰ თვარაძე ალ., კოლხთა და დერბენტის მცველ ქართველ მეომართა გამოსახულებანი ებსტორფის მსოფლიო რუკაზე, ჟურნალი „საქართველოს სიძველენი“, №2, 2002.

ში ქრისტიანთა ჩაყვანას მათი განსწავლისა და განათლებისთვის. ნეტარი რეიმონდი ამგვარად შემოწმებს სამყაროს უკიდურეს პუნქტებს, საიდანაც რომში ქრისტიანები ჩაიყვანეს: „საბერძნეთიდან ინდოეთამდე და ალექსანდრიიდან საქართველომდე“. მისი აზრით, საქართველო ცივილიზებული სამყაროს უკანასკნელი პუნქტია ჩრდილოეთით, ისევე, როგორც ალექსანდრია სამხრეთით, ინდოეთი კი აღმოსავლეთით.²¹

„ერთხელ, მოციქულმა (პაპმა. – ბ. ჭ.) გაგზავნა წერილი ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია. მას ჰყავს მბრძანებლად ერთი ქრისტიანი მეფე. მან ნება დართო მოციქულს, ეხმო სამღვდლოება ამ ქვეყნიდან, რათა გაეცნოთ მათი ენა და მათი ანბანი (ქართული ენა და ქართული ანბანი. – ბ. ჭ.) ლათინი ძმებისთვის, ხოლო მათ ესწავლათ ლათინური, შემდეგ კითხვიანთ ქვეყანაში ლათინ ძმებთან ერთად დაბრუნებულიყვნენ, რათა ექადაგათ წმინდა კათოლიკური სარწმუნოება. როდესაც მოციქული წარმართავდა ამ საქმეებს, სახლთუხუცესმა განაცხადა, რომ დიდი სამუშაო იქნებოდა გასანევი ამ მიწაზე მათი ენის შესწავლისა და მათთვის ჩვენი ენის გასაცნობად და რომ ეს საქმე მოითხოვდა დიდ მოთმინებასა და დიდძალ ხარჯებს. სახლთუხუცესის სიტყვებს კარდინალთა შორის დიდი დავა მოჰყვა. [სახლთუხუცესმა] მოიყვანა ეს მაგალითი: „ერთხელ ჟოზე ერთ გზას მიუყვებოდა [საქართველოში] და დაინახა მდინარე, რომლის ნაპირებთანაც ბევრი ხალხი იდგა და უყურებდნენ კაცს, რომელიც წყალში იდგა, [ჟოზემ] მათ ჰკითხა თუ რატომ არ წავიდა ეს კაცი სხვა მხრით. მათგან ერთ-ერთმა უპასუხა: ამ დღესასწაულის

²¹ Raymond Lulle, LIVRE D'EVAST ET DE BLAQUERNE, Presses Universitaires de France, 1970, 221.

დროს ასე იქცევიან – მეხუთე დღეა, რაც სულ წყალშია. ჟოზემ მიუგო: „როდისღა ამოვა ეს კაცი წყლიდან?“ ამაზე კარდინალმა სახლთუხუცესს მტკიცედ მიუგო და უთხრა, რომ ხანგრძლივი წვრთნის ძალას შეუძლია განაფოს [ისინი] და ბოლოს იქამდე მიიყვანოს, რისი ნახვაც ქართველი სამღვდელოებისგან სურს მოციქულს. ხოლო ძალას [დაძალებას] არ ძალუძს ისინი დააცხროს ველური მდგომარეობისგან, რადგან უგულვებელყოფენ ცხოვრების ამგვარ [ევროპულ. – ბ. ჭ.] წესს“.²²

აქ ყველა სირთულეა გათვლილი – ენისა და კულტურული ბარიერი, დიდძალი ფინანსური ხარჯები. ზოგი კრიტიკულადაა განწყობილი ამ პერსპექტივისადმი, მაგრამ პაპისა და კარდინალთა პოზიცია უცვლელია. ევროპელმა მისიონერებმა უნდა ისწავლონ ქართული, ქართველებმა კი ევროპული ენები!

ველი ბულგარული წყაროები საქართველოს შესახებ

საქართველოს შესახებ ძველი ევროპული წარმოდგენების შესწავლის მხრივ სრულიად ახალ და განსაკუთრებულ განზომილებას გვთავაზობენ ძველი ბულგარული წყაროები. ბულგარეთის ძღვევამოსილ იმპერიას ძალიან ძლიერი და ფართო თვალსაწიერის მწერლობა ჰქონდა, რომელიც ხშირად უნიკალურ ცნობებს გვანვდის საქართველოს შესახებაც. პირველყოვლისა,

²² Raymond Lulle, LIVRE D'EVAST ET DE BLAQUERNE, Presses Universitaires de France, 1970, 244.

ყურადღებას გავამახვილებ ბულგარულ „Razoumnik“-ზე. XIII საუკუნის პირველი ნახევრის ბულგარული თხზულება „მიზეზთა ნიგნი“ („Razoumnik“) მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია, სადაც შეჯამებულია ეპოქის მთელი მეცნიერული ცოდნა, რომელიც კითხვა-მიგებითი ფორმითაა გადმოცემული. თავისი მდიდარი შინაარსით „Razoumnik“-ი უაღრესად ღირებული ძეგლია. მასში მოცემულია შუა საუკუნეების ინტელექტუალისათვის აქტუალური მრავალი კითხვა და პასუხი. ცხადია, ამ ევროპული სახელმძღვანელოს ცნობები საქართველოს შესახებ დიდი მეცნიერული ღირებულების მქონეა. სრული უფლება გვაქვს, თხზულებაში მოტანილი ცნობები განსახილველი ხანის საქართველოს შესახებ მივიჩნიოთ ერთ-ერთ გამოჩენულ წყაროდ ქართული ისტორიოგრაფიისათვის. საკვლევი ცნობა მოიცავს XIII საუკუნის პირველ ნახევარს. ესაა ბულგარეთის მეორე იმპერიის აღორძინების პერიოდი, რომელიც, ამავედროულად, ემთხვევა საქართველოს ოქროს ხანასაც. წინამდებარე წყაროს ისტორიულ კონტექსტს სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს. ციტირებული მონაკვეთი ვთარგმნე ტექსტის ინგლისურენოვანი ვერსიიდან: „ამგვარად, თქვენ, ძმანო, უნდა უწყოდეთ, რომ არსებობს სამი იმპერატორი ქვეყნად – სამი, მსგავსად წმინდა სამებისა ზეცად. პირველი იმპერია არის ბერძენთა, მეორე იმპერია არის ბულგარელთა, ხოლო მესამე არის ქართველთა. მამა არის ბერძენთა იმპერია. ძე არის ქართველთა და წმინდა სული არის ბულგარელთა იმპერია. ბერძენთა გამოხატავს იმპერიას ღმრთისას, ბულგარელთა – ქრისტიანობას, ხოლო ქართველთა ასევე გამოხატავს ქრისტიანობას ღმრთისადმი (ნიშნავს შემონახვას ჭეშმარიტი

ქრისტიანული რწმენისას). ყველა ხალხს შორის არსებობს თორმეტი მნიგნობრობა. მართლმადიდებლური მნიგნობრობა არის სამი – ბერძნული, ბულგარული და ქართული. ნახევრად მართლმადიდებლურია ფრანგული, გერმანული, უნგრული, ჩეხური, სომხური. უსჯულოთა მნიგნობრობა ოთხია: ებრაული, სარკინოზული, თურქული და ლიეტუვეური. ხოლო რიცხვი ყოველი ერისა არის სამოცდათორმეტი, მხოლოდ მათ ნახევარს აქვს სჯული“.²³

შთამბეჭდავია, რომ მოხმობილი ბულგარული ტექსტის თანახმად, სამყაროში არსებული სამი იმპერიიდან ერთ-ერთი ქართველთა იმპერიაა. აზრი სამი იმპერიის შესახებ, როგორც ვნახეთ, თავისებურად, მაგრამ მეტყველად სამების დოგმატთან ანალოგიითაა გადმოცემული. წყაროს ავტორმა იცის, რომ მართლმადიდებელი ხალხები, შესაძლოა, სხვანიც იყვნენ (ვთქვათ, რუსები), მაგრამ მართლმადიდებლური მწერლობა და იმპერია მათგან აქვთ მხოლოდ ბერძნებს, ბულგარელებსა და ქართველებს.

ძველი ბულგარული მწერლობა სხვა მხრივაც მდიდარია შინაარსიანი ცნობებით საქართველოს შესახებ. მაგალითად, XIII საუკუნის ბულგარული თხზულება ხალხთა განყოფის შესახებ, საქართველოს ისტორიის ერთი კიდევ უცნობი, მეტად უცხო და საინტერესო წყაროა. თხზულებაში მსოფლიოს ყველა ხალხი ამა თუ იმ ცხოველთანაა გაიგივებული. მაგალითად, წყაროს მიხედვით ფრანგები ლომები არიან, გერმანელები არწივები, მონღოლები მონადირე ძაღლები, სომხები ხვლიკები, რუსები წავეები, ბერძნებს კი, ვისთანაც ბულგარელებს ღრმა ნაციონალური შუღლი ჰქონდათ, ტექსტში განზრახ ბოლო ადგილი აქვთ მიკუთვნებული,

²³ Trencsenyi B., *Whose Love of Which Country?* Leiden, 2010, 617.

რის შემდეგაც ეს „უკანასკნელი ერი“ მელიადაა მიჩნეული. როგორც ვხედავთ, რაც უფრო მაღალი წარმოდგენისაა მოცემული წყაროს ხვადასხვა ხალხზე, მით უფრო საპატიოა ის ცხოველი, რომელსაც განსაზღვრულ ერს უკავშირებს, და პირიქით, რამდენადაც არასასურველია წყაროსთვის რომელიმე ერი, იმდენად „უპატიო“ ცხოველი, რომელსაც მის გამოხატულებად მიიჩნევს. პრინციპი საკმაოდ ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, მკითხველისთვის ძალიან საინტერესოა ცნობა საქართველოს შესახებ. ქართველ ერს ნუსხაში მერვე ადგილი უჭირავს და ვერძი შეესაბამება.²⁴

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ვერძი პოზიტიურ სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ამგვარადაა ნაგულისხმევი ის განსახილველ ცნობაშიც. ქართველთა შესახებ ამ ეპოქის სხვა ბულგარული წყაროების შესწავლამ დამარწმუნა, რომ ქართველთა აღმნიშვნელი ვერძი ამ შემთხვევაში ძალიან ღრმა სიმბოლოა. XIII საუკუნის კიდევე ერთ ბულგარულ თხზულებაში, აპოკრიფში, სახელწოდებით: „სიბილა და ასი მზის ხილვა“ გატარებულია ტრადიციული, ანტიბერძნული ხაზი. ბერძენთა მიმართ ქსენოფობიურად განწყობილი ბულგარელი რედაქტორების მიხედვით, ბერძნები მრავალგზის ნვალებისკენ მიდრეკილი, ვერაგი, მტაცებელი და შეცდომილი ერია. ამის საპირისპიროდ კი ქართველები ღვთისმოსავი, უმნიკვლო რწმენის შემნახველი, სტუმართმოყვარე და უცხოთშემწყნარებელი, ასევე წრფელი, უზაკველი ხალხია. საინტერესოა, რომ ეს მოსაზრება დიდ გრიგოლ ბაკურიანის ძესთან და გიორგი მთაწმინდელთანაც გვხვდება. „სიბილა და ასი მზის ხილვა“: „მერვე მზე აღნიშნავს იბერებს, მართალ და სტუმართმოყვარე ხალხს (უცხოთ მოყვარულთ); ისინი

²⁴ Les Tzacones, Stamatis C. Caratzas, Walter de Gruyter, May 7, 2012, 43.

იცავენ ეკლესიას, აქვთ მოშიშება ღმრთისა და იმარხვენ მის წმიდა სიტყვას. მათ შორის არ არის მზაკვრება და სწორედ მათზეა ნათქვამი: „ნეტარ არიან თვინიერნი“ (რამეთუ ისინი ჰპოვებენ ხსნას). ...მეცხრე მზე აღნიშნავს თათრებს, რომელთაც სისხლი დაღვარეს დედამინაზე და არავის შეუძლია წინ აღუდგეს მათ“.²⁵

ამ ორი, თანადროული ბულგარული წყაროს მონაცემების შედარებისას პირველყოვლისა, თვალსაჩინოა საერთო ნუმერაცია. ორივე ძეგლში ქართველებს ნუსხაში მერვე ადგილი უჭირავთ, საიდანაც ჩანს, რომ ეს ტექსტები საერთო ტრადიციას განეკუთვნებიან, რომელიც შესაძლოა ჩვენთვის უცნობ რომელიმე ბულგარულ პირველწყაროში იყო მოცემული. შინაარსობრივადაც ტექსტები ახლოს დგანან ერთმანეთთან. მაგალითად, ანტიპათია ბერძნებისადმი და სიმპათია ქართველებისადმი, რაც ორივე ტექსტიდან რელიეფურად გამოსჭვივის. ვფიქრობ, მსგავსება კიდევ უფრო ღრმაა. „სიბილას ხილვის“ თანახმად, ქართველები ღვთისმომშიში, წრფელი და თვინიერი ხალხია. იგივეა ნაგულისხმევი ხალხთა განყოფის წიგნშიც, სადაც ქართველებს ვერძი (მამალი ცხვარი) შეესაბამება. ცხვარი სწორედ ღვთისმომშიშების, უზაკველობისა და თვინიერების სიმბოლოა. შემთხვევითი არაა, რომ ქართველთა სიმბოლოდ აქ არა უბრალოდ ცხვარი, არამედ ვერძი დასახელდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობ, დაიჩრდილებოდა ქართველთა ნაციონალური ხასიათის მეორე, რამდენადმე ბრუტალური ასპექტი – სამხედრო ტემპერამენტი. გავრცელებული ტრადიციული შეხედულებით, ქართველები უბრალო და

²⁵ Gaster M., The Sibyl and the dream of one Hundred Suns, Journal of the Royal Asiatic Society, Vol.42, N.3, 1910, 609.

გულითადი ხალხი იყვნენ, მაგრამ მეორე მხრივ, მძვინვარე მებრძოლებიც. მაგალითად, ლეონჰარდ როიხვოლფენი წერს: „ქართველები არიან კეთილნი და უბრალონი, მიუხედავად ამისა – ძლიერი და შეუპოვარი მეომრებიც“.²⁶

ქართველებთან დაკავშირებული სწორედ ეს თვალსაზრისია გადმოცემული საუცხოოდ ვერძის სიმბოლოში, რომელიც ერთი მხრივ, ცხვარია და განასახიერებს ღვთისმოსაობასა და უმანკოებას, მეორე მხრივ კი „მამრი მწერბავია“, გამანაყოფიერებელი, ძლიერი, მებრძოლი და თავმომწონე წინამძღოლი. ამრიგად, ვერძის სიმბოლოში აქ შეჯამებულია ქართველებთან დაკავშირებული ევროპული წარმოდგენები. საკუთრივ, ძველი ქართული კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ – „სისრულე“, რომელიც შედეგობდა „საღმრთო“ და „საკაცობო“ სათნოებათაგან.

შესაბამისობები „სიბილას ხილვასა“ და „ხალხთა განყოფის“ წიგნში შესაძლოა კიდევ უფრო ღრმა იყოს. „სიბილას ხილვაში“, როგორც ვნახეთ, აღნიშნულია, რომ ქართველები იცავენ ღვთის სამწყსოს, ეკლესიას. შესაძლებელია სწორედ ესაა თავისებურად ნაგულისხმევი ხალხთა განყოფის წიგნშიც, რომელშიც ქართველი ერის გამოხატულებად ვერძია მიჩნეული. ვერძი კი, ანუ მამალი ცხვარი აკი სწორედ სამწყსოს მცველია.

„ქართველი რაინდის შტანდარტი“

საქართველოს სამხედრო ისტორიის ზედაპირული ცოდნაც კმარა იმის დასანახად, თუ რამდენად დიდი იყო

²⁶ ალ. თვარაძე „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში“, 2004, გვ. 173.

ქართული სამხედრო იდეალების განვითარებაში წმინდა გიორგის როლი. ქართველი მოყმეები, შეიძლება ითქვას, რაინდები, სწორედ მისი კულტის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი. შუა საუკუნეების წყაროთა უმეტესობის თანახმად, საქართველოს ევროპული ეთნონიმი „Georgia“ გიორგი მთავარმონაშის სახელიდან წარმოდგებოდა. ტრადიციულად, წყაროები ქართველებზე საუბარს სწორედ იმ დეტალით იწყებენ, რომ გიორგის კულტი ყველაზე პოპულარულია. წმინდა გიორგი, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, „ჯვაროსანთა პატრონი“ და წინამძღოლი იყო. ამიტომ მისი კულტის უანალოგო პოპულარულობა საქართველოში სხვა არაფერია, თუ არა ქართული ჯვაროსნული იდეალების კანონზომიერი გამოხატულება. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობი ავტორი, ინგლისელი ლექსიკოგრაფი თომას ბლაუნტი (1618-1679) წერს: „ისინი დიდ პატივს სცემენ წმინდა გიორგის, კაბადოკიელ წამებულს, ისე, როგორც გარტერის როიტები [რაინდები] სცემდნენ მას ამგვარსავე პატივს ინგლისში. ყოველთვის დაატარებენ მის გამოსახულებას თავიანთ ალმებზე“.²⁷ პარალელი, რომელსაც აქ ავტორი წმინდა გიორგის ინგლისელ რაინდებს – როიტებსა და ქართველებს შორის ავლებს, ნიშანდობლივია. მართლაც, ქართველ მოყმეთა წინამძღოლად, ისევე როგორც ინგლისელი როიტებისა, წმინდა გიორგი მიიჩნეოდა.

დედოფალ ვიქტორიას მმართველობისას, Alexander Brunet-მა შეკრიბა ძველი ლეგენდები დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის შესახებ. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ერთ-ერთის სახელია „ქართველი

²⁷ Glosographia, New York, (1656), 1972.

რაინდი და გველეშაპი“. სსენებული ლეგენდა გვიამბობს: „იმპერატორმა ტრაიანემ, გურჯისტანში (დღევანდელი საქართველო) ომისას, ხელში ჩაიგდო შტანდარტი, რომელზეც გამოსახული იყო მხედრის მიერ განგმირული გველეშაპი. მან მიიღო ეს, როგორც ნიშანი და აღმართა თავისი იმპერიის ყველა პროვინციაში. ტრაიანეს შტანდარტი, რომელზეც გამოსახულია გველეშაპის გამგმირავი ქართველი მხედარი, მას შემდეგ გავრცელდა მთელი ბრიტანეთის ციხე-კოშკებში.²⁸ საქსონებთან ბრძოლისას ბრიტონებმა „აღმართეს შესანიშნავი ლაბარუმი ანუ ტრაიანეს შტანდარტი, რომელზეც გამოსახული იყო გველეშაპის გამგმირავი ქართველი რაინდი, თუმცა, მათ იგი მიუძღვნეს ალბიონს, კუნძულის მფარველ პირველ ღმერთს. აქედან მოყოლებული, ალბიონი გამოისახებოდა, როგორც გველეშაპის გამგმირავი რაინდი თეთრ ცხენზე. ბრიტანეთის ბევრმა ქალაქმა მიიღო იგი, როგორც ნიშანი მათი მტკიცე კარიბჭეებისა“.²⁹ ამ განსაცვიფრებელ ცნობაში წმინდა გიორგის ბრიტანული კულტი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო, გამოცხადებულია ქართული წარმოშობის მქონედ. რასაკვირველია, ეს მხოლოდ ლეგენდაა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტრაიანეს სახელს მართლაც უკავშირდება სამხედრო აქტივობა კავკასიის რეგიონში. ყველაზე საინტერესო, ვფიქრობ, ისაა, რომ არაერთი ქართველი მკვლევრის აზრით, წმინდა გიორგის კულტი საქართველოში მართლაც წარმართული ხანისაა და ქრისტიან წამებულთან საერთო მხოლოდ სახელი აქვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წმინდა გიორგის სახელობის სალოცავები საქართველოში

²⁸ Alexander Brunet. „The Regal Armorie of Great Britain“, 1839, 114.

²⁹ იქვე. გვ. 119.

იმაზე ბევრად მეტი იყო, ვიდრე თავად იესო ქრისტეს სახელზე აგებული ტაძრები. ეს გაუგონარი მოვლენა, რა თქმა უნდა, ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ თეოლოგიას და მას მართლაც სხვა, არაქრისტიანული, შეიძლება ითქვას, ქართული წარმართული ფესვები აქვს. ეს საკითხები ჩვენთვის კვლევის მთავარი საგანი არაა. ჩვენი მიზნებისთვის არსებითია ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მთავარი ჯვაროსნული კულტი და ატრიბუტი – „შესანიშნავი ლაბარუმი“ – წმინდა გიორგის შტანდარტი მიჩნეულია ქართული წარმოშობის მქონედ. საკუთრივ მხედრის გამოსახულების შესახებ კი ნათქვამია, რომ ის „ქართველი რაინდია“ – „Georgian Chevalier“.

ჯერ კიდევ გიორგი ჩუბინაშვილი ვარაუდობდა, რომ ცხენოსანი წმინდა გიორგის სახე ქრისტიანულ სამყაროში საქართველოდან უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან არსადაა მიკვლეული მხედარი წმინდა გიორგის იმდენი გამოსახულება, რამდენიც საქართველოში და არსად ისე ადრინადად, როგორც საქართველოში.³⁰ ჩვენგან ზემოთ განხილული უცნობი წყარო მხედარ გიორგის გამოსახულების საქართველოდან გავრცელების შესახებ მთლიანად ადასტურებს ამ მოსაზრებას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გიორგი გიორგიელთა – ქართველ მხედართა წინამძღოლად და სიმბოლოდ მიიჩნეოდა. იოლი დასანახია, რომ იგივეა ნაგულისხმევი განხილულ ბრიტანულ წყაროშიც.

წმინდა გიორგის კულტი და მისი ატრიბუტები ჯვაროსნულ მოძრაობას უკავშირდებოდა, ისევე, როგორც იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშა. თომას ბლაუნტი და შუა საუკუნეების ბევრი სხვა ავტორიც მოწმობს, რომ

³⁰ გ. აკოფაშვილი. „რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში“, 1992, 164.

ქართველებს წმინდა გიორგის, მაშასადამე, ჯვაროსნული დროშა აქვთ, მაგრამ წყაროთა მეორე ნაწილის მიხედვით, ქართველთა დროშა იერუსალიმურ-ხუთჯვრიანია. ეს ცნობები სულაც არაა ურთიერთგამომრიცხავი. ჩანს, ისინი დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ან იქნებ, სულაც ერთდროულად გამოიყენებოდა. მთავარია, რომ როგორც გიორგის, ისე იერუსალიმურ-ხუთჯვრიანი დროშა ჯვაროსნულ დროშებად, ხოლო ქართველები თანადროულ წყაროებში აღმოსავლეთის ჯვაროსნებად მიიჩნევიან.

ჯვარი და წმინდა გიორგის გამოსახულება ქართული დროშის მთავარი ელემენტები იყო. რიგ შემთხვევაში საქმე კომბინირებულ ვარიანტებთანაც უნდა გვექონოდა. საქართველოს დროშის შესახებ ამ თვალსაზრისით საგულისხმო ცნობა მოიპოვება ლიუდოლფ ზუდჰეიმთან, რომელიც გიორგი ბრწყინვალის ეპოქას ასახავს. ზუდჰეიმი წერს: „ქართველები მამაცი მებრძოლებია. ატარებენ წვერს, როგორც ბერძნები, მაგრამ მათგან განსხვავდებიან სხვა გარეგანი ასპექტებით. აქვთ თავიანთი ენა, როგორც ლათინებს. თავიანთ დროშებზე კი გამოსახავენ წმინდა გიორგის ჯვარში (sancti georgii in cruce). სულთნის სამეფოში ისინი გადასახადს არ იხდიან“.³¹

რისტეს საფლავი ქართველთა ხელში

ჯვაროსნული მოძრაობის გულისგული, ცხადია, ქრისტეს საფლავის დახსნა იყო. სწორედ ამას ესწრაფოდა ქართული ჯვაროსნული მოძრაობაც, რომელმაც ამ მიზანს

³¹ Notes Latines sur les Nestoriens, revue de l'histoire des religions, t. 78, 1918, 248.

რამდენჯერმე (სამჯერ) მიაღწია, რაც ფეოდალური ქართული სახელმწიფოს – პრესვიტერ იოანეს იმპერიის არნახულ ძლევამოსილებაზე მეტყველებს.

ქართული მონარქიის მიღწევები არა მხოლოდ თანამორწმუნე ჯვაროსანთა, არამედ ჯვაროსანთა უმთავრესი მტრების – ეგვიპტელი მუსლიმების ჩანაწერებშიც აისახებოდა. აქაური ისტორიკოსები ქართველი მეფის, გიორგი ბრწყინვალის შესახებ წერენ: „რომელიც ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის... უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის“.³²

ქართული ჯვაროსნული მოძრაობა ლოგიკურ ფინალს სწორედ გიორგი ბრწყინვალის ზეობისას მიუახლოვდა. ქართველებმა მოიპოვეს ქრისტეს საფლავის ფლობის უფლება. თავდაპირველად მოვიხმობთ ამ მოვლენათა შესახებ არსებული ქართული წყაროს ვრცელ ჩანაწერს, რომელსაც შემდეგ აუცილებლად გადავამოწმებთ უცხოურ წყაროებშიც. ავგაროზთან ვკითხულობთ: „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო. და დიდად შეწუხდა მეფე გიორგი (V). მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელსა ერქვა პიპა, გზასა ხმელთასა მრავლითა ძღვენითა წინაშე ნისრელისა (ე.ი. ეგვიპტის სულთნისა), და ნაჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პიპა წინაშე ნისრელისა, ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღვენი იგი და მისცა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვია, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღვართმოძღვრად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა

³² გოჩოლეიშვილი დ., საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში, 1977, 260.

ერსა ცხრაზმისხევისასა, რომელ მოძღვართმოძღვრობა ნურავის ხელენიფების გარდა ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღვართმოძღვარი. ხოლო პიპამან მოილოცა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი მშვენიერნი და ნამოვიდა მასვე გზასა ხმელეთით და მოვიდა წინაშე მეფისა და მოილო იერლაცი შეწყალებისა და აღსრულება ყოვლისა სათხოვლისა მისისა. ფრიად გაიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცეს კლიტენი ქართველთა“.³³

ამ მოვლენას ადასტურებენ უცხოური წყაროებიც – „წმინდა საფლავთან არსებულ ეკლესიაში ცხოვრობენ ქართველი ბერები, მათ აბარიათ წმინდა საფლავის ეკვდერის გასაღები“ (ლიუდოლფი, 1350 წ.).³⁴ ეგვიპტის სულთანი, რომელმაც ქრისტეს საფლავი, მთელი საქრისტიანოს ეს შეუფასებელი სიმდიდრე, ქართველებს გადასცა, ჩანს, ქართველთა მეფეს უდიდეს ქრისტიან პოლიტიკოსად მიიჩნევდა. მართლაც, გიორგისადმი მისი მიმართვა, სწორედ ამის შესახებ მეტყველებს: „მაღალი ალლაჰი ხანგრძლივს ყოფს ბრწყინვალებას მისი მეფური უდიდებულესობისა, დიდებულის, გულადის, მამაცის, ლომის, მეთაურის, მრავალგზის თავდამსხმელის, ლომგულის, ტახტის მპყრობელის, გვირგვინოსნის, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, თავის სამწყსოსადმი სამართლიანისა, საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულტნისა, ზღვებისა და სრუტეების სამეფოს განძისა, რაინდთა სამეფოს დამცველისა, ტახტ-გვირგვინოსანთა

³³ მესხია შ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (სამეცნიერო მივლინების ანგარიშიდან), წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, 350.

³⁴ ჰარტი ჰ., მარკო პოლო, ნ. თარგამაძის თარგმანი, თბილისი, 2011, 108.

შთამომავლისა, რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ქრისტიანობის განმამტკიცებლისა, ქრისტიანობის შემნისა, საქრისტიანოს გამირთ მესიისა, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმადიდებლისა, ნათლისღებულთა ბურჯისა, რომის პაპის შემნისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე გულწრფელისა, მეფეთა და სულტანთა მეგობრისა“.³⁵

აქ ყველაფერი პირდაპირაა ნათქვამი, თითქმის ისიც კი, რომ ქართველთა მეფე ქრისტიანთა მესიანისტური ფიგურაა, ჯვაროსანთა შემნეა. საგულისხმოა, რომ გიორგი ბრწყინვალის შესახებ ამავეს გვამცნობს იოჰანეს დე კოლუმნაც. მისი გადმოცემით, ქართველთა მეფე უაღრესად მძლავრი და ჯვაროსნებისადმი კეთილგანწყობილია.

ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქაში, განსაკუთრებით V ჯვაროსნული ლაშქრობისას, პრესვიტერ იოანესა და დავითის ციკლების სახით, იქმნებოდა მრავალი ლეგენდა და წინასწარმეტყველება, რომელთაც ჯვაროსანთა საბრძოლო სულისკვეთება უნდა აემალლებინა. ამის შესახებ საკმარისია აღინიშნოს მათი საერთო თავისებურება, რომელიც გამოიხატებოდა მოლოდინში, რომ იერუსალიმის დასახმარებლად აღმოსავლეთიდან ორი დიდი მეფე მოვიდოდა, მათგან ერთი, პრესვიტერი ან მისი შთამომავალი იქნებოდა. ისინი მოსრავდნენ სარკინოზებს და ქალაქს ქრისტიანებს გადასცემდნენ. ამ ორ დიდ მეფეში, ცხადია, ჯვაროსნული წინასწარმეტყველებანი მონღოლთა და ქართველთა მმართველთ გულისხმობდა, რომელნიც აღმოსავლეთში სარკინოზთა ყველაზე ძლიერი მტრები იყვნენ.

ეს წინასწარმეტყველებები, სინამდვილეში, არანაირ სასწაულებრივ ხასიათს არ ატარებდა. მონღოლები და

³⁵ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.3, თბილისი, 1982, 203.

მათი მოკავშირე ქართველები რეალურად აპირებდნენ სარკინოზთა ხელთ არსებული მნიშვნელოვანი ცენტრების, მათ შორის, ბალდადისა და იერუსალიმის აღებას. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ 1258 წელს მათი პირველი ნაწილი აღსრულდა, რომელიც ქართველთაგან ბალდადის აღებას გულისხმობდა. დომინიკელი ვილჰელმ ადამი, ისევე, როგორც სხვა თანადროული ავტორები, ბალდადის აღებაში ქართველთა ფაქტორს განმსაზღვრელად მიიჩნევენ: „ქართველებს ჰყავთ მეფე, რომელსაც მუდამ დავითს უწოდებენ. ისინი არიან უმაგრესი მეზობლები მთელ აღმოსავლეთში, მუდამ სწყურიათ სარკინოზთა სისხლი... ამგვარი ბუნებისაა ეს ხალხი, ისე, რომ სპარსეთის იმპერატორი (მონღოლთა ილხანი) მათი მძლავრი ხმლის დახმარების გარეშე ვერასდროს დაამარცხებდა სარკინოზებს, ამიტომ, როდესაც მონღოლებს ბალდადისათვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული, ვერც ერთხელ შეტევა ვერ მიიტანეს, ვიდრე ქართველთა ჯარი არ გამოჩნდა“.³⁶

ბალდადზე ქრისტიანი მეფის თავდასხმის მოლოდინი არსებობდა არა მხოლოდ ჯვაროსნულ წრეებში, არამედ საკუთრივ მუსლიმებშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ათა მალიქ ჯუვეინს ამ საფრთხის რეალური სათავეც მკაფიოდ აქვს განსაზღვრული: „...უგვანო და ურწმუნო ქართველებმა განიმტკიცეს ხარბი სურვილი ვილაიეთის დასაკუთრებისა, რათა პირველ რიგში სულთანი განედევნათ და თავრიზის მხარე დაეპყროთ, შემდეგ ბალდადს ნასულიყვნენ, კათალიკოსი დაესვათ ხა-

³⁶ თვარაძე ალ., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში: XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე, თბილისი, 2004.

ლიფის ადგილზე, მეჩეთები ეკლესიებით და ჭეშმარიტება სიცრუით შეეცვალათ. ამ პატივმოყვარე სურვილისა და ამპარტავანი უგუნურების გამო, თავისი ხალხის სიმა-
მაცის და ბასრი შუბებისა და მახვილების იმედით, ჯარი შეკრიბეს, ოცდაათ ათასზე მეტი კაცი გაამზადეს და დაიძრნენ“.³⁷ ჯვაროსნულ წრეებში არსებული მოლო-
დინის თანახმად, პრესვიტერ იოანეს შთამომავალი, დი-
დი ქრისტიანი მეფე ბაღდადის წინააღმდეგ მიიწვედა.
სწორედ ამ ამბის გამოძახილი ჩანს ის, რის შესახებაც აქ
ჯუვეინი გვიამბობს – ქართველები ბაღდადისკენ წასვლას,
ხალიფის ჩამოგდებას, იქ კათალიკოსის დასმასა და
მეჩეთების ეკლესიებით შეცვლას აპირებდნენ. როგორც
ჩანს, ამგვარ ხმებს თავად ქართველები ავრცელებდნენ.
ამავე მოვლენებზე საუბრისას, იორდანუსი გადმოგვ-
ცემს, რომ „ქართველები ეპისტოლეებით მოუწოდებ-
დნენ ჯვაროსნებს ბრძოლებისაკენ, აღაფრთოვანებდნენ
მათ საბრძოლო სულისკვეთებას... ამასთანავე, მიუთი-
თებდნენ, რომ მათთვის სირცხვილი იქნება, თუ
[თავად] არ გადაწვავენ დამასკს, არ დაიმორჩილებენ
უნმინდურ ცრუმორწმუნეთა სხვა მთავარ ადგილებს
და იარაღით არ შეებრძოლებიან ურწმუნოებს“.³⁸
ამგვარად, მუსლიმურ წრეებში გავრცელებული აზრი
ქართველთა ბაღდადის წინააღმდეგ დაძვრის შესახებ,
სათავეს თავად ქართველთაგან დაყრილი ხმებისაგან
უნდა იღებდეს. მოხმობილი წყარო გვიჩვენებს, რომ ამ
მოლოდინის რეალური საფუძველი საქართველოს მეფის
(დინასტიური სახელით – დავითის) გაცემული დაპირებაა

³⁷ კიკნაძე რ., ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1974.

³⁸ ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I (XIII-XVI სს.), თბილისი, 1984.

ჯვაროსნებისათვის, ეს დაპირება გულისხმობდა, რომ ქართველთა მეფე დაიმორჩილებდა „უწმინდურ ცრუმორწმუნეთა მთავარ ადგილებს“, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება მოაზრებულებო მუსლიმური სამყაროს სულიერი ცენტრი – ბაღდადი. მას შემდეგ, რაც ამ ვარაუდამდე დამოუკიდებლად მივედი და ტექსტის ეს მონაკვეთიც უკვე დაწერილი მქონდა, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ უფრო ადრე, დაახლოებით ამგვარად ფიქრობდა პროფესორი ბრუნიც.³⁹ განსახილველ პერიოდში ჯვაროსნებისთვის ქართველთა ფაქტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. თუ აქ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ, რომ საქართველოს მეფე, ვინც თავისი დაპირებებით ასე აღაფრთოვანებს ჯვაროსნებს, ატარებს დინასტიურ სახელს – დავითს, ყველაფერი ნათელი გახდება. მეფე დავითი ქართველთა მეფეა, ხმები კი იმის შესახებ, რომ დავითი ისლამური სამყაროს უმნიშვნელოვანეს ცენტრებს დაიპყრობს, სათავეს იღებს საკუთრივ ქართველთა ქადილისაგან – „უწმინდურ ცრუმორწმუნეთა მთავარი ადგილების დამორჩილების“ შესახებ, რასაც ამ „სითავხედით“ აღმწვთებული მუსლიმი მართლმორწმუნე, ენამჭევრი ჯუვეინი, პატივმოყვარე სურვილსა და ამპარტავან უგუნურებას უწოდებს.

ლათინური რაპორტების მიხედვით, მეფე დავითმა ბაღდადის ხალიფის დამხობა განიზრახა და მოსთხოვა ქალაქის გადაცემა, რათა იქ მის ნაცვლად თავისი პატრიარქი დაესვა. დავითის მოციქულები ხალიფას უცხადებენ: „ჩვენს მეფეს, ბაღდადი ჩვენი პატრიარქის დასაჯდომელად სურს“.⁴⁰

³⁹ Брун Ф., О Странствованіяхъ Царя-Пресвитера Иоанна, Одесса, 1870, 23-25.

⁴⁰ Sheir A.M.A., From a Christian Saviour to a Mongol Ruler: The influence of

კიდევ ერთხელ მოვიხმობთ ათა მალიქ ჯუვეინის ცნობა, რომლის მონმობითაც, ქართველებს (რომელთა მეფის საზოგადო სახელადაც ევროპელ ავტორებს ამ ხანაში სწორედ „დავითი“ მიაჩნიათ), განზრახული ჰქონდათ, „კათალიკოსი დაესვათ ხალიფის ადგილზე, მეჩეთები ეკლესიებით და ჭემმარიტება სიცრუით შეეცვალათ“⁴¹ და ყველაფერი დალაგდება. ჯვაროსანთა მოსაზრებით, მეფე დავითი, რომელიც ბაღდადში ხალიფის ნაცვლად თავისი პატრიარქის დადგინებას გეგმავს, საქართველოს მეფეა, მისი პატრიარქი კი საქართველოს ეკლესიის მეთაური, რომელიც სწორედ კათალიკოსის ტიტულს ატარებდა და ატარებს. ამგვარად, ქართულ ჯვაროსნულ მოძრაობას ჰქონდა როგორც განმათავისუფლებელი, ისე შეტევითი მიზნები. ის ერთი მხრივ განიზრახავდა იერუსალიმის გათავისუფლებას, მეორე მხრივ კი შეტევას „სარკინოზთა“ მსოფლიო დედაქალაქზე, ბაღდადზე. მონღოლებთან კოალიციით ქართველებმა ამ გეგმის ორივე პუნქტის შესრულება შეძლეს. ბაღდადის აღებაში ქართველთა გადამწყვეტი ფაქტორი დიდი იმედის მომცემი იყო არაბი ქრისტიანებისათვის, რომლებიც მუსლიმური ხელისუფლების პირობებში დიდ ეკონომიკურ და მორალურ შევიწროებას განიცდიდნენ. ქალაქის აღებისას ქართველებმა დაიცვეს ქრისტიანი მოსახლეობა. ყველაფერმა ამან არაბ ქრისტიანებზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამიერიდან მათთვის ქრისტიანული სამყაროს მხსნელები ქართველები იყვნენ და არა დასავლეთ ევროპელი

Prester John's Glamor on the Muslim-Crusader Conflict in the Levant, 1140s-1250s, Rivista dell'Istituto di Storia dell'Europa Mediterranea, N3, 2018, 33.

41 კიკნაძე რ., ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1974, 28.

ჯვაროსნები.

ეს განწყობები კარგად იკითხება XIII-XIV საუკუნეების ჩვენში უცნობ არაბულ-ქრისტიანულ აპოკალიფსურ თხზულებაში „აღთქმა უფლისა ჩვენისა“, რომელშიც ბოლო ჟამის წინ მთავარ ქრისტიანულ ძალად ქართველები არიან მიჩნეული. ხსენებული წინასწარმეტყველების თანახმად, ქართველები აიღებენ ბაღდადს, მაგრამ ტექსტის ავტორი ამით არ კმაყოფილდება. მან იცის, რომ ქართველებმა ერთხელ უკვე აიღეს ბაღდადი და ამატებს, რომ აპოკალიფსამდე ქართველები არა მხოლოდ აიღებენ ბაღდადს, არამედ მის მართვასაც დაიწყებენ. „შვიდი სულთანი შეცვლის მას და ისინიც მოკლული იქნებიან, სანამ ქართველები საბოლოოდ დაიპყრობენ ბაღდადს და მართავენ მას. და ამ დროს, მათ (მუსლიმთა) შეცოდებათა სიმრავლის გამო, მათი მჩაგვრელობის, უსამართლობის და მამრის მამრთან აღრევის სისაძაგლის (mujāmaʿat al-dhukūr) გამო ღმერთი წაიღებს ძლევას ისმაილის ძეთაგან“.⁴²

XIII-XIV საუკუნეების ამ წინასწარმეტყველებიდან საუცხოოდ ჩანს, თუ რა მაღალი წარმოდგენისა იყო მაშინდელი ქრისტიანული სამყარო საქართველოზე, მიუხედავად მონღოლთა ჰეგემონიისა. შეიძლება ითქვას, რომ აქ ქართველები მსოფლიოს მთავარ ქრისტიანულ ძალად არიან დანახული.

ილხან მონღოლთა ლაშქარში რომ წამყვანი ქართული შენაერთი იყო, კარგად ჩანს თავად მონღოლური პირველწყაროდან – არღუნ ყაენის წერილიდან საფრანგეთის მეფე ფილიპესადმი, რომელიც აღმოსავლელი

⁴² Unknown author, „Testament of our Lord“ (on the invasions of the Mongols), Christian-Muslim Relations. A Bibliographical History. Volume 4 (1200-1350), David Thomas, Alexander Mallett, BRILL, Aug 3, 2012, გვ. 745.

პატრიარქის – მარ იაბჰალაჰა III-ის ისტორიაშია დაცული. წერილში ყაენი აცხადებს: „თუკი თქვენ, საფრანგეთის მეფე, პირადად მოხვალთ ამ მსახურებისათვის (ჯვაროსნული ლაშქრობა წმინდა მიწის გასათავისუფლებლად. – ბ. ჭ.), არღუნი მოიყვანს საქართველოს ქრისტიან მეფეებს, რომლებიც მისი ქვეშევრდომები არიან. ისინი დღედაღამ ლოცულობენ, რათა ღმერთმა გახადოს ამ მსახურების მონაწილენი. მათ შეუძლიათ გამოიყვანონ 20 ათასი მხედარი და მეტიც“.⁴³

1300 წელს ჯვაროსნულ წინასწარმეტყველებათა მთავარი ნაწილიც „აღსრულდა“. პრესვიტერმა იოანემ, ანუ ქართველთა მეფემ, წმინდა ქალაქი დაიკავა. ამ უაღრესად საგულისხმო მოვლენის შესახებ, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში რატომღაც სავსებით უგულებელყოფილია, წყაროებში ვკითხულობთ: გიორგი პახიმერე – „უმეტესად, ქართველნი მაღალი აგებულებისანი არიან და აქვთ წმინდა, შეურყვნელი სარწმუნოება, [ყაზან ყაენმა] როცა გაიგო, რომ ჯვარი ქრისტიანთა წინმძღოლი აღამია, მისი ქართველი ფარისმტვირთელები მოათავსა საკუთარი ლაშქრის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში... [ყაზანმა] აიღო იერუსალიმი მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველები გაეხარებინა უფლის ცხოვრების მომცემელი საფლავით“.⁴⁴

პახიმერე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ყაზანის ლაშქარი, რომელმაც იერუსალიმი აიღო, ჯვრისნიშნისანი აღმებით იყო აღჭურვილი. აღნიშნულ დეტალზე ყურადღების გამახვილებით ავტორს სურს გვაჩვენოს, რომ ეს ჯვაროსნული ლაშქრობაა, რომლის

⁴³ Histoire de Mar Jabalaha III et du moine Rabban Cauma, 1895, 230-234.

⁴⁴ Korobeinikov D., Byzantium and Turks in the Thirteenth Century, Oxford University Press, 2014, 207.

მთავარი მიზანიც, მისი სიტყვით იყო „ქართველთა გახარება უფლის საფლავით“. წყარო აღნიშნავს, რომ ქალაქი ყაზანმა აიღო, მაგრამ აქ მხოლოდ ის სინამდვილე იგულისხმება, რომ ქალაქი აღებულ იქნა ყაზანის ქვეშევრდომობაში მყოფი ქართველებისაგან. სწორედ ამ დამსახურებისათვის ყაენმა ქალაქი ქართველებს გადასცა. ოქტავ ეპიფანიელი: „1300 წელს, იერუსალიმში ქრისტიანებმა შეძლეს აღდგომის აღნიშვნა... გაზანმა იერუსალიმი ქართველებს გადასცა“.⁴⁵ ყაზან ყაენმა ეს გულუხვი ჯილდო ქართველთა მეფე ვახტანგ III-ს მიუძღვნა, რომელიც მისი უმთავრესი სამხედრო დასაყრდენი იყო. ჩვენს ისტორიოგრაფიაში უცნობი მეტად საგულისხმო ლათინური წყარო „Flores Historiarum“-ი შენიშნავს, რომ ამავე დროს, მონღოლთა და ქართველთა მეფემ მრავალი ათასი სარკინოზი დახოცა „შურის საძიებლად ქრისტიანთა სისხლისთვის, რომელიც დაიღვარა აკკონში, ტრიპოლსა და სხვაგან, წმინდა ადგილებში“. ამ ძვირფას ცნობაში ნაგულისხმევია, რომ ქართველთა მეფემ, როგორც პრესვიტერმა იოანემ, შური იძია სარკინოზთაგან განადგურებული ჯვაროსანი ქრისტიანებისათვის. ამდენად, გადმოცემა პრესვიტერ იოანეს შესახებ უბრალო ლეგენდად არ დარჩენილა. შეიძლება ითქვას, რომ ის აღსრულებული პოლიტიკური წინასწარმეტყველებაა.

მოხმობილ წყაროებში ნაგულისხმევი საქართველოს მეფე, როგორც აღინიშნა, ვახტანგ III-ა, რომელმაც შემდგომში აღმსარებლის ღვანლიც იტვირთა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. ქართულ წყაროში მის შესახებ ვკითხულობთ: „ყველა-

⁴⁵ Peradze G., An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine, As Revealed in the Writings of Non-Georgian Pilgrims, Georigica, Vol.1, №4-5, 1937, 188.

ნაირად სრულყოფილი, მტკიცე სარწმუნოების, ეკლესიათა პატივის მცემელი, მშვიდი, თავმდაბალი, უშურველი, მყუდრო და უშფოთველი“.

„ახალ ქართლის ცხოვრებაში“ შემონახულია კიდევ ერთი აღწერილობა ქართველთა ჯვაროსნული ლაშქრობისა წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად, რომელსაც ადგილი XVI საუკუნეში ჰქონდა. ამ მშვენიერი თხრობის ზოგი დეტალი შეიძლება სადავო და რამდენადმე ფოლკლორიზებული იყოს, მაგრამ მთლიანობაში აღწერილობა სარწმუნოა და საუკეთესოდ ასახავს ქართული ჯვაროსნული მოძრაობისათვის დამახასიათებელ წმინდა მინის ერთგულებას, თავგანწირვას ქრისტეს საფლავისათვის და მომხიბლავ, ლალ შემართებას.

„ხოლო ამას უამს წარმოუგზავნა კაცი ხონთქარმან მეფეს გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მპყრობელსა კახეთისასა ლევანს, ვითარმედ: „საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდათანი სჯულისა თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილწეს, მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მიმიცემიაო“. ხოლო, რა ესმა მეფესა გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა და კახეთისასა, და ყოველთავე მორჩილთა ბრძანებისა მათისასა, განიხარეს და შეიყარეს სპა და გაემართნენ. და რა მივიდნენ იერუსალიმსა და ესმა მუნა-მყოფთა მისვლა ამათი, წარმოუგზავნა კაცი და ესრეთ შემოუთუალა: „უკეთუ სტუმარი ხართ, მაშ მტერობა რა არისო, და სტუმრად ბევრნი ხართო, და უკეთუ ბრძოლად მოსრულხართ, მცირენი ხართო“. ხოლო ამათ მიუმცნეს ბრძოლად მისვლა. რა ესმა მათ საქმე ესე, გამოვიდნენ და ეწყუნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერად. და მოსცა ღმერთმან ძლევა ქართველთა და საფლავმან ქრისტესმან და

გამარჯუათ. და მეოცნი შევიდნენ ქალაქსა შინა და გა-
ამაგრეს. ხოლო მიჰყვნეს ქართველნი და აართვეს ციხე
და ქალაქი და მოსრნეს მუნა-მყოფნი მრავალნი ყოველ-
ნივე და განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი
წმიდანი ადგილნი. და მიუმცნეს ხვანთქარსა საქმე ესე და
წარმოუგზავნა ხალათი და წყალობა მრავალი: და მოსცა
ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონას-
ტერი და სხუანი მონასტერნი ყოველნივე ხონთქარმან მათ
სიგელითა მტკიცითა. ხოლო განიხარა მეფემან გიორგი
და ბატონმან ბაგრატ და ლევან, და წარმოვიდნენ თჳსსა
ადგილსა და მოვიდნენ მშჳდობით გამარჯუებულნი და გა-
ნიხარეს“. ქართველი ჯვაროსნები ამ შემთხვევაშიც, ისევე
როგორც თითქმის ყოველთვის, მათ წინამორბედ ევრო-
პელ ჯვაროსანთა მსგავსად იქცევიან და იერუსალიმის
აღების შემდეგ, სამწუხაროდ, ქალაქის მცველ მუსლიმთა
სასტიკე ჟღერას აწყობენ. XVI საუკუნეში წმინდა მინაზე
ქართველთა განსაკუთრებული უფლებები სწორედ ამ
ლაშქრობის შედეგი იყო.

ქუა საუკუნეების ქართველთა წარმოდგენები დასავლეთ ევროპის შესახებ

ჰრომი, ევროპი და ყოველი სოფელი დასავლისაი...

*ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი
ძველქართული საგალობლიდან*

ჟან ბოდელთან კარგად ჩანს, რომ მოცემული ეპოქის
ევროპაში ქართველები წარმოდგენილი არიან, როგორც

უბადლო გმირები, ამიტომაც ბოდელის სიმღერაში ქართველთა აღწერას ვრცელი ადგილი ეთმობა. მეორე მხრივ, ევროპელი რაინდები საქართველოში ისევე იყვნენ ჰეროიზებულნი, როგორც ევროპაში ქართველები. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-დასავლური ურთიერთობები ამ ეტაპზე ხასიათდება ორმხრივი სიმპათიით, რაც, ვფიქრობ, კანონზომიერია. დავით აღმაშენებლის სახელმწიფოს დაბადება, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ჯვაროსნული მოძრაობის დაწყებას უკავშირდებოდა. ამიტომაც, მეფის მემკვიდრე საქართველოს „მოშენებას“ ჯვაროსანთა, „ფრანგთა გამოსვლას“ უკავშირებს, მაგრამ ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მრავლისმეტყველია ერთი ძველი დასავლეთევროპული ქრონიკის ცნობა, სადაც პირდაპირაა აღნიშნული, რომ ანტიოქიასთან, სადაც დიდი სელჩუკური კოალიცია შეიკრიბა, ჯვაროსნებმა გაანადგურეს საქართველოში მომთაბარე სელჩუკები და მათი მეთაურებიც („Qui commandoit quelques places dans la Georgie“)⁴⁶. ამ ცნობის შუქზე გასაგები ხდება თუ რატომ მოჰყვა ჯვაროსნული მოძრაობის დაწყებას მყისიერი სასიკეთო ცვლილებები საქართველოსთვის.

საინტერესოა, რომ ქართული ლაშქრის სხვადასხვა ტექნიკა ევროპული წარმოშობის იყო. საუკეთესო იარაღადაც შუა საუკუნეების საქართველოში სწორედ ევროპაში დამზადებული „ფრანგული“ მიიჩნეოდა (არსებობს ხალხური ლექსი: „ხმაღმა თქვა ფრანგეთ ნაჭედმა, / ფრანგეთში ფრანგმა გამჭედა“). საკუთრივ ევროპაშიც, ლეგენდარული მეფე არტურის საუკეთესო მახვილის სახელია ხალიბური, ანუ ქართული. ვგულისხმობ საყოველთაოდ ცნობილ „ექს-

⁴⁶ L'esprit des Croisades, Tome 4, Paris, 1785, 139.

ხალიბურს“/„ესკალიბურს“. ეს გარემოებაც იმ ორმხრივი იდეალიზებისა და ჰეროიზების შესახებ მეტყველებს, რაც ქართულ-ევროპულ ურთიერთობებს ახასიათებდა შუა საუკუნეებში. ნიშნეულია საქართველოში ვიკინგთა აღმნიშვნელი სახელის – „ვარანგის“ სემანტიკური თავგადასავალიც. ამ ეთნონიმმა ჩვენში განივითარა ძლიერი ადამიანის მნიშვნელობა. ძველ ქართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ვარანგნი – ვარგნი თუ მრავლის შემძლენი“.⁴⁷

ეს მოვლენა სავსებით ბუნებრივია, რადგანაც სადრად დინის მიხედვით, ქართველთა მეფის ლაშქრის მებრძოლთაგან ყველაზე ბრძოლისუნარიანები დასავლეთ-ევროპელი მოქირავნეები იყვნენ. ჯვაროსნულ სამყაროზე ქართველთა წარმოდგენის შესასწავლად საინტერესო ცნობები აქვს ფრა სიმონს: ქართველები მიიჩნევდნენ, რომ ფრანგების თვით მონღოლებსაც კი ემინოდათო.⁴⁸

ყურადსაღებია, რომ ამ ეპოქის საქართველოში დასავლეთ ევროპა არა მხოლოდ ძალის, არამედ მშვენიერების კუთხეცაა. აკაკის მიერ ჩანერილ ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ქართველი მიჯნური მშვენიერი სატრფოს მოსაძებნად ხომალდში ჯდება და „ფრანგის ქვეყნებში“ მიდის.⁴⁹ ძველ ქართულ პოემა „რუსუდანთანში“ კი „სრულიად საფრანგეთის დედოფლის“ შვილი – გულარ, ასეა აღწერილი: „ცისკართაებრ მნათობი... პირმზე და ტანად სარო, თმაგიშერი, სულად მუშკი, პირი სამოთხეს უგავს და კბილი მარგალიტსა განყობილსა, ხმა მისი მულღანზარში იადონისა ყივილისა უამე არის და მას ყელი ყვავილითა

⁴⁷ ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1884, 99.

⁴⁸ „Histoire Ecclesiastique, Par M. Fleury, depuis 1242 jusqu'en 1301“, LXXXL, An. 1247.

⁴⁹ ლექსი „ფრანგის ქვეყნები ვნახეო“, წიგნში: ნერეთელი ა., თხზულებანი, ტ. 14, თბილისი, 1961.

სავსესა წალკოტსა უგავს და გული მონმენდილსა ცასა“.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების ქართული წარმოდგენებით, დასავლეთ ევროპა ძალისა და მშვენიერების სამყაროა. ამიტომ, თავადაც რაინდული იდეალების ქართულ სამხედრო ელიტას მიაჩნდა, რომ სწორედ დასავლეთეევროპული, ანუ ფრანგული წარმოშობისა იყო. ტიმოთე გაბაშვილს დაფიქსირებული აქვს ძველი ქართული გადმოცემა, რომლის თანახმადაც, „აზნაურნი ქართუელნი საფრანგეთით არიან მოსრულნი“.⁵⁰

რამდენად ღრმა იყო დასავლეთ ევროპასთან სულიერ-კულტურული კავშირის სურვილი, კარგად ჩანს „ნინოს ცხოვრების“ რედაქციებიდანაც. ქართველთა განმანათლებლის ცხოვრების რედაქციები საუკეთესოდ ასახავენ შუა საუკუნეების ქართულ საგარეო პოლიტიკურ ხედვასა და მისწრაფებებს, შეხედულებებს საქართველოს ისტორიულ-კულტურული ნიშის შესახებ, მის ურთიერთობას გარე სამყაროსთან. ქართველმა მწიგნობრებმა შეიმუშავეს ქართველთა გაქრისტიანების სქემა, რომელშიც ეს მოვლენა დასავლეთეევროპელთა – ფრანგთა-ბრანჯთა მოქცევასთანაა პარალელიზებული. ქართულ წყაროთა მიხედვით, ფრანგები და ქართველები ქრისტეს რჯულზე ერთი ოჯახის მოქცეულია. ფრანგთა მოციქული ნინოს მამა ზაბილონია. ნინოს ცხოვრებაში დიდი ადგილი ეთმობა ზაბილონის – „ბრანჯთა მოციქულის“ განმანათლებლური ღვაწლის აღწერას. აღნიშნულია ისიც, რომ პაპმა ნინოსგან კურთხევის მისაღებად სწორედ ბრანჯი დიაკონი გამოგზავნა. ეს ანაქრონისტული თხრობა, რა თქმა უნდა, ქართველი მწიგნობრების

⁵⁰ „მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან, ქართლისა მთავარეპისკოპოსისა“, თფილისი, 1852, 109.

ფანტაზიის ნაყოფია და სხვა წყაროებით არ დასტურდება. ამ ფიქციით შუა საუკუნეების ქართველ საეკლესიო იდეოლოგებს სურდათ შეექმნათ ისტორიული საფუძველი ქართველთა და დასავლეთევროპელთა სულიერი ნათესაობის იდეისთვის. სწორედ ამ მიზნით შეითხზა ისტორია, რომლის თანახმადაც, ფრანგთა მოციქული და ემბაზი ნინოს მამა იყო, რაც საფუძველმდებარე ინფორმაციის მნიშვნელობისაა ქართულ-დასავლურ ურთიერთობათა შესასწავლად. გარკვეულწილად სწორედ ამას უნდა განესაზღვრა ქართველთა ლოიალური დამოკიდებულება დასავლეთევროპული ქრისტიანული სამყაროსადმი. აღმოსავლეთში ჯვაროსანთა, ანუ ფრანგთა გამოჩენისას ქართველ ინტელექტუალთა პირველი წარმოდგენები მათზე სწორედ ამ ნარატივით უნდა ყოფილიყო შემუშავებული. ფრანგები ქართველ სასულიერო და საერო ხელისუფალთათვის „ზაბილონის სამწყსოს“ წარმოადგენდნენ, რაც მათთან სულიერი ნათესაობის განცდის საფუძველი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ქართველი ქრისტიანები მისი მხოლოდშობილი ასულის – ნინოს სამწყსოდ მიიჩნეოდნენ.

XII საუკუნის ქართველმა თეოლოგმა და იდეოლოგმა, დავით აღმაშენებლის მოძღვარმა, საქართველოს ეკლესიის წმინდანმა არსენ იყალთოელმა შეიმუშავა განსაკუთრებული მიდგომა საქართველოს დასავლეთ ევროპასთან დამოკიდებულებისა. ვგულისხმობ იმ ცვლილებებს, რომლებიც არსენმა ფუძემდებლური საეკლესიო დოკუმენტის, დოგმატიკონის ქართულენოვანი ვერსიის ტრაქტატების თარგმანებში განახორციელა. 1. დოგმატიკონის ბერძნულ ტექსტში იხსენიება მხოლოდ ოთხი მამამთავარი, ხუთის ნაცვლად, რადგანაც დიპტიქიდან ბერძნებმა „მწვალებელი“

პაპი ამოშალეს. ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მამა ქართულ თარგმანში ამატებს მეხუთეს და რიგით პირველს – პაპს! საინტერესოა, რომ პაპის მოხსენიება ქართულ დიპტიქებში თვით XV საუკუნის მეორე ნახევრამდეც უნდა გაგრძელებულიყო, როგორც ამას დავით კათალიკოსის წყალობის წიგნში ვხედავთ; 2. ბერძნულ პოლემიკურ თხზულებაში (ნიკიტა სტითატის) პოლემიკა მიმართულია ლათინთა (ევროპელთა) და სომეხთა წინააღმდეგ. ქართულ თარგმანში, არსენ იყალთოელი ყველგან შლის ლათინთა სახელს.⁵¹ ამ გარემოებას იმით ვერ ავხსნით, რომ ლათინებთან პოლემიკა ტერიტორიული დაშორების გამო ქართველებისათვის აქტუალური არ ყოფილა და თითქოს ამიტომ ამოიღეს განსახილველი ტექსტიდან ლათინთა კრიტიკა. სინამდვილეში, ტექსტიდან ლათინთა კრიტიკის ამოღების რეალურ მიზეზს ისევ არსენთან ვხვდებით, რომელმაც ბერძნებისაგან ამოშლილი პაპის სახელი კვლავ დააბრუნა დიპტიქში, რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა ტექსტიდან პაპის ერეტიკოსობაში ბრალდებების ამოშლაც. აქედან და მრავალი სხვა პირველწყაროდან კარგად ჩანს, რომ იოანეს სამეფოში, ჭეშმარიტად, პაპის სიტყვისამებრ, არაფერი სურთ ისეთი, რაც რომის ეკლესიას ეწინააღმდეგება.

უფლის საფლავისთვის თავდადებულად მებრძოლი, ძლევამოსილი, ქრისტიანი ევროპელი მხედრებით ქართველები აღფრთოვანებული იყვნენ. ლაშა-გიორგი ჯვაროსნებს იდეალად სახავდა და აცხადებდა, რომ ფრანგები სამყაროს კიდიდან მოდიოდნენ, რათა უფლის საფლავის-

⁵¹ თინიკაშვილი დ., ქართველებისა და დასავლეთევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი, 2015, 79. იხ. ციტირება: არსენ იყალთოელი, დოგმატიკონი, გამოსაცემად მოამზადა მაია რაფაჟამ. თბილისი, 2013, 20-28, 260.

თვის ეომათ, მაშინ, როცა უფრო ახლოს მყოფი ქართველები ამას არ აკეთებდნენ.

საქართველოს აღმშენებლობა და სელჩუკ მარბიელთაგან გათავისუფლებაც სწორედ მრავალრიცხოვან ჯვაროსან რაინდთა გამარჯვებული იარაღის დამსახურება იყო. სხვაგან, იგივე არსენი ფრანგებს ამგვარად მოიხსენიებს: „ერნი იგი ურიცხვანი ბრანგთანი – ნათესავნი დიდნი“.⁵² არსენის ეპოქაში, XI-XII საუკუნეებში ევროპის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი სწორედ საფრანგეთზე მოდიოდა, დაახლოებით 15 მილიონზე მეტი, რაც უზარმაზარი რიცხვია, მით უმეტეს ამ ეპოქისათვის, ამიტომ არსენს სავსებით სწორი ინფორმაცია აქვს, როდესაც ფრანგებს „ურიცხვს“ და „დიდ ნათესავს“ უწოდებს.

შუა საუკუნეების ევროპული, ჯვაროსნული იდეალი, ყველა პარამეტრით შეესაბამებოდა ამავე ეპოქის ქართულ, „პრესვიტერ იოანეს“ ქრისტიანულ სამხედრო იდეალსა და ტემპერამენტს (ევროპული წყაროები ქართველებზე საუბარს სწორედ ამ დეტალის აღნიშვნით იწყებენ. წმინდა გიორგის კულტის განსაკუთრებული სიძლიერე საქართველოში ამ სინამდვილის გამოხატულება იყო). შედეგად, ევროპელი მხედრები, როგორც უზადო გმირები, შუა საუკუნეების ქართული საგმირო სიმღერების პერსონაჟებიც იყვნენ, ისევე, როგორც თავად ქართველები ძველ ევროპულ სიმღერებში. ამის შესახებ ცნობა მოიპოვება ბიუსბეკთან, სადაც აღნიშნულია, რომ ქართველებში არსებობს სიმღერა, რომელიც ფრანგ (ჯვაროსან, ევროპელ) რაინდთა დიდებაზე მღერის.⁵³

⁵² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, 1971, 13.

⁵³ Biographie, Universelle, Ancienne et Moderne, Tome 69, Édité par Chez L.G. Michaud, Paris, 1846, 378.

ამდენად, ქართველებს ევროპულ ჯვაროსნებთან აერთიანებდათ არა მხოლოდ წმინდა გიორგისა და იერუსალიმის ჯვაროსნული დროშები, არამედ ჯვაროსნული ლაშქრობის ევროპულ ლიდერთა კულტებიც. ჩანს, სწორედ ამ ტიპის ძველი ქართული სიმღერები უნდა ჰქონდეს მხედველობაში პავლე მარია ფაიანცელსაც, როდესაც წერს: „ქართველთა მღვდლებმა არაერთხელ მითხრეს, მათში გავრცელებული ერთი წინასწარმეტყველების შესახებ – რომაელი (ევროპელი) ქრისტიანები უნდა მოვიდნენ ჩვენს ქვეყანაშიო, რასაც დიდ ბედნიერებად რაცხენ. ეს წინასწარმეტყველება მათ წინაპრებს გაუღექსავთ და ჩემთან რამდენჯერმე იგალობეს“. რომაელ ქრისტიანებში, რომლებიც საქართველოს სახსნელად უნდა მოვიდნენ, ჯვაროსნები უნდა იგულისხმებოდნენ. მათმა გამოჩენამ ერთხელ უკვე იხსნა საქართველო, რადგანაც დავითის სახელმწიფოს გათავისუფლება და აღმშენებლობა ჯვაროსანთაგან სელჩუკთა დამარცხებას მოჰყვა. XIII-XV საუკუნეებში, როდესაც საქართველო დასუსტდა, ჩანს, ჩვენს ქვეყანაში კვლავაც იმედოვნებდნენ, რომ ახალი ჯვაროსნული მოძრაობა ისევ იხსნიდა დაცემულ საქართველოს. ეს იმედი იმდენად აღმაფრთოვანებელი და შთამაგონებელი იყო, რომ მის გარშემო საქართველოში ითხზებოდა პროპაგანდისტული საგმირო სიმღერები, რომლებიც ხოტბას ასხამდა ევროპულ ჯვაროსანთა საგმირო საქმეებს და საქართველოში მათ ჩამოსვლასაც წინასწარმეტყველებდა. ევროპულ გმირებთან შეხვედრის ეს ამაღლებელი მოლოდინი თავადაც ჰეროიკული პათოსის ქართველთა საბრძოლო სულისკვეთებას ამაღლებდა.

ქართველებსა და დასავლეთევროპელებს ერთმანეთისადმი მხოლოდ დამკვირვებლის პოზიცია არ სჭერიათ. ჩვენს ისტორიოგრაფიაში უცნობი ზოგი მონაცემით, ისი-

ნი მხარდამხარაც იბრძოდნენ. ქართველი სამხედრო მოქირავნეები ადრე ბიზანტიის მთელ იმპერიას იყვნენ მოდებულნი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჯვაროსნულ ეპოქაში, როდესაც ყოფილი ბიზანტიის იმპერიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯვაროსნულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა დაფარეს, ქართველი მოქირავნეები ჯვაროსნების სამხედრო სამსახურშიც შევიდნენ. ჩანს, სწორედ ამგვარად შედგა კონტაქტი XII საუკუნის ცნობილ ჯვაროსან ავანტიურისტ ლიდერს რენო დე შატილიონსა და ქართველთა შორის. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობ ერთ-ერთ ძველ ფრანგულ ქრონიკაში აღნიშნულია, რომ რენო ისეთ საპასუხისმგებლო საქმეზეც კი, როგორც თურქების დაზვერვა იყო, ქართველ ქრისტიან მხედრებთან ერთად მიდიოდა.⁵⁴ ეს გარემოება ქართველთა და ჯვაროსანთა შორის არსებული ურთიერთნდობის მორიგი მჭევრმეტყველი მოწმობაა. ქართველები რენო შატილიონის ცხოვრების სხვა, ასევე დრამატული დეტალის მოწმეებიც იყვნენ. როდესაც რენომ იმპერატორისგან შენდობა ითხოვა, კინამუსის აღწერით ამ საქციელს მან ერთგვარი რიტუალური ხასიათი მისცა. ფეხშიშველმა და მკერდმოღელილმა რენომ დაიჩოქა და რაინდული წესის მიხედვით იმპერატორის წინაშე თავისი გაშიშვლებული მახვილი გაიწოდა, შეცბუნებული იმპერატორი ამ დროს მდიდრულად შემკულ ტახტზე იჯდა და მისი მცველი „ქერა ვიკინგი გოლიათებით“ იყო გარშემორტყმული. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ კინამუსის ჩვენებით რენო დე შატილიონის ამ რაინდულ ჟესტს შეესწრნენ იქვე მყოფი ქართველებიც⁵⁵

⁵⁴ La Genealogie et nobles faitz D'Armes... Francois Arnoullet, 406.

⁵⁵ Le cygne et l'éléphant: Renaud de Châtillon, prince d'Antioche, seigneur d'Outre-Jourdain Joël Gourdon Editions Le Manuscrit, 2001, 80.

ქართულ-ევროპული ურთიერთობების მრავალმხრივობასა და მის ამსახველ ქართულ წყაროებში ლოგიკურად თავსდება იან ჯვრის მონასტრის ქართული აღაპები, სადაც ევროპელ დიდებულთა სახელებია შეტანილი. ეს საკმაოდ ვრცელი საკითხია და საგანგებო ყურადღებასა და მონოგრაფიულ შესწავლას იმსახურებს. აქ ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული ევროპელი პოლიტიკოსი ქალის – გრაფინია სიბილა ანჟუელის მოსახსენებელზე ჯვრის მონასტრის ქართულ აღაპში, სადაც აღნიშნულია: „ქ ე შ ე სირ დერ და სიბილა“, ანუ „ქრისტე შეიწყალე სირ დერი და სიბილა“. მედიევისტი ლიანა კუპრეიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ აქ ანჟუს გრაფინია – სიბილა უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც 1139-1187 წლებს შორის, ანუ სწორედ მაშინ, როცა შედგენილია აღაპები, რამდენჯერმე იმყოფებოდა ნმინდა მიწაზე.⁵⁶

საგულისხმოა, რომ სიბილა სირ დერთან ერთად იხსენიება. წყვილად მოხსენიება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ცოლ-ქმარზეა საუბარი. მართლაც, სიბილა იერუსალიმში საკუთარ მეუღლესთან, სერ ტიერთან ერთად იყო ჩასული. ეს სახელი კი ძველ ფრანგულად გამოითქმოდა, როგორც „Théry“. ეს თითქმის იგივეა, რაც ქართული ხელნაწერის „სირ დერ“, ვინაიდან „დ“-სა და „ტ“-ს ბგერათშესატყვისობა ფონეტიკური უნივერსალიაა.

გრაფინია სიბილა, ანჟუს გრაფ ფულკის ქალიშვილი გიომ კლიტონს გაჰყვა ცოლად, ფლანდრიის მომავალ გრაფს. 1128 წელს გიომი გარდაიცვალა. მოგვიანებით

⁵⁶ La Trace des rapports entre la Géorgie et L'Europe dans les sources géorgiennes et Étrangères du Moyen Age, Liana Koupréichvili – Université d'Etat Ilia, Tbilissi – L'Europe et le Caucase. Les relations interrégionales Et la question de l'identité, 2012, გვ. 200.

სიბილა მამამისთან ერთად იერუსალიმში გაემგზავრა, სადაც ფლანდრიის ახალ გრაფზე, ტიერიზე იქორწინა. მალე ენერგიული გრაფინია უკან ბრუნდება, ფლანდრიაში და თავისი ქმრის საგრაფოს მართავს. მისი მეუღლე, ქართულ აღაპში სირ დერად მოხსენიებული ტიერი ამ დროს კვლავაც წმინდა მინაზე იმყოფება, რითაც ისარგებლა ფლანდრიის მეზობელმა ფეოდალმა ბოდუენ ჰანოტმა და გრაფინიას თავს დაესხა. მაგრამ შეუდრეკელი სიბილა საპასუხო შეტევაზე გადავიდა და ბოდუენის ქალაქები გადაწვა. საბოლოოდ, რეიმსის ეპისკოპოსმა ისინი დააზავა, მაგრამ სამშობლოში ჩამოსულმა ტიერიმ ბოდუენზე შური იძია.

1157 წელს, წმინდა ადგილების ხელახლა მოხილვის სურვილით სიბილა ისევ ჩავიდა იერუსალიმში ტიერისთან ერთად, სადაც თავნება გრაფინია ქმარს გაეყარა და ბეთანიის მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა. მონაზვნად აღკვეცილი ენერგიული და შეუპოვარი გრაფინია უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. სწორედ მან, ძალაუფლებისმოყვარე დიდგვაროვანმა ქალმა აარჩევინა იერუსალიმის ახალი პატრიარქი – ამალრიკი.

ჯვაროსნული მოძრაობის ამ გამორჩეული ევროპელი ქალის მეოხებას შესთხოვენ ქრისტეს ქართველი ბერები ჯვრის მონასტრის აღაპში. ჩანს, სიბილამ ქართველ ბერებს მდიდრული შესანიშნავი მიუძღვნა, რის აღსანიშნავადაც მისი სახელი ბერებმა აღაპში შეიტანეს. სიბილა ერთადერთი დედოფალი არაა, რომელიც ჯვაროსნულ სამყაროს ქართულ სამყაროსთან აკავშირებს. 1160-იან წლებში საქართველოში ჩამოვიდა, უფრო სწორად, გამოიქცა იერუსალიმის მეფე ბალდუინ III-ის ქვრივი – მშვენიერებით განთქმული დედოფალი თეოდორა. მისი ბიოგრაფიაც, სიბილა ანჟუელის თავგადასავლის მსგავსად, აღსავსეა დრამატული პე-

რიპეტიებით. თეოდორა 13 წლის ასაკში დააქორწინეს ჯვაროსნული იერუსალიმის მეფე ბალდუინზე. მეფე არაფერს იშურებდა მშვენიერი ყმანვილი ქალის გულის მოსაგებად. უილიამ ტირელის მიხედვით, დედოფლის მხოლოდ კაბების გარდერობი 14 ათას ჰიპერბერად იყო შეფასებული. 22 წლის თეოდორა დაქვრივდა და ტახტზე ბალდუინის ძმა – ამორი ავიდა. დაქვრივებულმა ახალგაზრდა დედოფალმა ქმრისგან ანდერძით აკრა მიიღო. სწორედ ამ ხანებში პალესტინაში ჩადის ანდრონიკე კომნენოსი, თეოდორას ბიძაშვილი და სავარაუდოდ, გიორგი III-ის მამიდაშვილი. ანდრონიკეს თანამედროვეები დიდი ავხორცის სახელით იცნობდნენ. მას უკვე ნაცდუნები ჰყავდა ბოემუნდის და, პრინცესა ფილიპა და მარია ანტიოქიელი. ამჯერად კი თვალი იერუსალიმის მეფის ქვრივს დაადგა, საკუთარ ბიძაშვილს, თეოდორას, რომელიც თვითმხილველთა გადმოცემით, უბადლო სილამაზით ბრწყინავდა. ყოფილმა დედოფალმა არ უარყო ანდრონიკეს სიყვარული. მათმა „უწმინდურმა და უღვთო კავშირმა“ იმპერატორი განარისხა და ამორის მოსთხოვა მისთვის თვალების დათხრა, მაგრამ შეყვარებულები გაიქცნენ და ნურად დინ სულთანთან შეაფარეს თავი. კინამოსი წერს, რომ შემდეგ გიჟმაჟი შეყვარებულები საქართველოში ჩავიდნენ – „აღმოსავლეთში, იბერებთან“.⁵⁷ ამ ცნობას ადასტურებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“: „მოვიდა ანდრონიკე კომნენოსი ცოლითა სახებრწყინვალითა და შუენიერთა“. გიორგიმ თავის მამიდაშვილსა და მის მიჯნურს, იერუსალიმის ყოფილ დედოფალს „მისცა პატივი სახლისშვილობისა მათისა“... ქალაქები, ციხეები და ტახტები თავის ტახტთან ახლოს. საინტერესოა, რომ ქართულ წყაროს ყურადღების მიღმა არ რჩება ბალდუინის ქვრივის ნარმტაცი სილამაზე

⁵⁷ Jean kinnamos, Chronique, traduite par J. Rosenblum, 1972, Livre 6, 250.

და მას „სახებრწყინვალეს და შუენიერს“ უწოდებს. დევნილ შეყვარებულთა საქართველოში ყოფნისას გიორგიმ დარუბანდისკენ გაილაშქრა, თან ანდრონიკეც გაიყოლა. ქართველებმა წარმატებით ილაშქრეს. წყარო შენიშნავს, რომ ქართველი დიდებულები და თვით მეფე მოიხიბლნენ ანდრონიკეს სამხედრო ტალანტით. ცნობილია, რომ მას დაუდგრომელი ხასიათი ჰქონდა და ერთ ადგილას დიდხანს ყოფნა არ შეეძლო, ამიტომ განსაზღვრული პერიოდის შემდეგ საქართველო დატოვა. საბოლოოდ, ტრაპიზონის თემარქმა მოახერხა მისთვის იერუსალიმის დაქვრივებული დედოფლის წართმევა. შესაძლოა სწორედ მაშინ, როცა საქართველოდან ბრუნდებოდა, მაგრამ ანდრონიკეს და თეოდორას უკვე შვილები ჰყავდათ. მოგვიანებით, ყველა დროის ეს ერთ-ერთი დიდი ავანტიურისტი, ანდრონიკე კომნენოს იმპერატორის ტახტზეც ავიდა. აქვე მოვიხმოთ კიდევ ერთ ცნობას, რომელიც ჯვაროსნული მოძრაობის ბოლო ბასტიონის – საფრანგეთის მეფე ლუი წმინდასა და ქართველთა ურთიერთობას ეხება, რომელიც დღემდე შეუსწავლელია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. მეფე ლუის მსახური იხსენებს ერთ სევდიან ხუმრობას, რომელიც ქართველ მომლოცველებსა და წმინდა მინაზე ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მყოფ ლუის უკავშირდება. ჟანი წერს, რომ მასთან მივიდა მომლოცველთა უზარმაზარი ჯგუფი დიდი სომხეთიდან, რომელთაც მეფის ნახვა სურდათ. დიდი სომხეთი, დასავლურ წყაროებში ამ ხანებში, უმეტესად სწორედ ფეოდალური საქართველოს დასახელებაა. შესაბამისად, აქ ქართველი მომლოცველები უნდა იგულისხმებოდნენ, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მონოფიზიტ სომხებს კათოლიკეებთან ლოცვითი თანაზიარება არ ჰქონიათ. მეორე მხრივ კი, ქართველებს ამ პერიოდში მჭიდრო სულიერი კავშირი აქვთ კათოლიკეებთან. ქართველი ბერები ლო-

ცულობენ და აღაპებს ადგენენ ჯვაროსანი რაინდებისთვის, რომელთა სამხედრო საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი მხედრებიც. ლაშა-გიორგი თავის დიდებულებს მიმართავდა, რომ მამაცი ფრანგები ქვეყნის ბოლოდან მოდიოდნენ უფლის საფლავისთვის საომრად, მაშინ, როცა უფრო ახლოს მყოფი ქართველები ამას არ აკეთებდნენ. ამასთან, საქართველოში არსებობდა სიმღერებიც დასავლეთევროპულ მხედართა სიმამაცეზე. მთელმა ამ სინამდვილემ კანონზომიერი გამოხატულება პოვა წმინდა მინაზე ჩასულ ქართველ მომლოცველთა შორის. მათ თავიანთ საპილიგრიმო მარშრუტში შეიყვანეს წმინდა ლუი, როგორც საერთო საქრისტიანო უწმინდესი საქმის – ჯვაროსნული მოძრაობის ბურჯი, მამაცი თანამორწმუნე ხელმწიფე. ლუის მსახური იხსენებს, რომ სევდიანი მეფე ამ დროს ქვიშაზე იჯდა, ქვეშაგებლის გარეშე. ჟანმა უთხრა, რომ ქართველ მომლოცველებს მისი ნახვა სურდათ და რომ თავად მას, ჟანს, ჯერ არ უნდოდა მისი მეფე თაყვანსაცემ ძვლებად – რელიკვიად ქცეულიყო (რადგანაც ლუი ჯერაც ცოცხალი იყო). მეფეს ამ ხუმრობაზე გაელიმა. შემდეგ კი მიიღო ქართველი მომლოცველები, რომელთაც ჯვაროსანი მეფე უფალში ანუგეშეს.⁵⁸

მირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურები და საქართველო

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ნყაროები ქართულ-ჯვაროსნული ურთიერთო-

⁵⁸ Jean – Sire de Joinville, Histoire de Saint Louis, Paris, 1874, 309-310.

ბების შესახებ მეტად მწირია და რომ ეს განსაკუთრებით პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ითქმის. ქვემოთ წარმოვადგენთ ცნობებს, სადაც ამომწურავადაა დოკუმენტურებული ის გარემოება, რომელშიც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურები, კონკრეტულად კი გოდფრუა, საქართველოს გაეცნო.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეები, რასაკვირველია, არ იცნობდნენ რეგიონს, ამიტომ გზამკვლელობას მათთვის ადგილობრივი ქრისტიანები კისრულობდნენ. სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა კონსტანტინოპოლში მყოფმა სომეხმა დიდებულმა ბაგრატ კამსარაკანმა და ჯვაროსან ლიდერებს დაუახლოვდა. წყაროები ბაგრატს კარგ სარდლად, ნიჭიერ ორგანიზატორად და ცბიერ პოლიტიკოსად ახასიათებენ. გოდფრუასა და ბოდუენზე მან დიდი გავლენა მოიპოვა, რომლის სათავესოდ გამოყენებასაც ცდილობდა. ბაგრატს კონკრეტული პროექტი ჰქონდა, რომელიც ჩვენთვის წარმოუდგენლად გაიჟღერებს – გოდფრუას წინამძღოლობით ჯვაროსანთა გალაშქრება ჩრდილოეთით – კაბადოკიასა და კავკასიაში – საქართველოსა და სომხეთში, სელჩუკთა განდევნა და ამ მდიდარი მიწების დაკავება. ეს გაქნილი დემაგოგი ცდილობდა თავად ჯვაროსნული წარმოდგენები გამოეყენებინა შორეულ აღმოსავლეთზე, მათი მადის გასაღვიძებლად ამ მიმართულებით. მაგალითად, ჯვაროსნებს იგი ახსენებდა, რომ მიწიერი სამოთხე სწორედ ამ მიწებზე მდებარეობდა და არა ხმელთაშუაზღვისპირეთში.

საკვლევი ეპოქის გულუბრყვილო ევროპული გეოგრაფიული შეხედულებების თანახმად, მიწიერი სამოთხე, ედემის ბალი უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობდა (მაგალითად, „რავენული კოსმოგრაფია“: „სამოთხე –

მინა უშორეს აღმოსავლეთში, ყველა ნაცნობი მინის მიღმა“). ბეატუსის,⁵⁹ ტურინის, ფსალტერის (ფსალმუნთა), ჰერეფორდის,⁶⁰ პიერ დანიელის და სხვა მსოფლიო რუკებზე მინიერი სამოთხე კავკასიასთანაა გამოსახული. არის შემთხვევები, როცა ის სპარსეთში ან სირიაშია მოთავსებული, მაგრამ სამოთხიდან გამომავალი მდინარეები თითქმის ყველა შემთხვევაში, კავკასიიდან გამომდინარედ მიიჩნეოდა. შესაბამისად, კავკასიასთან დაკავშირებული ეს ფსევდოგეოგრაფიული ტრადიცია უფრო მყარია. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ინდოეთის სახელგანთქმული მდინარე განგი ბიბლიურ ფიქსონთან იგივედებოდა, რომელიც ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, სამოთხიდან გამოედინებოდა. XII საუკუნის ავტორის, ჯერომის ცნობით, ხსენებული სამოთხისეული მდინარე სწორედ კავკასიის მთიდან გამოედინება. ბენიამენ ტუდელა კი სხვა სამოთხისეულ მდინარეს, გიხონსაც კავკასიასთან აკავშირებს.⁶¹ ამდენად, შუა საუკუნეების ევროპული წყაროების მიხედვით, მინიერი სამოთხე თავისი მდინარეებით კავკასიაშია. ბაგრატი ცდილობდა, ჯვაროსანთა ეს წარმოდგენები გამოეყენებინა, რათა ისინი კავკასიისკენ წამოსასვლელად დაეყოლიებინა.

ფხონსუა მიშუ ჯვაროსნული ომების აღწერაში დაწვრილებით გადმოგვცემს იმ გეოგრაფიულ სურათს, რომელიც მან გოდფრუას გადაუშალა: „ჩრდილოეთისკენ, ძველ დროს განთქმული კაბადოკიაა, უფრო შორს

⁵⁹ Galichian R., A Brief History of Maps of Armenia, *ԲԱՆԻՆԻ ՀԱՅԱԿԻՏՈՒԹՅԱՆ* №1(1), 2013, 86.

⁶⁰ Westrem S.D., The Hereford Map. A Transcription and Translation of The Legends with Commentary, *Isis*, Vol. 94, №4, 2003, 137.

⁶¹ Nissan E., Medieval Hebrew Texts and European River Names, *Onomastica*, №5, 2019, 198.

საქართველოს სამეფოა და დიდი მიწები, რომლებზეც მეფობდნენ ჩემი წინაპრები“.⁶²

ბაგრატის ინტრიგა კიდევ უფრო კომპლექსურია. იგი ჯვაროსნებს საქართველოს მეფედ გაეცნო. ხსენებულ მიშუდთან, თვითონ ბაგრატ კამსარაკანისგან დაყრილი ხმების საფუძველზე ვკითხულობთ, რომ ბაგრატი თავის ახალგაზრდობაში მეფობდა ჩრდილოეთის იბერიაზე (Iberie septantrionale),⁶³ რაც, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სინამდვილეს და თავად ბაგრატის შეთხზულია, მაგრამ ჩვენთვის უკიდურესად საინტერესოა, რომ ბაგრატ კამსარაკანი ჯვაროსნებთან მაინცდამაინც ქართველობას და ქართველთა მეფობას იჩემებდა. ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ბიზანტიურ სამყაროში, პალესტინის თანმიტვლით, ქართველებსა და ქართველთა მეფეზე ძალიან მაღალი წარმოდგენები არსებობდა. ენერგიული და უდავოდ ნიჭიერი ავანტიურისტი ცდილობდა, ეს წარმოდგენები ჯვაროსნებთან თავისი პრესტიჟის ასამაღლებლად გამოეყენებინა. საბოლოოდ, მიუხედავად იმ დიდი გავლენისა, რომელიც ბაგრატს ბოდუენსა და გოდფრუაზე ჰქონდა, მან საკუთარი პროექტის განხორციელება ვერ შეძლო, რადგანაც ჯვაროსნები ისე შორს წასვლას, როგორც კავკასია იყო, ვერ გაბედავდნენ, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ანტიოქიასთან უკვე დამარცხებული ჰყავდათ კავკასიაში მომთაბარე სელჩუკებიც. რაც უნდა იყოს, ბაგრატ კამსარაკანი, ბოდუენისა და გოდფრუას ეს გავლენიანი მოკავშირე, მამაცი სარდალი

⁶² Michaud J.F., Histoire des Croisades, Premiere Partie, Quatrieme Edition, Paris, 1825, 250.

⁶³ Michaud J.F., Histoire des Croisades, Premiere Partie, Quatrieme Edition, Paris, 1825, 249.

და ნიჭიერი ორგანიზატორი ჯვაროსნებთან თავს საქართველოს კეთილშობილ მეფედ აცხადებდა, რასაც ჯვაროსნულ წრეებში უნდა ჩამოეყალიბებინა პირველი და საკმაოდ მაღალი წარმოდგენები საქართველოსა და მის მეფეზე, რომელიც მალე ჯვაროსნულ წრეებში წარმოდგენილი იქნება, როგორც პრესვიტერი იოანე.

სხვა წყაროებში უფრო დანვრილებითაა ასახული ის წარმოდგენები, რომლებიც ჯვაროსანთა „დიდმა მეგობარმა“ და „დაახლოებულმა პირმა“ ბაგრატმა ბოდუენსა და გოდფრუას შეუქმნა „ჩრდილოეთის მონაკვეთზე“, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საქართველოს სამეფოზე: „ეს მიწები მშვენიერია და [საარსებო] საშუალებებით მდიდარი, ქრისტიანებით დასახლებული. სპარსეთის მეფეს იქ მცირერიცხოვანი ხალხი ჰყავს, მხოლოდ ქვეყნის სამართავად დატოვებული, რომელთაც განვდევნით“.⁶⁴ შეიძლება ითქვას, ბაგრატი ჯვაროსანთა დასაყოლიებლად ტყუოდა, ან მათ ძველ ინფორმაციას აწვდიდა. სინამდვილეში, „დიდი თურქობის“ შედეგად, კავკასიაში ლამის „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იყო შემოკრებილი“.

ის უპირატესობები, რაც ჯვაროსნებისთვის საქართველოში დაფუძნებას მოჰყვებოდა, მიმზიდველად გამოიყურებოდა: ერთი მხრივ, ეს ქვეყანა მდიდარი იყო, მეორე მხრივ კი, თითქოს აქ მტკიცე ხელისუფლება და მფლობელობა არ არსებობდა. შესაბამისად, მისი დაუფლება დიდ სიძნელებთან არ იყო დაკავშირებული. ეს კი სწორედ ის იყო, რასაც ჯვაროსნები აღმოსავლეთში ეძებდნენ და რასაც ჯვაროსნულ წყაროებში „ცბიერ ქართველად“ წოდებული ბაგრატ კამსარაკანი კარგად მიხვდა. იმდენად, რომ ბოდუენი მან თითქმის დაიყოლია

⁶⁴ Troyen Y., Histoire de la Guerre Sainte, Paris, 1620, 204.

კიდევ. ბოდუენის, ანუ ბალდუინის ტემპერამენტი განსხვავდებოდა გოდფრუასაგან. იგი მზად იყო კავკასიისკენ შორეული და საშიში მოგზაურობებისთვის. ეს გარემოება თითქოს გამოძახილს პოულობს მოგვიანო ხანის ქართული წყაროსთან, რომელიც ბალდუინის საქართველოში საიდუმლო ჩამოსვლის შესახებ გვიამბობს. არსებობს კიდევ ერთი, უცნობი დასავლური წყარო დავით აღმაშენებლის მოხსენიებით, რომელიც მინიშნებას გვაძლევს ამ ცნობის სარწმუნოობის სასარგებლოდ. წყაროს დამოწმებამდე მოვალე ვარ, აღვნიშნო, რომ მისი მოკვლევა მოვახერხე ჩემი მეგობრის, შესანიშნავი წყაროთმცოდნის, ახალგაზრდა მკვლევარ ბექა კვაჭაძის დახმარებით, რომელმაც ჩემი ყურადღება მიაპყრო შალონის ეპისკოპოს იოანე გერმანის ცნობას, სადაც ის საქართველოს ჯვაროსნებთან ურთიერთობას განიხილავდა. ცნობა ფრაგმენტული იყო და სამეცნიერო სიახლეს არ შეიცავდა, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიე ამ ავტორის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის გაგრძელება. შედეგად, გადავანყდი უაღრესად საგულისხმო ცნობას დავით აღმაშენებლის მოხსენიებით. იოანე გერმანის თხზულებები 1450-იან წლებშია შექმნილი, მაგრამ ავტორი ფლობს უზარმაზარ ინფორმაციას და კარგად ერკვევა ჯვაროსნული სახელმწიფოების ისტორიის პრობლემებში. სხვადასხვა ჯვაროსნული გაერთიანების საზღვრების აღწერის შემდეგ იგი განიხილავს ბალდუინის „ქვეყანას“ – ედესას და მის საზღვრებს: „ბოდუინი, გოდფრუა ბუიონელის ძმა, იყო უფალი ქალაქ ედესისა (რომელიც ადრე მედიელთა სამეფოდ იწოდებოდა) და მეზობელი მხარეებისა, მესოპოტამიისა, კაბადოკიისა, მედიის დიდი ნაწილისა და სირიისა,

ვიდრე დიდ სომხეთამდე, რომელიც ეპყრა მეფე დავით სომეხს“.⁶⁵ (დავით აღმაშენებლის სამეფო ტიტულში დიდი სომხეთის დაკავების შემდეგ „სომეხთა მეფეც“ შედიოდა, ამიტომ ზოგჯერ დასავლურ წყაროებში ის სომხადაც იწოდებოდა, მაგალითად, ბალდუინის პანეგირიკშიც). პირველ ხანებში ედესის საზღვრები მართლაც ვრცელი იყო, მათ შორის სომხეთის მიმართულებითაც. საგანგებო კვლევის გარეშე ძნელი სათქმელია, მართლაც ეხებოდა თუ არა მისი საზღვრები აღმაშენებლის სახელმწიფოს საზღვრებს და რა მონაკვეთში. იმ შემთხვევაში, თუ ეს ცნობა დადასტურდება, ქართულ-ჯვაროსნული ურთიერთობები დავით აღმაშენებლის დროს ახლებურად წარმოგვიდგება.

მომთაბარე სელჩუკთა ხედვაც საქართველოსთან დაკავშირებით თითქმის ისეთი იყო, როგორიც კამსარაკანისა, რაც კარგად ჩანს აღმაშენებლის ისტორიკოსის მონათხრობიდან, როდესაც მცირე აზიაში მიმავალი დიდი ამირები ისა ბარი და იაყუბი გადააწყდნენ სელჩუკებს, რომელთაც საქართველოში უზარმაზარი სიმდიდრე მოიალაფეს. მათ ამირებს უთხრეს: „რად წარხუალთ საბერძნეთს? აჰა, ქუეყანაი საქართველოი, უკაცური და სავსე ესევითარითა სიმდიდრითა“. ბაგრატიც ჯვაროსნებისთვის სწორედ ამის ჩვენებას ცდილობდა – საქართველო სავსეა სიმდიდრით, რომელსაც პატრონი არა ჰყავს, სპარსთა სულთნის წარმომადგენლობა აქ ზედაპირულია, მაგრამ მან არ იცოდა, რომ სელჩუკმა მომთაბარეებმა მასზე ადრე შენიშნეს და გამოიყენეს კიდევ კავკასიის „სიმდიდრე და უკაცურობა“.

სულ რამდენიმე წელიწადში გამოჩნდა, რომ ქვეყნი-

⁶⁵ Revue de l'Orient Latin, T. 3., Paris, 1895, 323.

ერების განაპირას მდებარე ამ უპატრონო მიწიერ სამოთხეს, რომლის სიმდიდრე და სიმყუდროვე სელჩუკებს (და ჯვაროსნებსაც) იზიდავდა, დავით აღმაშენებლის სახით მოვევლინა სწორედ რიგიანი და გამრჯე პატრონი, რომელმაც დიდხანს დარჩენილი სტუმრებისთვის ეს სამოთხისეული მიწა ჯოჯოხეთად აქცია. ისე, რომ სელჩუკ მომთაბარეთა ძველ სიმღერებში გაჩნდა ფრაზა – „საქართველოს (აფხაზთა) სისხლიანი მიწა“.

საერთოდ, გოდფრუასა და ბოდუენის დამოკიდებულება საქართველოსთან მეტად თავისებურია. მათი მთავარი მოკავშირე და მეგობარი ბაგრატ კამსარაკანი ჯვაროსნებს სწორედ ქართველთა კეთილშობილ მეფედ წარუდგა. ქართველებს უშუალოდ უნდა შეხვედროდნენ ჯვაროსნები გოდფრუას წინამძღოლობით ანტიოქიასთანაც, სადაც სახიერმა ქართველმა ბერებმა ჯვაროსნები სურსათით მოამარაგეს. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერებისა და ქართველთა ურთიერთობების თვალსაზრისით, ერთ საინტერესო დეტალს ვხვდებით ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ ავტორთან, ბოდუენის პანეგირისტთანაც, რომელიც დიდი ამბით შენიშნავს, რომ ბოდუენი ძალაუფლების ნიშნებს დავით აღმაშენებლისგან იღებდა. ბაგრატის მჭევრმეტყველებით მონუსხულ გოდფრუას, განსაკუთრებით კი ბოდუენს, რომელიც მზად იყო მას კავკასიაში გაჰყოლოდა, ალბათ, ბევრჯერ წარმოედგინა უზრუნველი ცხოვრება კავკასიის მდიდრულ და მყუდრო პროვინციებში.

დიდი ხნის განმავლობაში გოდფრუას საფლავი გოლგოთაზე სწორედ ქართველი ბერების ხელში იყო. ქართველთა სამლოცველოში, რომელშიც ორმოცდაათამდე კანდელი ენთო, ევროპელი პილიგრიმები უპრობლემოდ ახერხებდნენ გოდფრუას საფლავის მოლოცვას. ნმინდა ომების ეპიტომა-

ში, სადაც გოდფრუას საფლავის ერთ-ერთ პირველ მოხსენიებას ვხვდებით, აღნიშნულია, რომ სახელოვანი გოდფრუას საძვალე სწორედ ქართველთა სამლოცველოში მდებარეობს.⁶⁶ წყაროთა თანახმად, გოდფრუას საფლავი მამაცი ქართველების, „რუხი რაინდების“ ხელში იყო.⁶⁷ კიდევ ერთ უცნობ წყაროში, ასევე აღნიშნულია, რომ გოდფრუას საფლავი ქართველთა ხელშია და რომ სარკინოზებს დიდი შიში აქვთ მათი. ვგულისხმობ ანონიმი პილიგრიმის შემდეგ ცნობას: „ქართველები არიან მეოთხე ჯგუფი აღმოსავლეთიდან მომავალ ქრისტიანთა. ნოდებულნი გეორგიელად, რამეთუ წმინდა გეორგია მათი პატრონი. მამაცნი არიან, მეზობლებს ეშინიათ მათი. მსახურებენ როგორც ბერძნები, მათი მღვდლები კი ტონზურას (კოჭიკურს) ატარებენ. წელიწადში ერთხელ, მრავალრიცხოვანნი მოდიან ქრისტეს საფლავთან, სულთნისა და მავრებისთვის ყველანაირი გადასახადის გადახდის გარეშე. შედიან იერუსალიმსა და ბაზილიკაში გაშლილი დროშით. სარკინოზებს მათი ეშინიათ.⁶⁸ მუდამ თან ახლავთ თავიანთი ქალები, შეიარაღებულნი მამაკაცებივით. მათსა და სომხებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შეუთავსებლობაა. მათ [ქართველებს] ეკუთვნით წმინდა საფლავში კალვარის [გოლგოთის] მთა, სადაც არის გოდფრუას საფლავი“.⁶⁹

⁶⁶ Baron de Hody, Godefroid de Bouillon, Paris, 1859, 394.

⁶⁷ Regnault A., Discours du voyage d'outre mer au saint sepulchre de Jerusalem, et autres lieux de la terre Sainte, Paris, 1573, 77.

⁶⁸ ვფიქრობ, ეს საინტერესო დეტალია, აქედან ირკვევა, რომ ქართველები არა მხოლოდ ქალაქში, არამედ წმინდა საფლავის ბაზილიკაშიც გაშლილი დროშებით შედიოდნენ. ქრისტეს საფლავის სიმბოლო ხუთჯვრიანი დროშა იყო. ჩანს, სწორედ ამიტომ შედიოდნენ ქართველი პილიგრიმები ხუთჯვრიანი დროშით არა მხოლოდ იერუსალიმში, არამედ ქრისტეს საფლავის ბაზილიკაშიც.

⁶⁹ Croisades et Pèlerinages, Récits, Chroniques et voyages en Terre sainte, XII-XVI siècle, Paris, 1997, 1190.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ „ქართველი რუხი რაინდები“, რომელთა შიშითაც „სარკინოზები ძრწოდნენ“, მიიჩნეოდნენ ჯვაროსანთა მემკვიდრეებად. მათ ხელში იყო ბევრი მნიშვნელოვანი სიმბინდე, ქრისტიანული სამყაროს მთავარი საკუთხეველი, სამყაროს ცენტრად მიჩნეული წმინდა გოლგოთა და ჯვაროსნული მოძრაობის ლიდერის – გოდფრუას საფლავიც, ისევე, როგორც პირადად გოდფრუასა და საზოგადოდ ჯვაროსანთა ცნობილი სიმბოლო – ხუთჯვრიანი დროშა.

ამავე თავის დასასრულს მკითხველის ყურადღებას მივაქცევ კიდევ ერთ, უაღრესად ფასეულ წყაროს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის რაინდებისა და ქართველთა პირდაპირ ურთიერთობებზე – ოდერიკ ვიტალისის ცნობებს დავით აღმაშენებლისა და რაინდების შესახებ. ეს წყარო ჩვენს ისტორიოგრაფიაში უკვე ცნობილია, მაგრამ მკვლევართა მხრიდან არასწორადაა გაგებული. ბოლო დრომდე ეს ტექსტი მეც არასწორად მესმოდა, ამ შეცდომამ სამწუხაროდ ჩემს წინა წიგნშიც იჩინა თავი. მოცემული წყაროს განსაკუთრებული ღირებულების გამო მისი სწორად წაკითხვა იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ახალი წყაროს გამოვლენა.

ნორმანდიელი ისტორიკოსი – ოდერიკ ვიტალისი მოგვითხრობს მუსლიმთაგან დატყვევებული ჯვაროსანი რაინდების გასაოცარი თავგადასავლის შესახებ, რომელთაც გათავისუფლების შემდეგ სამშობლოში დასაბრუნებლად დავით აღმაშენებელი დაეხმარა. ქართველი მკვლევრები მოცემული წყაროს ნაკლებ ვერსიას იყენებენ. წინამდებარე მონაკვეთში წარმოგიდგენთ თარგმანს, რომელიც ტექსტის ფრანგული, აკადემიური გამოცემიდან შევასრულე: „ყველასთვის საუბედუროდ, ისინი ტირანისგან შეპყ-

რობილ იქნენ. ამგვარად, ბრეტონ გაიმარი, გერვას დე დოლი, რობერტ დე კანი, მუშედ დუ მანსი და რივალონ დე დინანი ბალადმა დაიჭირა, რომელმაც ისინი გადასცა საჩუქრად ალის, მიდთა მეფეს. ის იყო ყოვლად ძლიერი ხელისუფალი. მას შემდეგ, რაც პატივით შეინახა ფრანგები ცხრა თვის განმავლობაში, მან ისინი გაუგზავნა ბალდაკის ხალიფას, მაგრამ სულთანმა ისინი უკანვე მიიღო ამ ხალიფისაგან, გათავისუფლებულები და აღსავსენი საბოძვრით. აქედან მოყოლებული, ოთხმა გმირმა თავის მეთაურად აირჩია გაიმარი, ალენის გრაფის ძე და დარჩნენ სამწელიწად-ნახევარი დიდი პატივით სულთნის ხელქვეშეთ. მეოთხე წელიწადს ისინი დაბრუნდნენ ანტიოქიაში. ღმერთმა ქრისტიანეთა არ უგულებელყო გადასახლებაში მყოფი თავისი შვილები. ხუთი რაინდი იყო დიდად პატივდებული ბარბაროსთა თვალში. მიდთა მეფემ მათ სამართავად შესთავაზა ქალაქი, რომელიც მუდამ მათ გარემოცვაში იმყოფებოდა, ფრანგულად ჩაცმული. რაინდებს იქ ჰყავდათ ცხენები, ჰქონდათ აბრეშუმისა და ოქროს სამოსი, იარაღი და ყველაფერი, რასაც კი სთხოვდნენ მეფეს. სპარსელებს მოსწონდათ ისინი, მიდიელებსაც მოსწონდათ ყველაფერი ფრანგული და აქებდნენ მას. მეფის ასულებს მოსწონდათ რაინდების მშვენიერება და უღიმოდნენ მათდა საამოდ. თავის მხრივ, მეფეს და მთავრებს ენადათ ჰყოლოდათ შვილიშვილები ამ რაინდებისაგან, მაგრამ არავის შეეძლო ისინი მოეშორებინა ქრისტეს მსახურებას და მიექცია მათი სჯულისაგან. მეოთხე წლის ბოლოს მეფემ მიანიჭა მათ უფლება, წასულიყვნენ და გადასცა ოქროს ისარი, რომელიც აღნიშნავს ხელისუფლისაგან ბოძებულ თავისუფლებას. ასევე შესთავაზა, თუკი სურდათ,

დარჩენილიყვნენ მასთან, შეერთოთ ასულები თავისი ყველაზე მძლავრი მთავრებისა, დიდი საგანძურებითა და მიწებით. ბოლოს, როცა მათ იწებეს წასვლა, აჩვენა მთელი საკუთარი სიმდიდრე. [რაინდები] სხვადასხვა მხრივ ძღვენით ავსებულები, გამოემშვიდობნენ ნაცნობებსა და კეთილისმყოფლებს. დავითის, ქართველთა მეფისა და ტუროლდ მთიელის მფარველობით ისინი დაბრუნდნენ ანტიოქიაში, სადაც სიხარულით შეხვდნენ თავიანთ მეგობრებს და მოუთხრეს თავს გადანახადი“.⁷⁰

ცნობის ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირებით, პირველყოვლისა, უნდა გაირკვეს, თუ ვინ იგულისხმება სულთანში, ვისთანაც რაინდებმა რამდენიმე წელიწადი გაატარეს და ბოლოს მისგან გაათავისუფლდნენ კიდევ. ტექსტი ამ სულთანს უზენაეს მუსლიმ ხელისუფლად თვლის. გოჩა ჯაფარიძე მიიჩნევდა, რომ დიდი სულთანი, რომელმაც რაინდები საბოლოოდ გაათავისუფლა, ერაცის სელჩუკიანი სულთანი მაჰმუდი უნდა ყოფილიყო, რომელსაც რეზიდენცია ბალდადში ჰქონდა.⁷¹ და რომ სწორედ ამ სულთანმა გაათავისუფლა ჯვაროსნები, რის შემდეგაც ისინი ერაცადან ანტიოქიაში დაბრუნდნენ, მაგრამ აქ მკვლევარი წინააღმდეგობას აწყდება. ოდერიკის მიხედვით, რაინდები სულთანმა გაათავისუფლა და უკან დააბრუნა, მაგრამ მეორე მხრივ აღნიშნულია, რომ ანტიოქიაში დავითის მფარველობით ჩავიდნენ. ხსენებული მკვლევარი ამასთან დაკავშირებით სამართლიანად შე-

⁷⁰ M. Guizot. „Collection des memoires relatifs A L'histoire de France“, 1825, 225-226.

⁷¹ გ. ჯაფარიძე. „ოდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ“, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული „აღმოსავლეთმცოდნეობა“, 2. 2013, 219-225.

ნიშნავს: „შეუვალობის სიგელს დავით IV ვერ გასცემდა, რადგანაც მტრის ტერიტორიაზე ის არ იმოქმედებდა. გზები, რომლებზეც უნდა გაევიწყოთ ტყვეობიდან გათავისუფლებულ ჯვაროსნებს, ძირითადად გადიოდა მუსლიმთა კონტროლს დაქვემდებარებულ მიწებზე, ალბათ, ჩრდილოეთ მესოპოტამიაზე, მოსულის გავლით, ვიდრე არ მიაღწევდნენ ედესის საგრაფოს, ანდა ჰალაბს, საიდანაც ახლო იყო ანტიოქიის სამთავრო. ძნელი წარმოსადგენია, რომ რაინდებს დავით IV-ის ესკორტი გაჰყოლოდა“. შემდეგ, მკვლევარი იძულებული ხდება, ეს წინააღმდეგობა იმით ახსნას, რომ შესაძლოა დავითმა მონაწილეობა მიიღო რაინდების გამოსყიდვაში. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით მარტივადაა. ჩანს, შესანიშნავ მკვლევარს, ან გარდაცვლილ გოჩა ჯაფარიძეს ხელთ ოდერიკის თხზულების ნაკლები ტექსტი ჰქონდა. ზემოთ, წყაროს ჩვენგან მოხმობილ ფრაგმენტში აღნიშნულია, რომ ბაღდადის სულთანმა, ანუ მაჰმუდმა, რაინდები უკანვე გაუგზავნა მიდიის სულთანს (თოდრულს), რაც იმას ნიშნავს, რომ ის, ვინც საბოლოოდ გაათავისუფლა ჯვაროსნები, მიდიის სულთანია. ტერიტორია კი, საიდანაც ჯვაროსნები ანტიოქიისკენ გაემართნენ, მიდიაა, რომელიც ამ ხანის ლათინურ წყაროებში სპარსეთის ჩრდილოეთით მდებარე განჯისა და ადარბადაგანის სახელწოდებაა.

ფრანგი რაინდები – ბრეტონ გაიმარი, გერვას დე დოლი, რობერტ დე კანი, მუშედ დუ მანსი და რივალონ დე დინანი ანტიოქიისაკენ დაიძრნენ დაახლოებით თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. ამ პერიოდში – 1123-1124 წლებში შირვანს, ისევე როგორც სომხეთს, რომელზეც მათ უნდა გაევიწყოთ, უკვე დავით აღმაშენებელი აკონტროლებდა, რომელმაც ტყვეობიდან დაბრუნებულ ჯვაროსნებს

მფარველობა გაუნია და თავის სამეფოზე გაატარა. შალონის ეპისკოპოს იოანე გერმანის ცნობით, ედესის საგრაფოს საზღვრები დავითის მიწებს სწვდებოდა. თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ რაინდები იოლად მოახერხებდნენ დავითის სამეფოდან ედესაში, იქიდან კი ანტიოქიაში ჩასვლას.

რა შეიძლება ითქვას ჯვაროსანთა ამ გასაოცარ თავგადასავალზე კავკასიაში? მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რამ აქ გაზვიადებულია, მთლიანობაში თხრობა რეალისტურია. მუსლიმურ სამყაროში ჯვაროსანი რაინდებისა და დასავლეთევეროპელთა შესახებ მაღალი წარმოდგენა არსებობდა. სადრ ად დინის მიხედვით, ჯერაც ბაგრატ IV-ის ლაშქარში ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი იყო ქართველთა მეფის სამსახურში მყოფი ფრანგული შენაერთი. მუსლიმები და კონკრეტულად მიდიელები (განჯელები და ადარბადგანელები) დიდგორის ბრძოლაშიც უნდა გამხდარიყვნენ წინა რიგებში მებრძოლი ფრანგების გმირობის მოწმე, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ როგორც ეს უკვე ნაშრომის სხვა ნაწილში ვთქვით, ანტიოქიასთან ჯვაროსნებმა უკუუაქციეს აზერბაიჯანში მომთაბარე სელჩუკთა მოზრდილი, ელიტური რაზმებიც. ყველაფერ ამის გამო გასაკვირი არაა, რომ საგმირო იდეალების მქონე აზერბაიჯანელი სელჩუკებისთვის მაღალი საბრძოლო უნარების ფრანგი რაინდები ისეთივე იდეალიზებული ყოფილიყვნენ, როგორც ამას ოდერიკის ცნობებში ვხედავთ. განსახილველ წყაროში, როგორც ვნახეთ, აღნიშნულია, რომ სპარსელებსა და მიდიელებს მოსწონდათ ყველაფერი ფრანგული. ერთი შეხედვით ევროპელი ავტორი აქ აჭარბებდეს უნდა, მაგრამ საკუთრივ სპარსული ენობრივი მონაცემები გვაჩვენებენ, რომ ოდერიკ ვიტალისი ამ შემთხვევაში სულაც არ აჭარბებს. ეთნონიმი ფრანგი ანუ „ფარანჯ“ ძველ სპარსულში აღნიშნავდა:

„ელეგანტურს, ღირსეულს, ქარიზმატულს, დიდებულე-ბას, სიმალლესა და ძლიერებას“.⁷² ეს მონაცემი საუცხოოდ უდგება ყველაფერ იმას, რასაც ოდერიკ ვიტალისი წერს სპარსელებისა და მიდიელების დამოკიდებულებაზე ფრანგი რაინდებისადმი. ოდერიკის მიხედვით, რაინდებით აღფრთოვანებული სულთანი ხშირად იმყოფებოდა მათთან და ფრანგულ ყაიდაზეც კი იმოსებოდა. შალვა ამირანაშვილი სულ სხვა მონაცემებზე დაყრდნობით შენიშნავდა, რომ დაახლოებით ამავე ხანაში ქართულ ჩაცმულობაშიც შეინიშნება ზოგი ტენდენცია, რომელიც აშკარად ფრანგული წარმომავლობისაა. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ XII საუკუნეში კავკასიაში ჯვაროსნების წყალობით გავრცელდა მოდის ევროპული, ფრანგული ტენდენციებიც.

ფრანგების მიერ შემოტანილი მოდა კავკასიაში ისე პოპულარული გამხდარა, რომ იგი ქართულში სიტყვა „პრანჭიას“ სახით დღემდეა დარჩენილი. „პრანჭია – ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი უკავშირდება სიტყვა „ფრანგს“. ფრანგი, რაც საზოგადოდ ევროპელს ნიშნავდა, ქართულში „ბრანჯ“ ფორმით შემოვიდა. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და აღდგომილ იყვნენ მას ჟამსა ბრანჯნი“. სქოლიოში მინერილია: „ბრანჯნი ფრანგები არიან“. თავდაპირველად ბრანჯია ის იყო, ვინც „იბრანჯებოდა“, უცხოელივით, ევროპელივით იმოსებოდა თუ იქცეოდა. შემდეგ სიტყვა ფონეტიკურად შეიცვალა, რაც ბუნებრივია ქართულში. მნიშვნელობა კი იგივე დარჩა“.⁷³ მართლაც, ასო ბ-ს პ-ში კანონზომიერი გადასვლა ფონეტიკური

⁷² Arabic & Farsi transcription list & glossary for Bahá'ís Revised, 14 July, 2022 – „Afranj“.

⁷³ <http://iliamartali.com/archives/453>.

უნივერსალიაა, ისევე, როგორც ჯ-ს გადასვლა ჭ-ში. საოცარია, რომ ფრანგები, ანუ ძველქართულად ბრანჯები მაშინაც, როგორც ახლა, „ბ(პ)რანჯიაობით“ იყვნენ განთქმულნი. სპარსულშიც, როგორც ვნახეთ, ფრანგმა, ანუ ფრანჩმა ელეგანტურობისა და კოპნიაობის მნიშვნელობა განივითარა. „თავდაპირველად ბრანჯია ის იყო, ვინც „იბრანჯებოდა“, ევროპელებივით იმოსებოდა“. შეიძლება ითქვას, რომ ოდერიკ ვიტალისის უნიკალური ცნობა კავკასიაში სწორედ ასეთ პირველ „პრანჭებზე/ბრანჯებზე“ მოგვითხრობს. ფრანგი ანუ ბრანჯი რაინდების – ბრეტონ გაიმარის, გერვას დე დოლის, რობერტ დე კანის, მუშედ დუ მანსისა და რივალონ დე დინანის კავკასიელი მეგობრები, რომლებიც სამოსითა და ქცევებით ამ ფრანგ, „ბრანჯ“ რაინდებს ბაძავდნენ, ანუ „იპ(ბ)რანჭ(ჯ)ებოდნენ“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჯვაროსანთა ამ მარშრუტის შესახებ გვიამბობს სხვა წყაროც – ძველი ფრანგული სიმღერა დატყვევებული რაინდების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ რაინდებმა გადალახეს არმენია, საქართველო და პატერონი, სადაც რქამოგრეხილი ჯიხვები ჰყავთ („Qui as Turs sont acilin“)⁷⁴. პატერონში შესაძლოა იგულისხმებოდეს შუა საუკუნეების კავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი ქალაქი პარტავი / ბარდავი, რომელსაც ახსენებს ამავე ეპოქის დიდი დასავლელი ავტორი ჰუგო სან ვიქტორელი. ბარდავი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა და ჯვაროსნებს დიდი ალბათობით მასზე უნდა გაეელოთ, ნებისმიერ შემთხვევაში, აქ საუბარი კავკასიის რეგიონზეა, სადაც სიმღერის მიხედვით, რქამოგრეხილი ჯიხვები ბინადრობენ. ვფიქრობ, ეს ბრეტონ გაიმარისა და მისი რაინდების

⁷⁴ Geoffrey M. Myers. „The Old French Crusade Cycle“, volume 5, Les Chetifs, 1981, 91.

კავკასიური ეპოპეის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია. ჯიხვი ხომ კავკასიის ენდემური სახეობაა, რაც მის სამეცნიერო სახელწოდებაშიცაა ასახული (*Capra Caucasica*). ამდენად, კავკასიაში მყოფ ჩვენს რაინდებს სიცოცხლეში პირველად უნდა ენახათ ჯიხვი, რის გამოც სიმღერა საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამ საკვირველებაზე. ამავე დროს, ეს გარემოება მიგვითითებს იმაზეც, რომ თხზულების ფანტასტიკური გადახვევების მიუხედავად, ის რეალურ ფაქტებსაც ეყრდნობა.

მამარი და ჯვაროსნული სამყარო ამორძალები და საქართველო

ანტიკურ ხანაში კავკასიას უკავშირდებოდა ლეგენდების კიდევ ერთი ციკლი – მებრძოლი ქალების, ამორძალების შესახებ. მათი ხსოვნა შუა საუკუნეებშიც იყო შემონახული, ამიტომ საქართველოში თამარის მეფობამ ამ ლეგენდის სხვადასხვა ვარიანტის რეანიმირებას შეუწყო ხელი. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ წმინდა მინის პილიგრიმები საქართველოს „დედაკაცთა მინასაც“ ეძახდნენ. XIII საუკუნის ათიან წლებში ეპისკოპოსი იაკობ ვიტრელი საგანგებოდ აღნიშნავდა ქართველ ქალთა და ამორძალთა მსგავსებას,⁷⁵ ხოლო კარდინალი ოლივერ პადერბონელი წერდა, რომ კეთილშობილი ქართველი ქალები ბრძოლები-სათვის იწვრთნებოდნენ.⁷⁶ აქ იგი იმეორებს ცნობილ ლეგენ-

⁷⁵ McKenzie S., *Conquest Landmarks and the Medieval World Image: A Study in Cartography, Literature and Mythology*, University of Adelaide, 2000, 187.

⁷⁶ Oliver of Paderborn, *The Capture of Damietta*, in: *Crusade and Christendom: Annotated Documents in Translation from Innocent III to the Fall of Acre, 1187-*

დას ამორძალეებზე, რომლებიც საბრძოლო წვრთნებს იღებდნენ. დომინიკელი ბერი თომას კანტიმპრელი ამტკიცებდა, რომ ამორძალეები ქრისტიანები იყვნენ და იცავდნენ საქრისტიანოს სარკინოზებისაგან. დასავლეთში ზოგიერთისათვის ისიც იყო ცნობილი, რომ ამორძალთა სახელმწიფო ჩვეულებრივი ქვეყანა იყო, უბრალოდ, ქალებს აქ განსაკუთრებული პოლიტიკური უფლებები ჰქონდათ. მაგალითად, იოანე ჰესეს „ინტერარიუსის“ თანახმად, ქრისტიანი ამორძალეები ჩვეულებრივ ინერდენ ჯვარს მამაკაცებზე და ესწრებოდნენ წირვა-ლოცვას.⁷⁷ ყველა ამ წანამძღვრის შემდეგ, XII-XIII საუკუნეების წყაროები გვანვდიან კიდევ უფრო კონკრეტულ ცნობასაც, სადაც ქართველთა ქვეყანა პირდაპირაა გამოცხადებული ამორძალთა მიწად. ეს შესანიშნავი ცნობა პირველად წმინდა გრიგოლ ფერაძემ გამოაქვეყნა: „ამბობენ, რომ ისინი (ქართველები. – ბ.ჭ.) მოვიდნენ ქალების ქვეყნიდან, სადაური ამორძალეებიც ამხედრებულები მიდიან ომში“.⁷⁸ აქ ცნობის მხოლოდ მოკლე პერიფრაზია მოცემული, მისი წარმომავლობის მითითების გარეშე. ჩანს, წყაროს ორიგინალს გრიგოლ ფერაძე არ იცნობდა. როგორც ირკვევა, ეს წყაროა უილიამ ტირელის ქრონიკის XIII საუკუნის ძველი ფრანგული გაგრძელება, სადაც ნათქვამია: „დაახლოებით [ერთი] ლიგის შემდეგ არის დედათა მონასტერი, სადაც, ამბობენ, რომ ძელი ჭეშმარიტი აღმოაჩინეს. დედები (მონაზვნები) ეკუთვნიან ქვეყანას, სახელად აფხაზეთს (Anegine); ზოგი ამ-

1291, Edited by J. Bird, E. Peters and J.M. Powell, University of Pennsylvania Press, 2013, 189.

⁷⁷ Block J., Trade, Travel and Exploration in the Middle Ages An Encyclopedia, Routledge, 2000, 18.

⁷⁸ Peradze G., An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine, As Revealed in the Writings of Non-Georgian Pilgrims, Georgia, Vol.1, №4-5, 1937, 207.

ბოხს, რომ ის არის ქალების მინა“.⁷⁹ მონასტერში აშკარად იერუსალიმის ჯვრის მონასტერი იგულისხმება, რომელიც შეცდომით დედათა მონასტრადაა მიჩნეული, თუმცა შესაძლოა, შეცდომა არც იყოს. ჯვრის მონასტრის სადღეისოდ ნაშლილი ფრესკების ერთ ასლში, წარმოდგენილია ამ მონასტრის სამღვდლო დასი, რომლის უკანა რიგში ქართველი მონაზონი ქალებიც არიან გამოსახულნი.

„ქართველები (Georgien), რომელნიც არიან მონასტერში, სადაც ჯვრის ნაწილი იქნა მოპოვებული, მოვიდნენ აფხაზეთად წოდებული ქვეყნიდან. იმ ქვეყანაში არის მეფე და დედოფალი, და ზოგიერთი უწოდებს დედაკაცთა მინას, რადგან დედოფალი მიუძღვის ქალების არმიას ომში, როგორც მეფე – მამაკაცების არმიას. ამ ქვეყანაში ქალებს აქვთ ცალი ძუძუ, და მე გეტყვით რატომაც: როცა ქალი დაიბადება და წამოიზრდება მცირედ, ჭრიან მას მარჯვენა ძუძუს ცხელი დანით და უტოვებენ მარცხენას, რათა აწოვონ შვილებს. მიზეზი, რის გამოც ამას აკეთებენ, ისაა, რომ არ შეუშალოს ხელი [მკერდმა] ბრძოლაში“.⁸⁰ აქ გადმოცემულია საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდა ამორძალების შესახებ, რომელთაც ცალ ძუძუს სჭრიდნენ. ამ თავისებურების ქართველი ქალებისათვის მიწერა ეჭვმიუტანლად გვიჩვენებს, რომ ამორძალთა სამეფოდ ევროპელები აფხაზეთს, ანუ სწორედ ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიას მიიჩნევდნენ. მრავალრიცხოვან წყაროთა დაჟინებული მითითება ქართველ ქალთა და ამორძალთა მსგავსების შესახებ, საქართველოში ქალთა მეფობის გარ-

⁷⁹ Crusader Syria in the Thirteenth Century: The Rothelin continuation of William of Tyre, Edited by J. Shirley, 1999, 20.

⁸⁰ Crusader Syria in the Thirteenth Century: The Rothelin continuation of William of Tyre, Edited by J. Shirley, 1999, 21.

და, შესაძლოა, ნაწილობრივ, სხვა მხრივაც ისტორიულ სინამდვილეს ეფუძნებოდეს. მკვლევარ მამუკა წურწუმიას დაკვირვებით: „ქალის მიერ იარაღის ფლობა რომ არცთუ იშვიათი ყოფილა, ამაზე მინიშნებას გიორგი ბრწყინვალის სამართალში ვიპოვით, სადაც ცალკეა გამოყოფილი შემთხვევა, როდესაც შებმის დროს შეიარაღებული ქალის მოკვლა არ ისჯება: „და თუ დიაცი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გაცუდდეს მის დიაცისა სისხლი“. საბუთიდან ჩანს, რომ ქალი არა მარტო იარაღს ფლობს და იბრძვის, არამედ, ყველა წესის დაცვით, სრულად (აბჯრით) არის შეჭურვილი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ქართველი დიდგვაროვანი ქალი ფლობდა მისი წარმომავლობის შესაფერის სამხედრო ჩვევებს და სურვილისამებრ ან საჭიროების შემთხვევაში შეეძლო მისი გამოყენებაც“.⁸¹

ართველთა მეფის ისტორიული მისია და ამორძალთა დედოფალი

ანტიკური ხანიდან მოყოლებული, შუა საუკუნეების ჩათვლით, საქართველოს მეფის უმთავრეს მისიად დარიალის ცივილიზაციათმორისი კარიბჭის დარაჯობა იყო მიჩნეული. ეს კარგად აისახა ანსელმის ეპისტოლეში, აგრეთვე ლეგენდაში დარიალის კარიბჭის მცველ პრესვიტერ იოანეს შესახებ, რომელიც საქართველოს მამაკაცი მეფეების პერსონიფიცირებაა, მაგრამ თამარი, სქესიდან გამომდინარე, ვერ თავსდებოდა პრესვიტერ იოანეს კომპლექსში. ამიტო-

⁸¹ <<http://kasa.tsu.ge/ge/RnYYZEebPF/> [09.10.2021]

მაც იგი დარიალის აპოკალიფსურ კარიბჭესთან დაკავშირებულ ლეგენდათა სხვა ციკლში მოექცა, რაც შემდეგიდან ჩანს: ჯონ მანდვეილის (1300-1372) თანახმად, გოგისა და მაგოგის ჩამკეტ კარიბჭეს, ანუ დარიალს (რომელსაც პრესვიტერ იოანეს ლეგენდის მიხედვით, პრესვიტერი ყარაულობდა), იცავს ამორძალთა დედოფალი, რომელიც ამ მთასთან ცხოვრობს და ეს ტომები ხარკს უხდიან.⁸² „EVESHAM“-ის მსოფლიო რუკაზეც ამორძალთა ქვეყანა ჩრდილოეთკავკასიელ ტომთა მეზობლადაა გამოსახული.⁸³ ამორძალთა ამ მისიაზე საუბრობს სხვა წყაროც – დი მარკო.⁸⁴

მანდვეილის შრომა, რომელიც, ძირითადად, ლეგენდათა დიდი კრებულია, აერთიანებს მრავალ უფრო ადრეულ გადმოცემას, რაც ამ ნაწილშიცაა თვალშისაცემი. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ამორძალთა ქვეყნად ამ ხანებში საქართველო მიიჩნეოდა. შესაბამისად, ეს დედოფალი სხვა არავინ უნდა იყოს, თუ არა თამარი. წყაროები მის ფუნქციად სწორედ საქართველოს მეფეთა ისტორიულ მისიას – დარიალის კარიბჭესთან მაგოგის დარაჯობას წარმოგვიდგენენ. როგორც უკვე ეს ზემოთ ვნახეთ, ანსელმის ეპისტოლეზა და პრესვიტერ იოანეს შესახებ ლეგენდებში ასახულია ქართველთა მეფეების ისტორიული მისია, ანუ დარიალის კარის დარაჯობა. სწორედ ამავე ტრადიციას აგრძელებს მანდვეილთან დაცული ცნობებიც. თუკი ანსელმი ამ კარიბჭის მცველებად დემეტრეს, იქამდე კი დავითს ასახელებს, მანდვეილთან მათ ადგილას თამარი უნდა ვიგულისხმოთ. მანდვეილის ჩვენებით, გოგისა და მაგოგის ჩრდილოეთკავკასიელი ტომები

⁸² McKenzie S., *Conquest Landmarks and the Medieval World Image: A Study in Cartography, Literature and Mythology*, University of Adelaide, 2000, 187.

⁸³ იქვე, 25.

⁸⁴ იქვე, 187.

თამარის მოხარკეები არიან (შეადარე „ქართლის ცხოვრებას“, რომელიც თამარზე წერს, რომ მან იპყრნა „ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი (აქ: იმიერ და ამიერ-კავკასიელები. – ბ. ქ). ხაზარეთამდის და სკვითთამდის“, id est სწორედ გოგ-მაგოგელნი). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ევროპელებს ლეგენდები არა მხოლოდ დავით აღმაშენებელზე, არამედ თამარზეც შეუთხზავთ, რომელიც, მათი წარმოდგენით, კავკასიის კარიბჭის მცველი ამორძალი დედოფალი იყო. ლეგენდარულ და მხატვრულ წარმოდგენებში, თამარის, როგორც საქართველოს ძლიერი მეფის უპირველესი ატრიბუტი, მართლაც, საყოველთაოდ განთქმული კავკასიის კარიბჭე შეიძლება ყოფილიყო. საინტერესოა, რომ თითქოს ეს ასე ხდება XIII საუკუნის პოეტის, ნიზამის შემოქმედებაშიც, სადაც ის, ისევე, როგორც თომას კენტელი და მანდევილი, თამარს კავკასიის კარის (ამ შემთხვევაში დარუბანდის) მფლობელი დედოფლის სახით წარმოაჩენს.⁸⁵ საყურადღებოა, რომ ამ წყაროებისგან დამოუკიდებლად, თამარი კავკასიის კარის მფლობელ დედოფლადაა წარმოდგენილი XIX-XX საუკუნეების რუსულ პოეზიაშიც.

მორძალი ქრისტიანი დედოფალი – სომეხთა დედოფალი?

მას შემდეგ, რაც მანდევილის განხილულ ცნობებთან დაკავშირებით ვარაუდამდე დამოუკიდებლად მივედი და ტექსტის ხსენებული მონაკვეთიც უკვე დაწერილი მქონ-

⁸⁵ თვარაძე აღ., აღმოსავლეთის სურათი შუა საუკუნეთა გერმანულ რომანში: ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი“, „ცივილიზაციური ძიებანი“, ტ. 6, თბილისი, 2008, 27.

და, შევიტყვე, რომ მანდევილის მოგზაურობათა ტექსტის ზოგ ვერსიაში ამორძალთა დედოფლის ადგილას სომეხთა დედოფალი იხსენიება,⁸⁶ რაც იმის დამატებითი მტკიცებულებაა, რომ აქ თამარი იგულისხმება, რამდენადაც დასავლური წყაროები განსახილველი ხანის საქართველოს სწორედ აფხაზეთისა და სომხეთის სამეფოს უწოდებენ (მაგალითად, ბალდუინის პანეგირიკი, სადაც დავით აღმაშენებელი აფხაზთა და სომეხთა მეფედ იწოდება). ადრიანა მიტესკუც, ამ დედოფალს პირდაპირ თამარად მოიხსენიებს, რომელიც იყო „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა“.⁸⁷ „REGINA POTENTISIMA TAMAR“-ის, ანუ „უძლიერეს დედოფალ თამარის“ შესახებ ხმებს შორეულ შვეიცარიამდეც კი ჩაუღწევია. დაახლოებით 1300 წლისთვის შვეიცარიელი ანონიმი პოეტი გოგისა და მაგოგის მფლობელი ამორძალების დედოფლის შესახებ ამბობს, რომ ის „ყველაზე ძლევამოსილია“.⁸⁸ ევროპული ცნობები თამარის, ანუ ქრისტიანი ამორძალი დედოფლის შესახებ ამით არ ამოიწურება. წარმოგიდგენთ XIII საუკუნის კიდევ ერთ უცნობ ლათინურ ჩანაწერს თამარის შესახებ, რომელიც კიდევ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რა სახის აღქმები არსებობდა თამართან დაკავშირებით ჯვაროსნულ წრეებსა და დასავლეთში. ზემოხსენებული დომინიკელის, ფრა თომასის შრომაში „Liber de Natura“, რომელიც 1237 წლის ახლო პერიოდში დაინერა, ვკითხულობთ: „Quod ille feminarum populus fortissimus sit et Christiano nomini dictatus. Contra Sarracenos

⁸⁶ Mandeville J., Book of Marvels and Travel, Oxford University Press, 2012, 105.

⁸⁷ Mitescu A., The Pattern of the Religious Disputes: Judaism, Christianity and Islam from Spain to Caucasus, Teresianum, Vol. 48, №1, 1997, 321.

⁸⁸ Strickland D.H., Saracens, Demons and Jews: Making Monsters in Medieval Art, Princeton University Press, 2013, 235.

acerrime pugnat. Et quidem non est diu, quod ipsarum Amazonarum regina veniens a partibus orientis servitor se mancipavit temple et sepulchri dominici“.⁸⁹ ანუ: „აღდგა ყველაზე მამაცი მოდგმა ქალებისა (რომელთაც უხმობენ ქრისტიანეთა სახელით) სარკინოზთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლებით, და ნამდვილად არ იყო ეს დიდი ხნის წინ, როცა დედოფალი ამორძალებისა აღმოსავლეთის რეგიონიდან მოდიოდა მსახურებისთვის (იერუსალიმში. – ბ. ჭ), გამოაცხადა რა საკუთარი თავი ტამპლიერად და უფლის საფლაველად“.

გავიხსენოთ გრიგოლ ფერაძის მიერ გამოქვეყნებული ცნობა, რომლის მიხედვითაც, იერუსალიმში ქართველი პილიგრიმები ამორძალთა ქვეყნიდან მოსულებად მიიჩნეოდნენ. ამავე ხანის ავტორი თომას კენტელი და შემდეგ მანდვეილი, ამორძალთა დედოფლის მისიად დარიალის დარაჯობას წარმოგვიდგენს, რაც მართლაც საქართველოს მეფის ისტორიული მისია გახლდათ. ამდენად, ჩვენ წინაშეა სხვადასხვა წყაროს თანხვედრა, რომ განსახილველი ხანის აღმოსავლელი ამორძალთა ქრისტიანი დედოფალი სწორედ თამარ მეფეა. ამიტომ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ამორძალთა ქრისტიანი დედოფალიც, რომელსაც იერუსალიმში ჩასვლა სურდა და სარკინოზთა წინააღმდეგ აშხედრდა, სწორედ აფხაზთა დედოფალი, ანუ თამარია. ფრანგი რაინდის, ჟილბერ დე ბუას ცნობილი წერილი გვანუგის დამატებით მტკიცებულებებს ამ იდენტიფიცირების სასარგებლოდ. აქ ნათქვამია, რომ თამარმა სიცოცხლეში „აღთქმა დადო იერუსალიმში წასვლისა. შვილს სთხოვა, გარდაცვალების შემდგომ, მისი ნეშტი უფ-

⁸⁹ The English Province of the Franciscans (1224-C.1350), Edited by M.J.P. Robson, Brill, 2017, 167.

ლის საფლავთან წაესვენებინა“.⁹⁰ ცხადია, რომ ფრა თომასის ეს ქრისტიანი ამორძალი დედოფალი, ვინც არცთუ ისე დიდი ხნის წინ იერუსალიმში მოდიოდა, და რომელიც მანდევლის ლეგენდის თანახმად, დარიალის კარიბჭეს იცავს, დე ბუას „უძლიერესი დედოფალი თამარია“, ვინც, აგრეთვე, იერუსალიმში წასვლის აღთქმას დებს.

ყურადსაღებია ფრა თომასის მითითება, რომ ამორძალები და მათი ქრისტიანი დედოფალი დაუპირისპირდა სარკინოზებს. ვფიქრობ, ეს ცნობა პირდაპირ ეხმიანება ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე უცნობ, ალბერისის ცნობას აღმოსავლური მოხსენების შესახებ (XIII საუკუნის პირველი ნახევრის), რომელიც იტალიური პროვინციის კამპანიის კურიაში წაიკითხეს და რომლის სათაურიცაა: „აფხაზთა დედოფლის ომი თურქების წინააღმდეგ“ – „De bello Reginae Avigniae contra Turcos“.⁹¹ ამ ცნობაში პირდაპირაა დასახელებული როგორც ამორძალთა დედოფლის, ისე სარკინოზთა ვინაობაც, რომელთაც იგი დაუპირისპირდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეპოქისათვის თამარ მეფის სამეფო დასავლეთ ევროპიდან ძალიან შორს იყო, თამარის ფიგურამ დიდი კვალი დატოვა ევროპულ წარმოდგენებზე სამყაროს შესახებ. დასასრულ, სწორედ ამაზე მეტყველებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. თამარისგან დარიალის აპოკალიფსური კარიბჭის დაცვას საგანგებოდ განიხილავს შუა საუკუნეების ევროპული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, თომა აქვინელის მასწავლებელი – ნმინდა ალბერტ დიდიც (1200-1280). ამ ინტელექტუალური

⁹⁰ Regesta Regni Hierosolymitani (1097-1291), Edidit R. Röhrich, Innsbruck, 1893, 234.

⁹¹ Alberici monachi Trium Fontium Chronicon, è manuscriptis nunc primum editum à Godofredo Gvilielmo Leibniti, Lipsae, 1698, 536.

გიგანტის მასშტაბის წარმოსადგენად საკმარისია ითქვას, რომ იგი არა მხოლოდ დიდი ფილოსოფოსი და თეოლოგი, არამედ ერთ-ერთი პირველი ნატურალისტი და ქიმიკოსიც იყო. მისი საბუნებისმეტყველო ნაშრომები ფუძემდებლური მნიშვნელობისაა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ეპოქის მთელი მეცნიერული ცოდნის სისტემატიზატორია. წმინდა ალბერტ დიდი დღემდე მნიშვნელოვანი ფიგურაა კათოლიკურ ეკლესიაში. იგი ბუნებისმეტყველთა ემბლემურ ფიგურად და მფარველად მიიჩნევა. ამ დონის მოაზროვნის საგანგებო ყურადღება მეფე თამარისა და ქრისტიანული სამყაროს წინაშე მისი მისიის შესახებ კიდევ ერთხელ გვიჩვენებს თუ რა ღრმა კვალი დატოვა ქართველთა ძლევამოსილმა დედოფალმა თანადროულ მსოფლიოზე. ალბერტ დიდის ცნობები ამორძალ დედოფლად წარმოდგენილ თამარზე, ტერიტორიული და ქრონოლოგიური დაცილების შესაბამისად, რამდენაღმე მითოლოგიზებულია, მაგრამ მასში მარტივად იკითხება ქართველ მეფეთა ისტორიული მისია – კავკასიის კარის დარაჯობა, რაზეც უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ. ალბერტი წერს, რომ კავკასიის აპოკალიფსური და ცივილიზაციათშორისი კარიბჭის მცველი ამორძალი დედოფალია, რომელსაც ექვემდებარებიან მაგოგის ჩრდილოეთკავკასიელი ტომები.⁹²

როგორც ვხედავთ, ალბერტ დიდი იმეორებს კარგად ცნობილ შეხედულებას თამარისაგან ჩრდილოეთ კავკასიის აპოკალიფსური, უკონტროლო ზონის დამორჩილების შესახებ. ამავც წერენ თამართან დაკავშირებით სხვა, ქართული და არაქართული წყაროებიც. ამიტომ, ვფიქრობ, უკვე მრავლად წარმოდგენილ პარალელურ მასალებთან ერთობლიობაში ალბერტის ჩვენების შინაარსი კარგად გასაგებია.

⁹² Lelewel J., Géographie du Moyen Age, Bruxelles, 1857, 29.

მამარი, იერუსალიმი და ტამპლიერები

დავუბრუნდეთ ისევ კანტიმპრესს. მნიშვნელოვანია, რომ თომასის თანახმად, ეს დედოფალი იერუსალიმში კი არ ჩასულა, არამედ ჩასვლას აპირებდა. იოლი შესამჩნევია, რომ ამავსე გადმოგვცემს ფრანგი რაინდი ჟილბერ დე ბუაც, როდესაც აცხადებს, რომ თამარმა იერუსალიმში ჩასვლის აღთქმა დადო. თომასთან დაცულ ინფორმაციაში განმარტებული არაა, რატომ ვერ ჩავიდა ამორძალთა დედოფალი იერუსალიმში, მაგრამ ამ გარემოებას დე ბუა ასე ხსნის: თამარი ჩანაფიქრის განუხორციელებლად გარდაიცვალა, ამიტომაც ახლა მისი შვილი აპირებს დედის ნეშტის წმინდა მიწაზე, უფლის საფლავთან გადასვენებასო. გამორჩეულად ყურადსაღები ფრა თომასის ცნობაში ისაა, რომ თამარმა თავი „ტამპლიერად და უფლის საფლაველად გამოაცხადა“. როგორც ცნობილია, ტამპლიერთა უპირველესი მოვალეობა წმინდა მიწის მომლოცველთა უსაფრთხოების დაცვა იყო.

თამარის ისტორიკოსი დანვრილებით ცნობებს გვანდის იმის შესახებ, თუ რა თავდადებით ზრუნავდა ძღვევამოსილი დედოფალი იერუსალიმელი ქრისტიანებისა და არა მხოლოდ იქ არსებული ქართული სამონასტრო კოლონიებისთვის: „და რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანეთა, ყოველთა მიუმცნო, რათა აზადად იყვნენ და ფიცხლად დამორჩილდნენ შიშითა და სიყუარულითა მისითა (შდრ. როცა მოგვიანებით ორადინუსმა იერუსალიმის კედელი დაანგრია, ქართველები მას სასტიკად დაემუქრნენ. – ბ. ჭ), წარავლენდის სარწმუნოთა თვისთა და დაავედრის ესრეთ: ინყეთ ალექსანდრიით ყოვლისა თანა

ლუბიისა, სინისა მთისა და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის. ხოლო იერუსალიმისათვის რადლა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა, და სინმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკათათვის ოქროთა აურაცხელთა. ტყუენი განათავისუფლნის და ხარკი ერისა თვით უკუნსცის და ყოველი ჭირი დაჭირებული აღილის მათგან, კუალად კერძოთა ელადისათა და მთანმინდ“.⁹³

ლაშა-გიორგისდროინდელი ისტორიკოსი: „საბერძნეთისა მთანმიდისა, იერუსალიმისა და შავისა მთისა საყდარნი და ეკლესიანი რომელნიმე დარღუეულნი აღაშენა, რომელნიმე მათითა საფასოთა დაიხსნნა ხარკისაგან უცხო თესლთასა“.⁹⁴ ამდენად, თამარი თავგამოდებული მოსარჩლე იყო იერუსალიმელი ქრისტიანებისათვის. შესაბამისად, მოულოდნელი არაა, რომ ეს იდუმალი დედოფალი, ჯვაროსნულ წრეებში ტამპლიერად და უფლის საფლაველად იქნა აღქმული, რომელიც, იერუსალიმელ ქრისტიანთა მფარველობის აზრით, მართლაც უპირველესი ტამპლიერი იყო. რაც შეეხება მის „უფლის საფლაველობას“, ამასთან დაკავშირებით უნდა ვითვალისწინებდეთ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის შემდეგ შესანიშნავ ცნობას: „ივერიის ყველაზე ღვთისმოსავი მეფეები იყვნენ მფარველნი და ქტიტორნი სიცოცხლის მომნიჭებელი საფლავისა (ქრისტეს საფლავისა) და სხვა თაყვანსაცემი ადგილებისა. რადგან ბერძნებისა და ფრანკების არაბებთან და ეგვიპტის სულთანთან ბრძო-

⁹³ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, ტ. 2, თბილისი, 1959, 141-142.

⁹⁴ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული, თბილისი, 1942, 240.

ლის დროს მონასტრები გაპარტახდა და მიუახლოვდა აღსასრულს, ივერიის მეფეები კი მხარში ამოუდგნენ მათ⁹⁵ (რა იგულისხმება იერუსალიმის მონასტერთათვის „მხარში ამოდგომაში“, პირდაპირაა ნათქვამი ლაშა-გიორგისდროინდელ ისტორიკოსთან – „რომელნიმე დარღუეულნი აღაშენა, რომელნიმე მათითა საფასოთა დაიხსნნა ხარკისაგან უცხო თესლთასა“). მართლაც, 1192 წელს თამარმა მოახერხა ქართველი ბერების ქრისტეს საფლავის ტაძარში დამკვიდრება. ამასთანავე, მოიპოვა უფლება დაზიანებული ტაძრების აღდგენისა,⁹⁶ მაგრამ ამ მოვლენებს უფრო ღრმა საფუძვლები ჰქონდა: საქმე ისაა, რომ თამარს სურდა „გამოეყენებინა ჯვაროსანთა დაცემა და ბიზანტიის იმპერიის დაუძღურება, რათა საქართველო წმინდა მიწის ახალ ძლევამოსილ მცველად ექცია, ამიტომ, სირიული და სომხური წყაროებისაგან განსხვავებით, ქართულ ქრონიკებში არ მოიძებნება ჩივილი იერუსალიმის ლათინური სამეფოს დაცემასა და წმინდა ქალაქის დაკარგვასთან დაკავშირებით“⁹⁷. ფრა თომასის ცნობა ამ სინამდვილეს ზედმინევენით ასახავს, როდესაც საუბრობს თამარის მისწრაფებაზე ტამპლიერობისა და ქრისტეს საფლავის მცველობისაკენ.

მოცემულ პერიოდში ბიზანტიის იმპერია საგრძნობ-

⁹⁵ ალექსიძე ლ., უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი მდგომარეობა შოთა რუსთველის ეპოქის საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.125, №6, თბილისი, 1968, 168.

⁹⁶ Hunt L.A., Earsten Christian Art and Culture in the Ayyubid and Early Mamluk Periods: Cultural Convergence between Jerusalem, Greater Syria and Egypt, in: Ayyuibid Jerusalem: The Holy City in Context 1187-1250, Edited by R. Hillenbrand and S. Auld, London, 2009, 328.

⁹⁷ Ciggaar K., Tuele H., East and West in the Crusader States. Context – Contacts – Confrontations, Peeters Publishers, 1993, 39.

ლად დასუსტებული იყო. ეგეც არა, მისმა ხარბმა იმპერატორმა თამარისგან უხვად დასაჩუქრებული ქრისტიანი ხუცესების გაძარცვაც კი არ ითაკილა, რამაც კარგად აჩვენა, რომ ის საქრისტიანოს მფარველად ვერასგზით ჩაითვლებოდა. თამარმა სასტიკად დასაჯა ხარბი იმპერატორი, ბიზანტიის იმპერიას ჩამოაჭრა უზარმაზარი მიწები და ტრაპიზონის ახალი იმპერია დააფუძნა, გაძარცვულ ხუცესებს კი „უფლის საფლაველმა და ტამპლიერმა“ ხელახლა, კიდევ უფრო მეტი შესანიერი გაუგზავნა, რაც საერთაშორისო მასშტაბით ახდენდა იმის დემონსტრაციას, რომ საქრისტიანოს უზენაესი მფარველი მხოლოდ საქართველოს მეფეა, რომლის წარმატებებიც არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს, არამედ მთელი საქრისტიანოს გამარჯვებაა. როგორც სომეხი ისტორიკოსი ვარდანი გადმოგვცემს: „თამარის მეფობის ჟამს ქრისტიანები გაძლიერდნენ“.⁹⁸ ერთი შეხედვით, ეს ცნობა გაუგებარია, რამდენადაც თამარის მეფობისას ქრისტიანები არათუ გაძლიერდნენ, არამედ დაემხნენ. ცნობილია, რომ წმინდა მინის ჯვაროსნული გაერთიანებები არსებობას სწორედ ამ პერიოდში წყვეტენ. ამ ცნობაში, ცხადია, ლაპარაკია ქრისტიანთა გაძლიერების შესახებ ახალი ძალის – საქართველოს გარშემო. „უმთავრესად სწორედ ქართველები იყვნენ მხარდამჭერები ადგილობრივი, მელქიტი ქრისტიანებისა, მანუელ კომნენოსის გარდაცვალების შემდეგ. საქართველომ დაიჭირა ბიზანტიის ადგილი ქალკედონიტი ქრისტიანების მფარველობაში, თამარის მეფობიდან მონღოლთა შემოსევამდე და ოქროს ხანის აღსასრულამდე“. ყველაფერ ამის მერე, ვფიქრობ, გასაგები ხდება თამარის

⁹⁸ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. 2, თბილისი, 2012, 288.

ტიტული: „ყოველთა ქრისტიანეთა მპყრობელი“,⁹⁹ ანუ სრულიად საქრისტიანოს მფლობელი, ამ ცნობის შუქზე გასაგები ხდება ლათინი ავტორების ის ცნობაც, რომ სასტიკად აღშფოთებული ქართველები ემუქრებოდნენ ორადინუსს, რომელმაც იერუსალიმის კედელი მათ უკითხავად მოარღვია (გოჩა ჯაფარიძეს განხილული აქვს ერთ-ერთი მუსლიმური წყარო, რომელიც აღწერს, რომ ქართველთა მუქარით შეშინებულმა ორადინმა ქართველთა მეფესთან საგანგებო მოციქული გაგზავნა ახსნა-განმარტებისთვის, რომ მან მხოლოდ წმინდა ქალაქის გალავანი დაანგრია სტრატეგიული მიზნებისთვის და არა კამამე, ანუ ქრისტეს საფლავი). ასეთი განწყობები საქართველოში უნანამძღვროდ არ გაჩენილა, X-XI საუკუნეებში, აღმავალ ქართულ სახელმწიფოებში უკვე ჩნდება იერუსალიმთან, მაშასადამე საქრისტიანოს მედროშეობასთან დაკავშირებული პრეტენზიები, ჯუანშერის ნახევრად ლეგენდარულ თხზულებაში, რომელიც კარგად გადმოგვცემს აღნიშნული ხანის საგარეო პოლიტიკურ განწყობებს. კათალიკოსი პეტრე აცხადებს, რომ ქართველთა მეფის მსხვერპლზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ქართლი, არამედ იერუსალიმიც: „იყავ შენ, ვითარცა გაზრახოს ღმერთმან, დაღაცათუ არა მოჰკუდეთ, მოვკუდეთ“. და ამით სიტყვთა ამხილა, ვითარმედ წყობასა მას არა დარჩეს, და რქუა: „არა-ხოლო-თუ ქართლი მიეცეს განსარყუნელად, არამედ იერუსალიმიცა, რომელ არს მშობელი ყოველთა შვილთა ნათლისათა“.

შემთხვევითი არაა ისიც, რომ როგორც პაპის ექიმმა, ფილიპმა შეიტყო, პრესვიტერს სურდა იერუსალიმ-

⁹⁹ კოპასძეთა მოსახსენებელი,
<<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/mgeo/samxrmas/samxr.htm>>

ში, ქრისტეს საფლავის ტაძარში, საკურთხევლის ქონა,¹⁰⁰ რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ერთიანი ქართული ჯვაროსნული მონარქიის ლტოლვა იერუსალიმში პირველობისადმი პრესვიტერის კომპლექსშიც სათანადოდ აისახა. პრესვიტერ იოანეს ეს სურვილი ძალიან მალე, სულ რამდენიმე წლის შემდეგ შესრულდა, როდესაც მეფე თამარმა ქრისტეს საფლავის ტაძარში ქართველი ბერების, ანუ აღდგომელების დამკვიდრება შეძლო.

იერუსალიმის ძლიერი მხარდაჭერა ქართველთა ჯვაროსნული სულისკვეთების მეფეებისაგან, რის შესახებაც თავად იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი წერს, რეალობის მხოლოდ ერთი მხარეა. სინამდვილეში, ეს დახმარება უფრო კომპლექსური იყო და უმნიშვნელოვანეს სტაბილურ ეკონომიკურ მხარდაჭერასაც გულისხმობდა. უაღრესად საგულისხმო დოკუმენტი, იერუსალიმის საპატრიარქოს ქონების ნუსხა (რომელიც 1890 წელს განეკუთვნება, მაგრამ მეტწილად იმ ქონებაზეა საუბარი, რასაც ის შუა საუკუნეებში ფლობდა) იუწყება, რომ საქართველოში იერუსალიმს ჰქონდა 2200 რეალად (3000-მდე პიასტრი) შეფასებული ქონება, რაც ეპოქისთვის უდიდესი თანხაა და შეადგენს ორჯერ მეტს იმ ქონებაზე, რომელიც იერუსალიმის საპატრიარქოს მთელ საბერძნეთში ჰქონდა და თითქმის იმდენივეა, რამდენსაც ის მთლიანად რუსეთის იმპერიაში ფლობდა!¹⁰¹ ეს კი იმ მხარდაჭერის მასშტაბზე მეტყველებს, რომლითაც

¹⁰⁰ Prester John, Encyclopedia Britannica, <<https://www.britannica.com/topic/Prester-John-legendary-ruler>>

¹⁰¹ Hawaweeny R., An Historical Glance at the Brotherhood of the Holy Sepulcher, Translated by M. Najim, Oakwood Publication, 1996, 250.

იერუსალიმი ქართველთა ძლიერი სამეფოსგან სარგებლობდა. ამ შთამბეჭდავი მონაცემის შუქზე უფრო გასაგებად ჟღერს ჰაიტონის ცნობაც, რომ ქართველები ყველა ერზე მეტად ერთგულობენ წმინდა მიწის სინმინდეებს.

თომას კანტიმპრელის ცნობა გარემომცველი სინამდვილის მთლიანობაში უნდა განვიხილოთ. ზღაპრული თავგადასავლების მაძიებელ ჯვაროსნებამდე უწყვეტად მიდიოდა ხმები მიდიისა და არმენიის გადაღმა მდებარე ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოსა და მის ბრწყინვალე გამარჯვებებზე. ევროპელი რაინდები იმედოვნებდნენ, რომ ეს ძლიერი მეფეები იერუსალიმშიც გამოილაშქრებდნენ სარკინოზთა წინააღმდეგ. ამ ქრისტიან მეფეთა გაღერებაში ჯვაროსანთა მზერას არ შეიძლებოდა გამორჩენოდა ისეთი ბრწყინვალე ფიგურა, როგორც თამარი იყო.

ზღაპრული ისტორიული სინამდვილე, უძლიერესი ქრისტიანი დედოფლის, თამარის მდიდარი სახელმწიფო ჯვაროსნულ წრეებში აღიქმებოდა ეპოქისთვის კანონზომიერად – ტრადიციული პრიმიტიული გეოგრაფიული წარმოდგენებისა და ნაცნობი მითოლოგიური სიმბოლოების მეშვეობით. ეს ნიშნავდა თამარის ამორძალთა დედოფალთან გაიგივებას, რადგანაც კავკასია ძველთაგანვე მიიჩნეოდა ამორძალთა მიწად. ამიტომაც ჯვაროსნულ წრეებში ჩნდება პრესვიტერ იოანეს ლეგენდის ორგანული გაგრძელება, ძლიერი ამორძალი ქრისტიანი დედოფლის შესახებ, რომელიც, ერთი მხრივ, პრესვიტერ იოანეს მსგავსად, აპირებს სახსრად და ნუგეშად მოველინოს წმინდა ქალაქის შეჭირვებულ მართლმორწმუნეებს და უფლის ცხოვრების მომცემელ საფლავს. მე-

ორე მხრივ კი, აგრძელებს პრესვიტერის მისიას – იცავს კავკასიის კარიბჭეს და მაშასადამე, ქრისტიანულ სამყაროს.

თამარის სწრაფვა, გამხდარიყო წმინდა მიწის ახალი მფარველი, ამგვარი ლეგენდების ფორმირებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა. ჟილბერ დე ბუასა და ფრა თომასის ცნობებში, თამარს დაახლოებით ის ადგილი აქვს მიკუთვნებული, რაც გრაფინია სიბილა ანჟუელს და გოდფრუა ბულონელს, რომელიც ქრისტეს საფლაველის ტიტულს ატარებდა, რის გამოც იგი სწორედ ქრისტეს საფლავის მახლობლად დაიკრძალა. ჩანს, სწორედ ამგვარ ვითარებას გულისხმობენ წყაროები მაშინაც, როცა იერუსალიმის ახალი ძლევამოსილი მფარველის – თამარის უფლის საფლაველობისა და უფლის საფლავთან დაკრძალვის შესაძლებლობაზე საუბრობენ. თუკი გავითვალისწინებთ ამ ხანებში იერუსალიმთან დაკავშირებულ ქართველთა ამბიციებს, მაშინ თამარის, როგორც „ყოველთა ქრისტიანეთა მპყრობელის“ (კოპასძეთა მოსახსენებელი) და „უფლის საფლაველის“ (ფრა თომასი), ქრისტიანთა დედაქალაქში დაკრძალვის შესაძლებლობა, რაზეც ამ ხანის წყაროები ლაპარაკობენ, ახლებურად და უფრო გასაგებად ამეტყველდება.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ქრისტეს საფლავის მცველს, გოდფრუას, მინიჭებული ჰქონდა ამ სინმინდის სიმბოლოს – ხუთჯვრიანი დროშის ტარების უფლება. ამიტომ გოდფრუა სამოსზე ხუთჯვრიანი დროშით გამოისახებოდა ხოლმე. წყაროებში ვხედავთ ერთიანი ქართული ფეოდალური, ჯვაროსნული მონარქიის საკმაოდ წარმატებულ მცდელობებს წმინდა მიწაზე გაბატონებული ადგილის მოსაპოვებლად. იმ ადგი-

ლის, რომელიც ადრე გოდფრუასა და სხვა ჯვაროსან მეფე-მთავრებს ეჭირათ. ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ XIII-XIV საუკუნეების ქრონიკები და საზღვაო პორტულანები, საქართველოს დროშად სწორედ იერუსალიმურ, ხუთჯვრიან დროშას წარმოგვიდგენენ. აღნიშნულ მისწრაფებათა პირობებში, ეს კანონზომიერი მოვლენა ჩანს. ყოველივე ამასთან კავშირში, ინტერესმოკლებული არაა, რომ ბაგრატიონები თავს დავით წინასწარმეტყველისა და მეფის შთამომავლებად აცხადებდნენ, რაც დამატებით საფუძველსა თუ ლეგიტიმაციას სძენდა ქართული მონარქიის ამბიციებს, ყოფილიყო პირველი იერუსალიმში – „დავითის ქალაქში“, როგორც წინაპართა მამულში.

თამარის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი პრობლემაა გაშუქებული, მაგრამ იერუსალიმისადმი გატარებული მისი პოლიტიკა საფუძვლიანად შესწავლილი არაა, ეს მაშინ, როდესაც მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი ხაზი სწორედ წმინდა მიწისკენაა მიმართული.

თამარი და შუა საუკუნეების ევროპული რაინდულ-ჯვაროსნული იდეალები

თამარის სახემ მოიცვა შუა საუკუნეების თითქმის მთელი ქრისტიანული სამყარო. ლეგენდები თამარის შესახებ დიდ იდეოლოგიურ როლს ასრულებდა რუსული სამყაროს ფორმირებაშიც XV-XVI საუკუნეებში. თამარი დინარი, როგორც ძლევამოსილი ქრისტიანი თვითმპყრობელი, ამ ხანის რუსეთის პოლიტიკური იდეალი იყო. ინერებოდა მისი ხატები, მისი ცხოვრების ამსახველი ფრესკებით იმკობოდა დარბაზები (მათ შორის კრემლში), გულგატეხილ რუს მხედრებსაც კი ივანე მრისხანე სწორედ ქართველთა დედოფლის მაგალითით აგულიანებდა,¹⁰² მაგრამ ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ დინარ დედოფალი, არსებითად, იგივე მებრძოლი ამორძალი დედოფალია. წყაროები აღწერენ, რომ ქართველთა დედოფალი დინარა უშიშრად იბრძოდა და უშუალოდ მიუძღვებოდა ლაშქარს.

თამარის ნათელმა სახემ შეაღწია XIII საუკუნის გერმანიაშიც. ვოლფრამ ფონ ეშენბახის სახელგანთქმულ ნაწარმოებში „პარციფალი“ ლაპარაკია კავკასიაზე, აქაურ „ოქროს მთებზე“, ძვირფასი აბრეშუმის, ოქროქსოვილებისა და კავკასიის მფლობელი უმდიდრესი დედოფლის შესახებ.

ცხადია, 1200-იან წლებში ასეთი რეგიონში მხოლოდ თამარი იყო, რასაც სამართლიანად შენიშნავს ალექსანდრე თვარაძე.¹⁰³

¹⁰² სამუშია ჯ., თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება, თბილისი, 2010, 37.

¹⁰³ თვარაძე ალ., აღმოსავლეთის სურათი შუა საუკუნეთა გერმანულ რომანში: ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი“, „ცივილიზაციური ძიება“, ტ. 6, თბილისი, 2008, 6.

ჩემი მხრივ, აღნიშნულს შემიძლია დავამატო, რომ XII-XIII საუკუნეების ფრანგული პოეზიის ნიმუშებზე მუშაობისას, წავაწყდი ერთ გასაოცარ გამოთქმას – „საქართველოს მეფესავით მდიდარი“, რაც, ვფიქრობ, ისევ და ისევ თამარის „ოქროს ხანის“ ანარეკლია.

„საქართველოს მეფესავით მდიდარი“ აქ იმავე მნიშვნელობის თქმაა, როგორც „კრეზესავით მდიდარი“. ტიერი სუასონელი თავის სატრფიალო ლექსში წერს:

„ძვირფასო დედოფალო, როცა მიყურებ,

თავს ოქრო-ვერცხლის მქონეზე მდიდრად ვგრძნობ.

რად მინდა ოქრო, თუ შენ ვერ დავინახავ,

უშენოდ მე ხომ არაფერი არ მაბადია.

შენი ერთი შემოხედვაც კი

საქართველოს (Avegnie) მეფეზე მეტად მამდიდრებს“.¹⁰⁴

თამარის, როგორც ამორძალი დედოფლის შესახებ არსებობს ევროპულ გადმოცემათა კიდევ ერთი ჯგუფი – კავკასიის იბერიის სათნო, მებრძოლ და გამარჯვებულ დედოფალ ზაჰარაზე, რომლის ისტორიული პროტოტიპიც აგრეთვე საქართველოს დედოფალი თამარია. ზემოთ ჩვენ მოვიხმეთ რამდენიმე დასავლური წყარო, რომელიც პირდაპირ აიგივებს მებრძოლ ქალთა – ამორძალთა ქვეყანასა და საქართველოს. ზაჰარასა და თამარის იგივეობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მეტი სარწმუნოებისათვის მასზე ცნობებს წავუძღვაროთ კიდევ ერთი დასავლელი ავტორის ცნობა მებრძოლ ქალთა ქვეყნის გეოგრაფიაზე, რათა კიდევ უფრო მკაფიოდ დავინახოთ ამ ლეგენდარული შეხედულების ისტორიული საფუძვლები. რანულფ ჰიგდენის ცნობილი პოლიქრონიკონის მაპემუნდში ვკითხულობთ,

¹⁰⁴ De Laborde J.B., *Essai sur la musique ancienne et moderne*, Paris, 1780, 221.

რომ ამორძალთა ქვეყანა მოიცავს სწორედ იბერიას.¹⁰⁵

თუმცა საკუთრივ ზაჰარას შესახებ ლეგენდებსა და ნაწარმოებებშიც აღნიშნულია, რომ იგი იბერიის ან კავკასიის დიდებული დედოფალია. მაგალითად, „რაინდ ამადისის რომანში“ მოცემულია ზაჰარა-თამარის ასეთი წერილი: „ზაჰარა, დედოფალი კავკასიის მთისა, ქალბატონი მთელი იბერიისა, გამარჯვებული და დამმორჩილებელი სარმატიის დიდი პროვინციისა“.¹⁰⁶ ამ ტიტულში ყველაფერი ნათელია. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ თამარი კავკასიის მფლობელ ძღვევამოსილ დედოფლად იყო წარმოდგენილი, რომელმაც, ქართულ წყაროთა მიხედვით, იპყრნა სწორედ სკვითნი და სარმატნი. მანდევილის მიხედვით კი, მას ეს ტომები ხარკს უხდიდნენ. ჩანს, შემთხვევითი არაა, რომ წყაროები საგანგებოდ აღნიშნავენ ძღვევამოსილი ამორძალი დედოფლისგან კავკასიის მთიელთა დამორჩილების ფაქტს („დამმორჩილებელი სარმატიისა“), გარდა იმ ზოგადი ფაქტისა, რომ თამარი მართლაც აკონტროლებდა მთელ ჩრდილოეთ კავკასიას. აქ შეიძლება არეკლილი იყოს მისგან კავკასიის მთიელთა დიდი აჯანყების ჩახშობისა და მათი დამორჩილების ფაქტიც.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ისაა, რომ იბერიისა და კავკასიის „სათნო და ძლიერ აღმატებული დედოფალი ზაჰარა“ შუა საუკუნეების ევროპულ რაინდულ რომანებში მიჩნეულია რაინდობის პრინციპების შემქმნელი ლეგენდარული ქალბატონის – ალასტრაჯარეს

¹⁰⁵ De Barros M.F., Essai sur l'histoire de la cosmographie et de la cartographie pendant le Moyen Age, et sur les progrès de la géographie après les grandes découvertes du XVe siècle, pour servir d'introduction et d'explication à l'Atlas composé de mappemondes et de portulans, et d'autres monuments géographiques, depuis le VI siècle de notre ère jusqu'au XVIIe, Volume 3, Paris, 1852, 29.

¹⁰⁶ Delvau A., Collection des romans de chevalerie, Paris, 1869, 128.

დედად. ეს უკანასკნელი სწორედ ზაჰარა იბერიელისა და რაინდ ამადისის ასულად მიიჩნეოდა.¹⁰⁷ ეს უაღრესად მრავლისმეტყველი გარემოება შემთხვევითი სულაც არ არის, ვინაიდან დასავლურ წყაროებში თამარი რაინდული სულისკვეთების დედოფლადაა წარმოდგენილი. ფრა თომასი, როგორც ეს უკვე ვნახეთ, იმასაც კი წერს, რომ იგი ქრისტიანობის მამაცი მცველი, ტამპლიერი და უფლის საფლავის გუშაგი იყო, შესაბამისად, გასაგებია, რომ ევროპული რაინდული რომანები თამარსა და მის ქალიშვილს რაინდული მოძრაობის სათავედ მიიჩნევენ. თამარა/ზაჰარას ქალიშვილში, რომელიც რაინდული იდეალის პერსონიფიცირებას წარმოადგენდა, ცხადია, რუსუდანი უნდა იგულისხმებოდეს. ერთი შეხედვით რთული წარმოსადგენია, თუ რა მიმართება უნდა ჰქონდეს რუსუდანს ევროპულ რაინდულ იდეალებთან, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენს მწირ წყაროთმცოდნეობით ბაზაზე გაჩენილი წარმოდგენებია. პასტორეტის მარკიზი ამაღე დავიდი, ძველ წყაროებზე დაყრდნობით, წერს:

„ამ საშინელ დროს ქალმა, ახალგაზრდამ, მომხიბვლელმა და მთელ აღმოსავლეთში სილამაზით განთქმულმა, საქართველოს დედოფალმა რასუდანმა იპოვა თავის გულში სიმამაცე მტრისთვის წინააღმდეგობის განწევისა, შეკრიბა ლაშქარი, გაამაგრა ციხეები და პაპს და ქრისტიან მთავრებს შეევედრა შენვენას... შეურაცხყოფას, რომელიც მტერთაგან ელოდა, მან არჩია სანამლავით სიცოცხლის მოსწრაფება. მისი ხმა, რომელიც ვერ გადმოსწვდა ზღვებს, მისი ლოცვები, ღირსი ზეცამდე აღწევნისა... თუმცა მისმა ამბავმა მიიპყრო ევროპულ მთავართა ყურადღება, ბელამ,

¹⁰⁷ Dubochet J., *L'ingénieux hidalgo Don Quichotte de la Manche* par Miguel de Cervantés Saavedra, Volume 2, Paris, 1837, 346.

უნგრეთის მეფემ და ვენკესლას ბოჰემიელმა, მისი სატან-
ჯველით შეძრულმა, გადაწყვიტეს ძალების შეერთება მისი
შენევისათვის. ლუი IX-საც ესმა მის შესახებ“.¹⁰⁸

ამ წარმოუდგენელ ცნობაში ზოგი რამ არასწორი ან
საეჭვოა. რაც შეეხება რუსუდან დედოფლის მიერ სიცოც-
ხლის თვითმკვლელობით დასრულებას, ასეთი წარმოდგე-
ნების გაჩენას ევროპაში, ალბათ, ხელს უწყობდა ის გარე-
მოება, რომ რუსუდანი სიკვდილის წინ მართლაც საშინელ
უმწეობასა და შფოთვაში იყო.

მთავარი, ვფიქრობ, აქ არის აღქმები, თუ როგორ
აღიქვეს რაინდულ ევროპაში საქართველოს ქალი მე-
ფის მონოდება საშველად, როგორც ამას წარმოდგენილ
სურათში ვხედავთ. ამის სურვილი ევროპაში დიდი იყო,
მაგრამ ჯვაროსანთა კატასტროფები აღმოსავლეთში
შეუძლებელს ხდიდა ამგვარი გეგმის განხორციელებას.
საფრანგეთის მეფე ლუი, ბოჰემიის მთავარი ვენკესლა-
სი და უნგრეთის მეფე ბელა შეიძრნენ რუსუდანის გასა-
ჭირით, ისე რომ, ეს უკანასკნელი მის დასახმარებლად
გამოლაშქრებასაც კი აპირებდნენ. მიუხედავად იმისა,
რომ ამ ცნობის შემთხვევაში უშუალო პირველწყაროს-
თან არ გვაქვს საქმე, შეიძლება ითქვას, რომ მისი ჩვენე-
ბა კარგად გასაგებია და სხვა მასალებით გამაგრებული.
საქმე ისაა, რომ რუსუდანის ხატი, როგორც მშვენიერი,
მამაცი, სათნო და კეთილმორწმუნე, ამასთან, თავგანწი-
რული დედოფლისა, დასავლეთ ევროპაში მიჩნეული იყო
როგორც წმინდა რაინდული იდეალი. ამიტომ რაინდული
ევროპის ამგვარი გამომხაურება რუსუდანის მონოდება-
ზე კანონზომიერია. ჟოზეფ ეპიფან დარასი იმასაც წერს,
რომ მამაცი დედოფალი რუსუტი (რუსუდანი) თითქმის

¹⁰⁸ Amédée David marquis de Pastoret, Les Croisades, Paris, 1856, 116.

ოცი წელიწადი მონღოლებისთვის გადაულახავი ბარიერი იყო ევროპისაკენ.¹⁰⁹

რაინდული ევროპა, უფრო ადრე დიდ ინტერესს გამოხატავდა თამარის, როგორც რაინდული იდეალების პერსონიფიცირებისადმი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იმ უფლისწულთა შორის, რომლებიც თამარს ხელს სთხოვდნენ, იყო ჰრომთა მეფის შვილი, ანუ საღვთო რომის იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსას ვაჟიც. ქართული წყაროს ეს ცნობა რომ სწორია, იქიდანაც ჩანს, რომ მოცემულ პერიოდში ფრიდრიხ ბარბაროსას მართლაც ჰყავდა საქორწინო ასაკის ვაჟი, რომელსაც აგრეთვე ფრიდრიხი ერქვა. როგორც ეს ჯვრაცვ. ჟორდანიამ და შ. ბადრიძემ აჩვენეს.¹¹⁰ ფრიდრიხი ურიგო სასიძო ნამდვილად არ ყოფილა, ამიტომ ქართველი დიდებულები დიდის ამბით აღნიშნავდნენ, რომ თამარის ქმროსნობის მონადინეთა შორის ეს მოყმეც იყო. ფრიდრიხი მართლაც რაინდული ბუნების მოყმე იყო, რომელმაც შემდეგ გერმანელი რაინდებისთვის საგანგებო წესდებაც კი შეადგინა. თამარის ხელის თხოვნისას იგი 17-18 წლის, უკვე რაინდად ნაკურთხი, მოხდენილი ყმაწვილი გახლდათ.

ფრიდრიხ ბარბაროსას ვაჟი, რაინდი ფრიდრიხ შტაუფენი, ანუ „მოყმე ვრიდრიშ“,¹¹¹ ძე ჰრომთა მეფისა“ მეფე თამარის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული საქმრო იყო, მაგრამ თამარმა არ ინება ევროპის ერთ-ერთ პირველ რაინდთან

¹⁰⁹ Histoire générale de l'Église depuis la Création jusqu'à nos jours (jusqu'au xii siècle par J.-E. Darras, jusqu'au pontificat de Clement vii par J. Bareille, terminée par J. Fèvre), 1882, გვ. 80-90.

¹¹⁰ იხ., ბადრიძე შ., საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბილისი, 1984, 150.

¹¹¹ ამ სახელის ძველი ქართული გამოთქმა, რომელიც ჯვრის მონასტრის ალაპებში გვხვდება.

ქორწინება. ვფიქრობ, ამის მიზეზი არც ისე რთული გასაგებია. სრულიად კავკასიის იმპერატრიცას, ფრთხილ თამარს არ სურდა ცხრა მთას იქიდან მოსულ მზექაბუკებთან ქორწინება, რადგან საკუთარ ქორწინებას იგი შორსმჭვრეტელი ხელისუფლის მზერით უყურებდა. ფრთხილობდა და მის მდგომარეობაში იქნებ არცთუ უსაფუძვლოდ, როდესაც კათალიკოსსა და დიდებულებს აფრთხილებდა, რომ შორიდან ჩამოსული უცნობი საქმრო შესაძლოა ყველა იმ უნარის მფლობელი არ ყოფილიყო, რაც მის თანამპყრობტორს მოეთხოვებოდა. სწორედ ამ მოსაზრებით არ სურდა მას ქორწინება გიორგი რუსთან. ჩანს, სწორედ ამ მოტივით არ ისურვა ქორწინება კიდევ უფრო შორეული სამეფოს უფლისწულთან, ფრიდრიხ შტაუფენთან. დაბოლოს, მან სწორედ ამ მოსაზრებით ისურვა ქორწინება დავით სოსლანთან, რომელიც ბაგრატიონთა კარზე იყო აღზრდილი და ამავე დროს, საკუთარი სიქველევით ყველასათვის კარგად ცნობილი.

როგორც ერთი ლათინური ქრონიკიდან ვიგებთ, XIII საუკუნის საქართველოში დასავლეთ ევროპა სამყაროს დასალიერად მიაჩნდათ. ლაშა-გიორგი თავის დიდებულებს მიმართავდა, რომ ჯვაროსნები სამყაროს კიდიდან მოდიოდნენ. სამყაროს კიდედ ჰქონდა წარმოდგენილი დასავლეთ ევროპა, „ლადირთა მხარე“ თავად თამარსაც, როგორც ამას მისი იამბიკოებიდან ვიგებთ. ამიტომ მას არ შეეძლო ქვეყნიერების ბოლოში მცხოვრებ უფლისწულთან ქორწინებაზე სერიოზულად ფიქრი, მიუხედავად იმისა, რომ ფრიდრიხ შტაუფენი ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული საქმრო იყო.

სიმბოლური და ნიშნეულია, რომ ფრიდრიხ შტაუფენი ევროპული რაინდული იდეალების იდეოლოგი, ტივტონ-

თა წესდების ავტორი და თავადაც დიდი რაინდია. თამარი კი, ვის ხელსაც იგი ეძებდა, აგრეთვე რაინდული იდეალების პერსონიფიცირებად და ტამპლიერად მიიჩნეოდა. შეიძლება ითქვას, რომ ფრიდრიხის, როგორც რაინდობის თეორეტიკოსის ლტოლვა რაინდული იდეალებისაკენ, კანონზომიერად გამოიხატა მის სწრაფვაში ძლევამოსილი, მშვენიერი და სათნო თამარისადმი, რომელიც ევროპაში სწორედ რაინდული იდეალების პერსონიფიცირებად იყო წარმოდგენილი.

ნაშრომის სხვა ადგილებში ბევრს ვსაუბრობთ იმის შესახებაც, რომ ქართველებს მუსლიმი მეზობლები და თავად ჯვაროსნებიც ჯვაროსნული, რაინდული იდეალების ხალხად მიიჩნევდნენ. ყოველივე ამის შემდეგ ფრიდრიხის პროექტს, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, კიდევ უფრო დიდ სურათში ვხედავთ. მისი განხორციელების შემთხვევაში ევროპული და ქართული რაინდული იდეალების შერწყმა მოხდებოდა.

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ეს ქორწინება ისტორიულ სინამდვილეში ვერ შედგა, მაგრამ შუა საუკუნეების ევროპული საგმირო სიმღერების ზღაპრულ სამყაროში ევროპული რაინდობის ერთ-ერთი მამის – ფრიდრიხის ამ განუხორციელებელმა წადილმა ხორცი შეისხა. ვფიქრობ, სწორედ ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ევროპული საგმირო ნაწარმოებების გარკვეული ნაწილი მღერის ევროპელი რაინდის ქორწინებაზე კავკასიის ძლევამოსილ, სათნო და მშვენიერ დედოფალთან ანუ დიად თამართან. ამ ყოველივეს გათვალისწინების შემდეგ, ვფიქრობ, არაა რთული გასაგები, თუ რატომ მიიჩნევენ ევროპული რაინდული რომანები რაინდული კულტურის ფუძემდებლებად ტამპლიერ თამარს და მის ასულს – რუ-

სუდანს. რას შეიძლება ნიშნავდეს ყოველივე ეს, თუ არა იმას, რომ ცამდე მართალია თამარის მემამათიანე: ევროპელები, ანუ „ფრანგნი თამარის ქებათა მელექსობდიან“.

ყველაფერი თქმული, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ დასავლეთევროპული რაინდობის სათავეები მართლაც თამარსა და რუსუდანს უკავშირდება. ასეთი დასკვნა არასერიოზული იქნებოდა, მაგრამ განხილული მრავალრიცხოვანი წყაროები, რომლებიც არსებულთა მხოლოდ უმცირესი ნაწილია, გვაძლევენ საფუძველს, დავასკვნათ, რომ შუა საუკუნეების ევროპული რაინდული იდეალების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი ქართველთა სამეფოსა და მის მეფეებს, განსაკუთრებით კი თამარსა და რუსუდანს მიუძღვით.

კიდევ უფრო დამაფიქრებელია, რომ თამარი არა მხოლოდ ევროპაში მიიჩნეოდა რაინდული იდეალების შთამაგონებლად, არამედ, უპირველესად, საკუთრივ საქართველოში. შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული რაინდული სამყაროს შთაგონება სწორედ თამარია. თამარი/თინათინი, როგორც ერთგვარი რაინდული პროგრამის ხელმძღვანელი, ავთანდილს გზავნის დიად, რაინდულ სათავგადასავლო გზაზე.

ისევე როგორც დასავლეთში, საქართველოშიც თამარი მსოფლიო ქრისტიანობის მცველ, მამაც და მებრძოლ დედოფლად მიიჩნეოდა. ქართული ლაშქრისადმი მისი მიმართვები განმსჭვალული იყო ტიპური ქრისტიანული რაინდული იდეალებით. „ლალი და უკადრი თამარის“ ინიციატივით ეწყობოდა მოყმეთა ასპარეზობებიც, რაც ასე ძალიან ჰგავს შუა საუკუნეების ევროპულ რაინდულ ტურნირებს.

თამარი, როგორც რაინდი დედოფალი, თავადვე ანიჭებ-

და რაინდობას – მოყმეობას, ყმობას. ჩანს, ეს გარკვეულ ცერემონიალსაც გულისხმობდა, მაგალითად, მან „ითაყუანა ივანე დარბაზის ყმად“.

მეფის მემკვიდრეები ქართველ რაინდებს სწორედ უმშვენიერესი დედოფლის ირგვლივ შემოკრებილებად წარმოგვიდგენენ. „ბუმბერაზნი და მოყმენი თამარისანი“ – „ლაშქრობენ მოყმენი“, „იმერნი და ამერნი მოყმენი“ იბრძოდნენ ისე, „რომელი კმა იყო ძუელთაცა და გოლიათთა და ჭაბუკთა ომად“, „ძლევა ბუმბერაზთა და მოყმეთა თამარისათა“, „ნახნა მოყმენი მისნი პირითა ბრწყინვალითა“, „მოყმენი თამარისნი“, „დიდებულნი ბუმბერაზნი და მოყმენი“... ეს რაინდული მასაა, რომელიც ძლევა მოსილად ლაშქრობს და იმარჯვებს მრავალრიცხოვან ომებსა და ბრძოლებში. XII საუკუნე ხომ ქართული რაინდობის აყვავების ზენიტი იყო.¹¹²

განსაცვიფრებელია, რომ შუა საუკუნეების არაბული ეპიკური პოემა „ალ ჰიმამაც“ თამარის რაინდთა ზედმინვნით იმავე აღწერას იძლევა. აქ ნათქვამია, რომ მისი ქვეშევრდომი რაინდები იყვნენ „მძლავრი და მამაცი, რჩეული ჭაბუკები და მებრძოლები... კარგად მომზადებულები საბრძოლველად ცხენითაც და ფეხითაც, მამაცნი ომებში და ასპარეზობებზე“.¹¹³

როგორც ქართული, ისე არაქართული წყაროების მიხედვით, XII საუკუნის ქართველი მოყმეთა, რაინდებისა და მგოსანთა თავყრილობის ცენტრი, მეფეთმეფე თამარის კარია. რაინდთა წარმოდგენა თამარის გარშემო (ასე დაჟინე-

¹¹² გ. აკოფაშვილი. „რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში“, 1992, 102.

¹¹³ ბ. ჭიჭინაძე. „ვეროპული წყაროები პრესვიტერ იოანეს და სხვა ქართული მონარქების შესახებ ახალი მასალების მიხედვით, 2022, 86.

ბით) შემთხვევითი როდია. რაინდობის გული ხომ სწორედ ქალია! „თუ ქალი არ არის, რაინდი საიდანღა მოვა?“ (აკა მორჩილაძე). ამდენად, ქართული რაინდული მოძრაობის ინსპირაცია და წესდება სწორედ თამარქალია. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ქართული რაინდული ტრადიციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა გიორგი მესამეა. მისი ცხოვრებისეული იდეალები – თავდადება ღვთისათვის, სახელისა და მიწურისათვის წმინდად რაინდული სულისკვეთებისაა. ჩანს, კანონზომიერია, რომ სწორედ ამგვარი რაინდული ბუნების მეფემ გადაწყვიტა ქალის გამეფება. საერთოდ, რაინდული კულტურისთვის მეტად ნიშნეული იყო ქალის კულტი, გიორგი III-ის „რაინდულ სჯულდებაში“, როგორც ამას ვნახავთ, ამ კულტზე საგანგებოდაა საუბარი. გამორჩეული რაინდი გიორგი III რომ ქალის კულტის აღმსარებელი მხოლოდ თეორიულად არ ყოფილა, კარგად გამოჩნდა მისი გაბედული გადაწყვეტილებიდან, გაემეფებინა ქალი. მან მეფედ საკუთარი ასული, თამარი დასვა. თავადაც რაინდული ბუნების თამარი მალე მთელ ქრისტიანულ სამყაროში რაინდული იდეალების დედოფლად იქნა მიჩნეული, როგორც ამას თომას კანტიმპრესის უნიკალური ცნობებიდან ვხედავთ, რის გამოც ევროპის ერთ-ერთი პირველი რაინდი და რაინდული იდეალების თეორეტიკოსი – ფრიდრიხ შტაუფენი, თამარის, როგორც რაინდული იდეალების გამოსხატულების ცოლად შერთვას ცდილობდა. როგორც უკვე ვთქვით, გიორგი III-ისგან თამარის გამეფება რამდენადმე კანონზომიერია, რადგანაც გიორგი რაინდული ბუნებისა და ქალის კულტის თეორეტიკოსი გვირგვინოსანი იყო. ვფიქრობ, ამდენადვე კანონზომიერი იყო თამარის ხელის თხოვნა ფრიდრიხ შტაუფენისგანაც, რომელიც აგრეთვე რაინდული მოძრაობის ცნობილი თეორეტიკოსი გახლდათ

(ტევტონ რაინდთა წესდების ავტორი), თამარი კი, თავის მხრივ, სწორედ რაინდული იდეალების გამოსახატულებად იყო წარმოდგენილი.

უფრო ფართო სურათის დასანახად შეიძლება გავიხსენოთ ისიც, რომ ევროპული რაინდული კულტურის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პრესვიტერ იოანესაც, ვისთანაც, ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, ევროპელი რაინდებიც მსახურობდნენ (შესაძლოა აქ დავითის ლაშქარში ჯვაროსანთა კონტინგენტის ანარეკლი გვექონდეს). დასავლეთევროპელ მეზრდოლთა სამსახური ქართველთა მეფის კარზე თითქოს მოგვიანებითაც უნდა გაგრძელებულიყო. „ინგვარ საგას“ თანახმად, თამარის სამსახურში ვარანგთა მრავალრიცხოვანი შენაერთებიც იყვნენ. ეს შეიძლება უშუალო შეხების წერტილი იყოს ევროპულ რაინდულ კულტურასა და მის იდეალ თამარს შორის, მაგრამ მაშინაც კი, თუ ეს სავსებით რეალური ისტორიული შესაძლებლობა მხოლოდ მხატვრულ-წარმოსახვითია. აღნიშნული მონაცემი ამ თვალსაზრისით კვლავაც ინფორმაციული დარჩება, როგორც მონშობა დასავლეთევროპული რაინდული ტრადიციის სწრაფვისა თამარის, ანუ საკუთრივ რაინდული იდეალის სამსახურისთვის.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, თამარი სრულიად რაინდული სამყაროს იდეალია. ის ქართველ და ევროპელ მოყმეთა შთაგონება და სჯულმდებელია, ამიტომ მასზე არა მხოლოდ ქართველთა, არამედ „ფრანგთა“, ანუ დასავლეთევროპელთა სიმღერებიც მღერიან, როგორც ამას სავსებით სამართლიანად შენიშნავს მისი მემკვიდრე.

თამარ მეფის შესახებ გადმოცემები გავრცელდა უზარმაზარ ტერიტორიაზე და ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ქრისტიანულ სამყაროში, ერთი მხრივ, ამორძალთა

მებრძოლი დედოფლის, მეორე მხრივ კი, მებრძოლი დინარ დედოფლის შესახებ არსებული გადმოცემების სახით, რაც გვახსენებს „ქართლის ცხოვრების“ ერთი შეხედვით გაზვიადებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც ხმა თამარის დიდების შესახებ მთელ მსოფლიომდე აღწევდა.

პრესვიტერიოანესა და დინარ დედოფლის ჯვაროსნული სახელმწიფო – შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს პოლიტიკური იდეალი

შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის ცივილიზაციათმორისი და აპოკალიფსური ბჭეების ჩამკეტი, დიდი ქრისტიანული სახელმწიფო – საქართველო, პრესვიტერის ლეგენდის სახით იქცა სარკინოზთა წინააღმდეგ ქრისტიანული სამყაროს ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ. საყურადღებოა, რომ მოგვიანებით, ივანე მრისხანის ხანის რუსეთში, თამარ-დინარ დედოფლის ისეთივე კულტი თუ პოლიტიკური იდეალი არსებობდა, როგორც ევროპაში პრესვიტერიოანესთან დაკავშირებით. დასასრულ, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ბულგარული თხზულების, „რაზუმნიკის“¹¹⁴ თანახმად, მსოფლიოში სულ არსებობს სამი იდეალური ქრისტიანული იმპერია, რომელთაგანაც ერთი საქართველოა, შეგვეძლება ვთქვათ, რომ „ოქროს ხანის“ საქართველოს სამეფო თითქმის მთელ ქრისტიანულ სამყაროში პოლიტიკურ იდეალად იხატებოდა. ეს ძლიერი ქრისტიანული

¹¹⁴ ევროპული წყაროები პრესვიტერ იოანეს და სხვა ქართველი მონარქების შესახებ, ბექა ჭიჭინაძე, 2022.

სახელმწიფო მიიჩნეოდა სრულიად საქრისტიანოს კუნძულად ისლამურ გარემოცვაში. დასავლეთში მეტად პოპულარული ავტორის – ჰაიტონის მიხედვით (განსახილველი ჩვენება საქართველოზე მისი ცნობების ქართულ თარგმანში სამწუხაროდ გამოტოვებულია): „სარკინოზები განაგებდნენ მთელ მცირე აზიას, გარდა აფხაზეთისა საქართველოში და ერთი მხარისა სომხეთში. ეს ორი ქვეყანა მათ უპირისპირდებოდა. სარკინოზები არასოდეს ფლობდნენ მათ. ისინი (ქართველები და სომხები) თავშესაფარს აძლევდნენ ქრისტიანებს, რომელთაც ეშინოდათ თავისი მტრების“.¹¹⁵

საკუთრივ ქართველთა სამეფოშიც, საკვლევ ხანაში მიაჩნდათ, რომ საქართველო იდეალური ქრისტიანული სახელმწიფო იყო. ოფიციალური იდეოლოგიის თანახმად, ქართველთა მეფის ტახტი ბიბლიური დავითის საყდარი იყო, რომელზეც მისი ჩამომავალი ქართველი მეფეები ისხდნენ.

საუფლო აღთქმის მიხედვით, დავითის სახლის მეფობა მარადიული უნდა ყოფილიყო, მაგრამ იუდეის სამეფო და შესაბამისად, დავითის ტახტიც, დაეცა. თეოლოგიური მანიპულაციების თანახმად, დავითის მოდგმის საუკუნო მეფობის შესახებ წინასწარმეტყველებაში ქრისტეს ზეციური მეფეობა იყო მოსწავებული, თუმცა ფაქტად რჩებოდა, რომ მინიერი მეფობა დავითის სახლში აღიხოცა და თითქოს უცვალელებელი ღვთიური აღთქმაც გაცუდდა, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდნენ საქართველოში. აქაურთა აზრით, დავითის საყდარი კვლავაც მტკიცედ იდგა – ქართველთა მეფის გვირგვინქვეშ გაერთიანებულ შვიდ სამეფოში, რომელიც სამყაროს კიდესთან (კავკასია), ორ ზღვას შუა მდებარეობდა. ხსენებული იდეოლოგიის მიხედვით, დავითიან ბაგრატიონთა მეფობა სხვა არაფერი

¹¹⁵ Christiane D., *Croisades et Pèlerages*, Paris, 1997, 821.

იყო, თუ არა ფსალმუნთა შემდეგი უძველესი წინასწარმეტყველებისა და საუფლო აღთქმის განხორციელება: „მის დროს აყვავდება მართალი და იქნება დიდი მშვიდობა, ვიდრე მთვარე არსებობს. მისი მორჩილები იქნებიან ზღვიდან ზღვამდე და მდინარიდან დედამიწის კიდეებამდე. მის წინაშე ქედს მოიხრიან უწყლო მხარეში მცხოვრებნი და მისი მტრები მტვერს ალოკავენ... ყველა მეფე დაემხოება მის წინაშე, ყველა ხალხი ემსახურება მას“.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარის“ ავტორი ქართველთა მეფის ტახტზე წერს: განამზადეს „საყდარი დავითიანი, რომელი პირველ მთოვარისა განამზადა მეფეთ-მეფემან საბაოთ ელოიმ (ცაბაოთ უფალმა – ღმერთმა), სამფლობელოდ ზღვითი-ზღუამდი და მდინარითგან კიდემდი სოფლისა“¹¹⁶ (შდრ. ფსალმუნის „ზღვიდან ზღვამდე და დედამიწის კიდეამდე“). ამავე წინასწარმეტყველებაზეა საუბარი „ისტორიათა და აზმათას“ ავტორთანაც შემდეგ მონაკვეთში, სადაც ქართველი დიდებულები რუსუდან დედოფალს მიმართავენ, რათა თამარმა დაიკავოს სამეფო „კიდეამდე ქუეყანისა და მეფობდეს იგი ზღვითი-ზღუამდე“¹¹⁷ (იხ. აგრეთვე აღმაშენებლისა და ლაშა-გიორგისდროინდელი ისტორიკოსები).

სხვა გვერდებზე ქართველი მემატყიანეები აღფრთოვანებული გვიამბობენ ამ წინასწარმეტყველების იმ ნაწილის აღსრულების შესახებ, რომლის თანახმადაც ზღვიდან ზღვამდე და სოფლის კიდეამდე მპყრობელ დავითიან მეფეს, აღთქმისამებრ, ყველა მეფე ეთაყვანება, ქართველთა მეფის ჩრდილქვეშ შემოკრებილა ყოველი სოფელი: ბერ-

¹¹⁶ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, ტ. 2. თბილისი, 1959, 115.

¹¹⁷ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, ტ. 2. თბილისი, 1959, 26.

ქენნი და ფრანგნი, ჰრომნი და ალემანნი, აბაშნი და ხონელნი, სომეხნი და შარვანელნი... მაშრიყით მალრიბამდე.

საინტერესო ისაა, რომ ეს შეხედულება აისახა თვით მუსლიმურ ენშებშიც, სადაც ქართველთა მეფის ერთ-ერთი ნოდებაა „ახდენა ქრისტიანთა წინასწარმეტყველებისა“.

ჯვაროსნული ეპოქის ევროპელ ავტორებს საქართველოსთან, როგორც ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან, ჰქონდათ ერთიანობის განცდა, რადგანაც ისინი მიიჩნევდნენ, რომ ბერძნებისაგან განსხვავებით, რომლებიც მათი აზრით, ისეთი მწვალებლები არიან, რომ „მათზე ღმერთსაც კი გული ერევა“, ქართველები „კარგი ქრისტიანები“ არიან. XIII საუკუნის ფრანგი პოეტი, გოტიე მეცი წერს:

„ქართველები არიან კარგი ქრისტიანები,
გეორგიელი არის მათზე სახელნადები,
რადგან წმინდა გიორგი არის მათთვის სარდალი,
როცა წარმართთა ჯარებს ესხმის მათი ლაშქარი,
ამიტომაც მისი კულტი მათთვის არის მთავარი“.¹¹⁸

აღწერილი ქრისტიანული იმპერია მრავალგვარად შთააგონებდა დასავლეთევროპელებს. ფრანგ მეხოტბეთა შემოქმედებაში არსებობდა თქმა – „საქართველოს მეფესავით მდიდარი“. „პარციფალშიც“, კავკასიაში დახვავებული ოქრო-ვერცხლისა და უძვირფასესი ოქროქსოვილების სახით სწორედ „ოქროს ხანის“ საქართველოა არეკლილი. გმირთა ამ ეგზოტიკურ მიწაზე მოხვედრა თავგადასავალთა მაძიებლების ოცნება იყო. ევროპაში არსებობდა დიდი ინტერესი ამ საკვირველებათა მიწისადმი, ასევე სურვილი აქაურთა გაცნობისა და მათი ცოდნის ათვისებისა. შუა საუკუნეების ერთ-ერთი ევროპული სიმღერის გმირი ვილანდი მჭედლო-

¹¹⁸ Langlois V., Numismatique de la Géorgie au Moyen âge, Paris, 1852, 43.

ბას სწორედ ქართველთა მეფისგან კავკასიაში სწავლობს.¹¹⁹

ქართველ მეფეთა სახელი ევროპაში იმდენად შორს იყო გავარდნილი, რომ თვით ირლანდიელებიც თავიანთი მეფეების წინაპრებად „სახელოვან“ ქართველთა მეფეებს მიიჩნევდნენ. ამაზე მოგვითხრობს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობი ძეგლი „Lebor Gabala Erenn“, ანუ „ნიგნი ირლანდიის ალების შესახებ“, რომელიც XI საუკუნის კრებულია, სადაც გაერთიანებულია ირლანდიური ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუში. ამ საყურადღებო ძეგლში ნაამბობია ირლანდიელ მეფეთა ლეგენდარულ წინაპართა (მილის ძენი) და მამამთავრების მითური მოგზაურობის შესახებ ქართლიდან ეგვიპტემდე და ეგვიპტიდან ირლანდიამდე: „რა არის ჭეშმარიტი ისტორია მილის ძეთა შესახებ? მათი მოდგმა წარმოდგა ხალხისგან, რომელიც არის სომხეთის მთიანეთში,¹²⁰ სახელად იბერი. მათ ჰყავდათ სახელოვანი მეფე, მილი, ძე ბილისა, ძისა ნემასი. მას ეპყრა მეფობა მისი მამის ძმის სანინაალმდეგოდ, რეფლიორისა, ძისა ნემასი. და ის წავიდა ოთხი გემის თანხლებით სამოგზაუროდ, იყო თხუთმეტი დაქორწინებული წყვილი თითო გემზე. და დამატებით უცოლო დაქირავებულები. ჰყავდათ ორი სახელოვანი წინამძღოლი, უიკკე და ოიკკე. ისინი გაემართნენ კასპიის ზღვისკენ, გარეშე ოკეანისკენ, და მივიდნენ აზიის სამხრეთ აღმოსავლეთით, კუნძულ თაფრობანეზე. სამი თვე გაატარეს იქ, სამი სხვა თვე ზღვაზე და ბოლოს მიაღწიეს ეგვიპტეს“.¹²¹

¹¹⁹ Guessard M., *Les Anciens Poetes de la France*, Paris, 1860, 20.

¹²⁰ საქართველოს მდებარეობის მსგავსი განსაზღვრა გვხვდება სხვა წყაროებშიც: „ქუეყანა ქართლისა სომხითისა მთელეთისა სანარმართო“. იხ., ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული, თბილისი, 1942, 49.

¹²¹ Macalister R.A.S., *Lebor Gabala Erenn: The Book of the Taking of Ireland*, Vol.5, Dublin, 1956, 49.

თამართან ქორწინება ევროპელი უფლისწულებისთვის იმიტომ უნდა ყოფილიყო მიმზიდავი, რომ ეს არა უბრალო ქორწინებას, არამედ აღმოსავლურ, მონათესავე ქართულ ჯვაროსნულ-რაინდულ კულტურასთან ზიარებასაც ნიშნავდა, რადგანაც საქართველო საერთოდ და მისი მეფე პიროვნულად რაინდული სულისკვეთების მქონედ იყო წარმოდგენილი. ზემოთ ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. საქართველოს ჯვაროსან მეფესთან ქორწინების ეს სურვილი ევროპაში მოგვიანებითაც არსებობდა. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობ ძეგლში, XIII საუკუნის ფრანგი პროზაიკოსის, რეინბერტის ნაწარმოებში აღწერილია აკვილეს პრინცესას ასეთი სიზმარი: „ჩემი შიმუნვარების (სეფექალების) გარემოცვაში ვიყავი. დიდი დღესასწაული და ლხინი იყო, მეზმანა, რომ ქართველთა მეფე მოვიდა ჩემთან, სომხეთის ტყეებიდან. შავი ქუდი ეხურა, მუჭზე შევარდენი ჰყავდა დასმული. ამხელა შევარდენი არასოდეს მინახავს. მითხრა, ქალბატონო, წლებია ვიბრძვი, რათა ვიქორწინო შენთან ჩემი ქვეყნის წესის მიხედვით. მე ვუთხარი: სირ, კურთხეული იყოს თქვენი მოსვლა... მაშინ მან ამიყვანა თავის მკლავებით, მომასხა თავის წამოსასხამი და ამამხედრა“.¹²²

პრინცესას ეს ოცნებები კარგად გამოხატავს იმ რომანტიკულ ლტოლვას, რომელიც მოცემული პერიოდის ევროპაში საქართველოსთან და მის გმირად წარმოდგენილ მეფესთან დაკავშირებით არსებობდა. მის ზმანებაში არა უბრალოდ ქართველთა მეფესთან ქორწინებაზეა საუბარი, არამედ ქორწინებაზე ქართველთა ქვეყნის წესის მიხედვით, ტრადიციულ ქართულ

¹²² Woledge B., „Reinbert”: A Neglected French Romance of the Thirteenth Century, Medium Evum, Vol.8, N2, 1939.

ქორწილზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს ამ პერიოდის ევროპაში საქართველოსადმი რომანტიკული სწრაფვის მოხდენილი გამოხატულებაა. საბოლოოდ, გაირკვევა, რომ ქალიშვილის საცდუნებლად ეშმაკმა ქართველთა მეფის სახე მიიღო, მაგრამ ეს დეტალი ჩვენთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ ნარატივის მიხედვით ქართველთა მეფის სახე შუა საუკუნეების ევროპელთათვის ყველაზე მიმზიდავია, ამიტომ მას ეშმაკი ევროპელი პრინცესას „საცდუნებლად“ იყენებს. დაახლოებით იგივე იდეა იკითხება ჯვაროსან ისტორიკოსებთან ზემოხსენებულ ბაგრატ კამსარაკანთან დაკავშირებითაც. აკი, ამ „ეშმაკის კერძმაც“ ჯვაროსანთა საცდუნებლად თავი ქართველთა კეთილშობილ მეფედ გაასაღა. ამავე მხრივ საინტერესოა ფრანგი რაინდის, ჟილბერ დე ბუას ცნობაც, რომელიც აღფრთოვანებულია ქართველთა მამაცი მეფის ქარიზმით და აცხადებს, რომ „მათი თექვსმეტი წლის მეფე მსგავსია ალექსანდრესი“.

საყურადღებოა, რომ ქალიშვილის ამ სიზმარში რეალური სიმბოლოებია გამოყენებული. კერძოდ, ქართველთა მეფის მთავარი ატრიბუტი აქ შავი ქუდია, – ზემოთ ჩვენ უკვე დავიმონმეთ შუა საუკუნეების ერთი უცნობი წყარო, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართველებს სხვა ხალხისაგან გამოარჩევდა „თავისებური წაწვეტებული შავი ქუდი“. აკვილეის პრინცესას ნაამბობშიც ქართველთა მეფის შავ ქუდში, ვფიქრობ, სწორედ ამგვარი, პირამიდული თავსარქმელი უნდა იგულისხმებოდეს. წყაროები აქ აღწერენ ისეთ შავ, წაწვეტებულ ქუდს, რომელიც შოთა რუსთაველსა და გიორგი სააკაძეს ახურავთ ყველასთვის კარგად ცნობილ მინიატიურებზე. საგულისხმოა, რომ ებ-

სტორფის განთქმულ მსოფლიო რუკაზე კავკასიის კარის მცველი ქართველები სწორედ ასეთი, პირამიდული ქუდებით არიან გამოსახულნი.¹²³

ევროპელი პრინცესას მონათხრობში ასევე ნათქვამია, რომ ქართველთა მეფის ხელზე სონღული, შევარდენისნაირთა ჯგუფის ფრინველი იჯდა. გამორიცხული არ არის, რომ აქ მთხრობელი შთაგონებული იყოს XII-XIII საუკუნეების ქართული მონეტებით, რომლებზეც ქართველთა მეფე სწორედ მაჯაზე დასმული შევარდენითაა გამოსახული. ქართული შევარდენი რომ მთელ იმდროინდელ მსოფლიოში იყო განთქმული, კარგად ჩანს ჩვენში უცნობი შესანიშნავი ბიზანტიური რომანიდან – „დიოგენის აკრიტასი“, რომელშიც უძვირფასეს საჩუქრებს შორის იხსენიება თორმეტი ქართული (აბასგიური) შევარდენი.¹²⁴

იბნ მანკალის ცნობა კიდევ უფრო დანვრილებითია: „ქართულ შევარდენს ეძახიან ქურჯიას (kurjīyah), არის წმინდად თეთრი. ეს ფრინველი ძალიან იშვიათია და მხოლოდ საქართველოში გვხვდება. ისაა ყველა სხვა შევარდენზე ლამაზი, ძლიერი, დიდი და ცოცხლობს უფრო დიდხანს. ამრიგად, იგი განკუთვნილია მხოლოდ მეფეებისა და სულთნებისთვის, რომელთაც შეუძლიათ მასში ბევრი ფული გადაიხადონ.“¹²⁵

ეს წყარო გასაგებს ხდის აკვილეთის პრინცესას ზმანეზასაც, რომელშიც ქართველთა, ქურჯთა მეფე წარმოდგენილია განთქმულ ქურჯიასთან, ქართულ შევარდენთან ერთად, ისევე, როგორც XII საუკუნის ქართულ მონეტებზეც,

¹²³ თვარაძე ალ., კოლხთა და დერბენტის მცველ ქართველ მეომართა გამოსახულებანი ებსტორფის მსოფლიო რუკაზე, ჟურნალი „საქართველოს სიძველენი“, №2, 2002.

¹²⁴ Sathas K.N., Legrand E., Les exploits de Digénis Akritas: épopée byzantine du dixième siècle: publiée pour la première fois d'après le manuscrit unique de Trébizonde, Maisonneuve et cie, 1875, 35.

¹²⁵ Mamluks and Animals: Veterinary Medicine in Medieval Islam, Housni Alkhatteeb Shehada, BRILL, Nov 9, 2012, 284.

რომელზეც ქართველთა მეფე აგრეთვე ხელზე დასმული შევარდნითაა გამოსახული. ეს ფრინველი თავისი სილამაზით, ძლიერებით, სიდიდითა და დღეგრძელობით საქართველოსა და მისი მეფის სიმბოლოდ მიიჩნეოდა.

ჯვაროსნული ეპოქის წყაროებში ქართველებსა და მის მეფეს მიკუთვნებული აქვთ ეპოქის თითქმის ყველა სათნოება – კარგი ქრისტიანობა, წმინდა მიწის განსაკუთრებული ერთგულება, სიმამაცე და მაღალი ბრძოლისუნარიანობა, თავაზიანობა, სხეულის მომხიბლავი აგებულება, სილაღე, სიმდიდრე. ამასთანავე, მიიჩნეოდა, რომ ეს რჩეული ხალხი ევროპული ცივილიზაციის საზღვრებს იცავდა. მრავალრიცხოვან ჯვაროსნულ წყაროებში ასახული ქართველთა მახასიათებლები მთლიანობაში ეწერებოდა ევროპულ ჯვაროსნულ იდეალში. ჩვენ ზემოთ საკმარისი ადგილი დავუთმეთ იმის ჩვენებას, რომ ასეთივე მაღალი წარმოდგენა ჰქონდათ საკუთრივ ქართველებსაც ევროპულ ჯვაროსანთა შესახებ, რადგანაც ჯვაროსნულმა მოძრაობამ დასაწყისშივე განსაზღვრა ქართული სახელმწიფოს განვითარების გეზი. ამ თვალსაზრისით, ინტერესს მოკლებული არაა, რომ სარკინოზთა ლაშქარში, რომელიც 1098 წელს ანტიოქიასთან გამოჩენილ ჯვაროსნებს დაუპირისპირდა, წყაროები გამოარჩევენ ერთ-ერთ ყველაზე ბრძოლისუნარიან და კარგად შეიარაღებულ ჯგუფს – „აგულანელებს“, რომლებიც, მკვლევართა აზრით, კავკასიის ალბანეთის ტერიტორიაზე (სომხურად „ალუან“/„ალუან“) მომთაბარე სელჩუკები უნდა ყოფილიყვნენ.¹²⁶ დავითის ისტორიკოსი კავკასიელი სელჩუკების შესახებ წერს: „ესოდენ დიდი იყო ძალი და სიმრავლე მათი, რომელ სთქუამცა, „თუ ყოველი თურქობა

¹²⁶ Sandell M., *Muslim Men in the Imagination of the Medieval West*, The University of Edinburgh, 2018, 103.

ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო“.¹²⁷ ჯვაროსნული წყაროების მიხედვითაც, კავკასიელ სელჩუკთა შენაერთი ანტიოქიასთან ბრძოლისას ერთ-ერთი მოზრდილი, კარგად შეიარაღებული და ძლიერი იყო. 1098 წელს ანტიოქიასთან ჯვაროსნებმა სწორედ მათ და მათ მოკავშირეებს აგემეს გამანადგურებელი მარცხი. მეტიც, ანტიოქიასთან, სადაც დიდი სელჩუკური კოალიცია შეიკრიბა, ჯვაროსნებმა გაანადგურეს უშუალოდ საქართველოში მომთაბარე სელჩუკები და მათი მეთაურებიც („Qui commandoit quelques places dans la Georgie“).¹²⁸

ეს კი ახლებურად და თითქოს უფრო გასაგებადაც აჟღერებს დავით აღმაშენებლის მემატინანის ცნობას: „კუალად ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შენევნითა ღვთისაითა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით, განამრავლა სპანნი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“.¹²⁹

1098 წელს ანტიოქიასთან ჯვაროსნებმა უდიდესი დარტყმა მიაყენეს აღმოსავლეთის ისლამურ ძალებს. მათ შორის, კავკასიაში და უშუალოდ საქართველოში მომთაბარე სელჩუკების ელიტურ შენაერთებსაც, რომლებიც ქართული სახელმწიფოს განვითარებისთვის მთავარ წინაღობას წარმოადგენდნენ. ამგვარად, ჯვაროსნული მოძრაობა იმთავითვე კეთილისმყოფლად აისახა ქართულ სახელმწიფოზე, როგორც გაშუალებულია, გეოპოლიტიკური ვითარების სასარგებლო ცვლილებით, ისე უშუალოდაც, კავკასიაში ფეხმოკიდებული მომთაბარეების ელიტური დანაყოფების ანტიოქიას-

¹²⁷ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული, თბილისი, 1942, 206.

¹²⁸ L'esprit des Croisades, Tome 4, Paris, 1785, 139.

¹²⁹ იქვე. 211.

თან განადგურებით. ჩანს, სწორედ ეს ორმაგი შედეგი აძლევს მყარ საფუძველს მემატრიანეს, როდესაც ახალი საქართველოს დაბადებას სწორედ ჯვაროსნული მოძრაობის დაწყებას უკავშირებს. საქართველოსთვის ჯვაროსნული მოძრაობის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობაში პოულობს ბუნებრივ ახსნას ის გარემოება, რომ ქართველებში ჯვაროსან რაინდებზე საგმირო სიმღერებიც კი ითხზებოდა, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ჯვაროსნული ომების ისტორიკოსი უილიამ ტირელი წერს, რომ გაძლიერებული საქართველოს გამუდმებულმა თავდასხმებმა სელჩუკებზე ჯვაროსნებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ქართველთა შთამბეჭდავი სამხედრო წარმატებების წყალობით, თურქმენტა მარბიელი ლაშქრობები ჯვაროსნული სამყაროს წინააღმდეგ შესუსტდა. თუ უილიამს ბოლომდე ვერწმუნებით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საერთოდაც შეწყდა.

„აღმოსავლეთში ლათინების პირველი გამოჩენიდან იერუსალიმის სამეფოს არსებობის მეორმოცე წლამდეც კი, ქრისტიანები ვერაფრით გათავისუფლდნენ ამ სატანჯველისაგან, ეს გახლავთ ჰიდრაზე გაცილებით მეტი უბედურება, რაც მეტ თავს კვეთ მას, კიდევ მეტი სისწრაფით ამოდის ახალი. ლამის ყოველ წელიწადს სპარსეთის სიღრმეები აურაცხელი რაოდენობით გადმოანთხევდნენ ამ საზარელ ხალხს და ისინი ფარავდნენ ქვეყნიერების თითქმის მთელ ზედაპირს. მაგრამ ჩვენმა ტანჯვამ ღვთაებრივი განგებაც შეძრა და მისმა მოწყალებამ სპარსელთა ამპარტავნული თავხედობის წინააღმდეგ ალაზვეა მათი მოწინააღმდეგე სამეფო იბერთა მოდგმის სახით. ღვთის მადლით, მუდმივი გამარჯვებებით ეს ერი ისე გაიზარდა და გაძლიერდა, რომ მათ გატეხეს და დაამხვეს სპარსელ-

თა ამპარტავნება. ადრე ამ ერს თვითონ ეშინოდა სპარსელებისა, ახლა კი ისინი ბევრად აღემატებიან სპარსელებს ძალითა და სამხედრო გამოცდილებით. ამგვარად, სპარსელები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში შორეულ სამეფოებსაც კი შიშის ზარს სცემდნენ, ახლა იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ თავიანთი სამფლობელოების საზღვრებში დროებითი მშვიდობა მაინც თუ ექნებათ. იბერიის სამეფო ჩრდილოეთით მდებარეობს. ის აგრეთვე აფხაზეთის სახელითაა ცნობილი. იბერიელები სპარსელების მეზობლები არიან. გამოირჩევიან მაღალი აღნაგობით, უაღრესი სიძლიერითა და მხედრული თვისებებით. ხშირი ომებითა და განუწყვეტელი თავდასხმებით მათ გატეხეს სპარსელთა ძალები. ისე რომ, ეს უკანასკნელნი თავიანთ თავს მათ ტოლად უკვე აღარ თვლიდნენ. ამიტომ, თავიანთი მდგომარეობით შეშფოთებულებმა, თავი დაანებეს სხვა ქვეყნების რბევასა და ძარცვას“.¹³⁰

ჯვაროსნული ეპოქის ეს ერთ-ერთი საუკეთესო ავტორი მიიჩნევს, რომ ჯვაროსნული სამეფო-სამთავროების გათავისუფლება თურქების (აქ: სპარსელების) მრავალრიცხოვანი მარბიელი რაზმებისაგან ქართველთა წარმატებული ბრძოლების შედეგია, მაგრამ საქართველო ჯვაროსნულ ცენტრებს საკმაო მანძილით იყო დაცილებული, ამიტომაც, ერთი შეხედვით, საეჭვო ჩანს, რომ ჯვაროსნული სამყაროსთვის თურქთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლებს ისეთი გარდამტეხი ხასიათი ჰქონოდა, როგორც ამას უილიამი წარმოგვიდგენს, თუმცა, გაუგე-

¹³⁰ თვარაძე აღ., იბერები გიომ ტიროსელის ქრონიკაში, წიგნში: საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბილისი, 2008, 183; Guillaume de Tyr Chronique, édition critique par R.B.C. Huygens, Typographi Brepols, 1986, 63.

ბარია, რატომ უნდა იყოს იგი მიკერძოებული ქართველთა სასარგებლოდ. როგორც ცნობილია, კავკასია (განსაკუთრებით, დღევანდელი აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორია) დასავლეთისკენ სელჩუკთა ექსპანსიის ბაზა იყო. აღმაშენებლის ისტორიკოსი სწორად შენიშნავს, რომ თითქოს მთელი მსოფლიოს თურქობა აქ იყო შემოკრებილი: „ესოდენ დიდი იყო ძალი და სიმრავლე მათი, რომელსთქუამცა, „თუ ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო“. იგივე სინამდვილე ასახულია საკუთრივ თურქი ხალხის ნაციონალურ ეპოსში – „დედე ქორქუთის“ წიგნშიც. სწორედ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ხდებოდა მათი მრავალრიცხოვანი ურდოების მიერ ქრისტიანული სამყაროსკენ მასობრივი ექსპანსია. ვფიქრობ, ამას უნდა გულისხმობდეს უილიამიც, როდესაც წერს, რომ „სპარსეთის სიღრმეები“ ურიცხვ მომთაბარეებს აღმონთხევდნენ ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ, რომელთაც ქრისტიანები ვერ უმკლავდებოდნენ. დავით აღმაშენებლისა და მის მემკვიდრეთა ეპოქალური სამხედრო გენიის წყალობით, საქართველომ სრულად გაანეიტრალა მომთაბარეთა ეს პლაცდარმი. დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის თითქმის მთელი ტერიტორია ქართულმა ლაშქარმა დაიკავა. შესაბამისად, ამიერიდან შეუძლებელი იყო „სპარსეთის ამ სიღრმეს“ კვლავაც აღმონთხია ურიცხვი ურდო ჯვაროსნული სამყაროს წინააღმდეგ. ამიტომაც უილიამი მართალია, როდესაც შენიშნავს, რომ ქართველთა სამეფოს აღზევებამდე ამ პლაცდარმიდან უწყვეტად მოედინებოდა ჯვაროსანთა დამთრგუნველი ძალა. ქართველებმა მოშალეს ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ თურქმენტა – „სპარსთა“ ექსპანსიის ეს ბაზა, რამაც, უილიამის შეფასებით, ჯვაროსნებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

ამავე მოვლენას ოტო ფრაიზინგელი აღიქვამს, როგორც პრესვიტერ იოანესგან „სპარსთა“ ცენტრ ეკპატანა/ანი-სის აღებას. ვფიქრობ, ამავე ისტორიულ სინამდვილეს გულისხმობს ქრისტეს საფლავის ფრანგი ბერი ანსელუსიც, როცა წერს, რომ ქართველთა მეფეები დავითი და დიმიტრი იცავენ ქრისტიანულ სამყაროს აპოკალიფსური გოგ-მაგოგელებისგან. საკვლევ ხანაში, ეს ხალხი სწორედ სელჩუკებთან იგივედებოდა. მართალია, ანსელუსთან საუბარია კასპიის, კავკასიის კარიბჭეზე, რომელსაც ქართველთა მეფენი იცავენ, მაგრამ მიიჩნეოდა, რომ სელჩუკები სწორედ ამ ბჭიდან გამოვიდნენ, რადგანაც ქრისტიანულ სამყაროზე თავდასხმის პლაცდარმი მომთაბარე თურქმენებისთვის მახლობლად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იყო. ანსელუსის ცნობის რეალური ისტორიული შინაარსიც ქართველთა მეფეებისგან ამ პლაცდარმში აკუმულირებული უზარმაზარი თურქული სამხედრო პოტენციალის განეიტრალებაა, რომელიც უილიამის მიხედვით, ჯვაროსნებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

ნიშანდობლივია, რომ ეს ჯვაროსანი ავტორი აქ ისეთ-სავე სურათს აღწერს, როგორსაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როდესაც ის ჯვაროსნული ლაშქრობების წყალობით საქართველოს გათავისუფლებაზე წერს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ როლები ძალიან მალე შეიცვალა და რა შედეგებიც პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას მოჰყვა საქართველოსთვის – გათავისუფლება სელჩუკი მარბიელებისაგან, იგივე შედეგები მოუტანა ჯვაროსნულ სამყაროს სელჩუკთა წინააღმდეგ ქართველთა წარმატებულმა ბრძოლებმაც, რისი წყალობითაც, უილიამის ჩვენებით, ჯვაროსნებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ.

ქართული და ჯვაროსნული სახელმწიფოების ბედი მჭიდროდ იყო გადაკავანძული ერთმანეთთან. ისინი არა მხოლოდ თავიანთი სახელმწიფოების, არამედ ერთმანეთისთვისაც იბრძოდნენ და ერთის წარმატება მყისიერად აისახებოდა სასიკეთოდ მეორეზე. ეს ძალიან კარგად იცოდნენ ქართველებმა, ამიტომ აღმაშენებლის ისტორიკოსი საქართველოს მოშენებისა და სელჩუკ მარბეველთაგან გათავისუფლების მიზეზად ჯვაროსანთა წარმატებულ ბრძოლებს ასახელებს. ეს ძალიან კარგად იცოდნენ ჯვაროსნებმა, ამიტომ უილიამ ტირელი ჯვაროსნების ამოსუნთქვის და სელჩუკ მარბეველთაგან გათავისუფლების მიზეზად ქართველების წარმატებულ ბრძოლებს ასახელებს. დაბოლოს, ეს ძალიან კარგად იცოდნენ თავად თურქ-სელჩუკებმაც, რომელთა ნაციონალური ეპოსი – „მელიქ დანიშმენდი“ ქართველებს, ისევე როგორც ევროპელებს „ფრანგის“ („ჯვაროსანი“) სახელით მოიხსენიებს. საქართველოში ყოფნისას, შესანიშნავი აღმოსავლეთმცოდნის გოჩა ჯაფარიძის კრებულში გავეცანი ერთ-ერთ არაბულ დოკუმენტს, რომელიც დასავლეთევროპელებს „ქართველის“ სახელით მოიხსენიებს. სამწუხაროდ, ამ და ზოგ სხვა ჩემთვის ძალზე საჭირო ქართულ წიგნზე საზღვარგარეთ ხელი არ მიმიწვდება და მათი ელექტრონული ვერსიების არარსებობის გამო, ამ გამოცემებს ზუსტად ვერ დავიმოწმებ, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ის გარემოებაც კმარა, რომ ჯვაროსნული ეპოქის ერთ-ერთ არაბულ დოკუმენტში ევროპელები ქართველებად იწოდებიან. მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს თურქული ნაციონალური ეპოსი, ხსენებული „მელიქ-დანიშმენდი“, რომელიც ჯვაროსნული ეპოქის ქართველებს „ფრანგს“ – ევროპელს უწოდებს, თუმცა, ერთიანი ქართულ-ჯვაროსნული სამყაროს შექმნას ხელს უშლიდა დიდი სქიზმა. სარწმუნოებრივი განხეთქილების და

მისთვის დამახასიათებელი ფანატიკური ურთიერთსიძულვილის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ქართულ-ჯვაროსნული ერთიანი კულტურულ-იდეოლოგიური სამყაროს ფორმირება. ამიტომაც დავით აღმაშენებლის მოძღვარმა და საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთმა მთავარმა ღვთისმეტყველმა არსენ იყალთოელმა არ გაიზიარა ბერძნული ეკლესიის პოზიცია დასავლეთ ევროპასთან მიმართებით და ბერძენთა მიერ დიპტიქიდან ამოშლილი პაპი ისევ დააბრუნა ქართულ დიპტიქში. თავისი თხზულებების თარგმანებში კი მან გამოტოვა ბერძენი თეოლოგებისაგან ლათინთა-დასავლეთევიროპელთა კრიტიკის მონაკვეთები.

მეორე მხრივ, რომის ეკლესია ცნობს ამ ეპოქის საქართველოს ეკლესიის ყველაზე დიდ წმინდანებს: ეფთვიმე ათონელს, გიორგი მთაწმინდელს, დავით აღმაშენებელსა და სხვ. ქვემოთ წარმოვადგენ ამის შესახებ მეტყველ წყაროებსა და ბიბლიოგრაფიას.

ეფთვიმე ათონელზე: *Eufinium sanctum virum*¹³¹... *monachus abasgo genere stilo*¹³² – ეფთვიმე, წმინდა კაცი... წარმოშობით აფხაზი (ქართველი) მონაზონი („ბალავარის სიბრძნის“ ძველი ლათინური თარგმანების შესავლები).

გიორგი მთაწმინდელზე: *Sanctum... beatum Georgium* – წმინდა და ნეტარი გიორგი (ბონაქორს ბოლონიელის თხზულება „*Thesaurus Fidei*“).¹³³

დავით აღმაშენებელზე: *Tanti regis ! Veri et perfectissimi*

¹³¹ Jean Sonet, „Le roman de Barlaam et Josaphat: Recherches sur la tradition manuscrite latine et française. t.2. La version anonyme française. ptie.1. Texte critique. ptie. 2. Etudes critiques et mise en prose, 1949, 74.

¹³² Pedro bádenas de la Peña, A. Bravo García, Inmaculada Pérez Martín, „Cielo en la tierra“, Editorial CSIC-CSIC Press. 1997, გვ. 228.

¹³³ Khintibidze, Elguja. „The speech of a Georgian holy father at the Byzantine imperial court from a hagiographical work in a thirteenth-century Latin collection“, International Congress of Byzantine Studies, London, 21-26 August 2006, III, 174.

christiani – ასეთი მეფე! ჭეშმარიტი და ყველაზე სრულყოფილი ქრისტიანი (კანცლერ გალტერიუსის თხზულება „Bella Antiochena“).¹³⁴

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ არსებობს ერთი, ჯვაროსნულ-ქართული სამყარო, საერთო საგარეო პოლიტიკური ინტერესებით, ჯვაროსნული ლაშქრობების ლიდერთა საერთო კულტით და საგმირო სიმღერებით, საერთო თეოლოგიით, იდეოლოგიითა და საერთო სიმბოლიკით – ჯვაროსნულ-იერუსალიმური ხუთჯვრიანი დროშით.

შეიძლება დავუბრუნდეთ ცნობას, რომელსაც წიგნის პირველ გვერდზე ნაწილობრივ შევეხეთ და რომელზეც დავთქვით, რომ კვლავ დავუბრუნდებოდით. ქართველები „იმედოვნებენ, რომ ქრისტიანთა ძალისხმევით იერუსალიმის სამეფო დაუბრუნდება [მის მესაკუთრე] ფლანდრიის გრაფებს, რის სახსოვრადაც ისინი თავის ნიშად ატარებენ იერუსალიმის ჯვარს, რომელიც ფლანდრიის ჯვარიცაა“. ყოველივე, ვფიქრობ, გასაგებად ხსნის ქართველთა ამ ღრმა ჯვაროსნული სენტიმენტების მიზეზებს, რომელიც მოცემულ ცნობაში ასე ნათლად იკითხება.

ავით აღმაშენებელი და „ჯვაროსნული თანამეგობრობა“

დასასრულ, ყურადღებას გავამახვილებ სრულიად სხვადასხვა წარმოშობის წყაროთა კიდეც ერთ საგულისხმო თანხვედრაზე. ბალდუინის პანეგირისტი აღნიშნავს, რომ

¹³⁴ Galterii Chancellarii – Bella Antiochena, Jacques-Paul Migne, Patrologiae Cur-
sus Completus: Series Latina: Sive, Bibliotheca ..., Volume 155, 1854, გვ. 1036.

იერუსალიმის ჯვაროსანი მეფე ბალდუინი ინსიგნიებს დავით აღმაშენებლისგან იღებდა.¹³⁵ ინსიგნიებს უზენაესი ხელისუფალი გასცემს. ცხადია, შეუძლებელია ბალდუინსა და დავითს შორის ვასალურ ურთიერთობებს ეარსება, ამიტომ ამ ცნობის რეალური შინაარსი არც ისე იოლი გასაგებია. ზოგიერთი მკვლევრის სამართლიანი შენიშვნით, თუ აქ საპირისპირო იქნებოდა ნათქვამი, კერძოდ, თუკი ინსიგნიებს დავითი მიიღებდა ბალდუინისგან და არა პირიქით, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნებოდა, რადგან იერუსალიმის მეფე ფორმალურად უზენაეს ქრისტიან ხელისუფლად მიიჩნეოდა. მკვლევართა ერთმა ჯგუფმა ეს პრობლემა გაამარტივა და ინსიგნიები, რომელთაც ბალდუინი დავითისაგან იღებდა, უბრალოდ საჩუქრად აქცია, მაგრამ წყაროს ჩვენების ამგვარი ვულგარიზება დაუშვებელი თვითნებობაა. აქ გასაგებადაა ნათქვამი, რომ ბალდუინი დავითისგან მაინცდამაინც ინსიგნიებს – ძალაუფლების ნიშნებს იღებდა, რაც მოწმობს, რომ ქართველთა „თუით მპყრობელის ფლობით მპყრობელი“, ¹³⁶ ანუ იმპერატორისავტოკრატორი უზენაეს ქრისტიან ხელისუფლადაა აღქმული ჯვაროსნულ წრეებშიც, რადგანაც ჯვაროსნული სამთავროების ლიდერი – იერუსალიმის მეფეც კი ძალაუფლების ნიშნებს დავითისაგან იღებს. იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს მკვიდრი, ფრანგი ბერი ანსელუსი დავითს ჯვაროსანთა წინა ბურჯად მიიჩნევს. იგი აქ იერუსალიმის ჯვაროსნულ სამეფოში არსებულ აზრს გადმოგვცემს. ამიტომაც ამ „ჯვაროსანთა წინაბურჯისაგან“ ინსიგნიების მიღება იერუსალიმის ჯვა-

¹³⁵ Rheinhold R. Geschichte des Konigreichs Jerusalem . Innsbruck, Verlag der Wagnerschen Universitats Buchhandlung, 1898, 120.

¹³⁶ იმპერატორის აღმნიშვნელი ძველქართული სიტყვათშეთანხმება, რომელიც დავითისა და თამარის სამეფო ტიტულებში გამოიყენებოდა.

როსანი მეფისათვის დამამცირებელი სულაც არ იყო. პირიქით, ეს დამატებითი ლეგიტიმაცია იყო მისი ხელისუფლებისათვის. ზემოთ უკვე განვიხილეთ ჯვაროსანთა ყველაზე ძლიერი მტრის – ეგვიპტის სულთნის თვალსაზრისი, დაცული თავად ჯვაროსნულ წყაროებში, რომლისთვისაც ქრისტიანულ-ჯვაროსნული სამყაროს ფლაგმანი „ქართველთა უფალი დავითია“. მისი ეს შეხედულება არსებითად ემთხვევა ანსელუსის თვალსაზრისს, რომლისთვისაც დავითი აგრეთვე ჯვაროსანთა წინამძღოლია (აქვე შეიძლება გავიხსენოთ მაგალი თოდუას მუსლიმური ენშებიც, სადაც საქართველოს მეფის ერთ-ერთი წოდებაა „ფარანგის [ჯვაროსანთა] მარზპანი“). ყველა ეს მონაცემი, ვფიქრობ, რაც უნდა წარმოუდგენლად ჟღერდეს, მეტყველებს ერთადერთ გარემოებაზე – ჯვაროსნულ სამყაროში ფორმალურად უზენაესი ქრისტიანი ხელისუფალი დავით აღმაშენებელია. პირველყოვლისა, თავად ჯვაროსანთათვის, შემდეგ, ქართველთათვის (დავითი – „მზე ქრისტიანობისაი“). დაბოლოს, როგორც ვნახეთ, ეს ასეა მუსლიმური სამყაროს გადასახედიდანაც. როგორ უნდა აიხსნას ეს არცთუ მარტივად წარმოსადგენი სინამდვილე? ამისათვის ჯვაროსნული ლაშქრობების გარიჟრაჟს, პირველივე დღეებს უნდა დავეუბრუნდეთ, ვგულისხმობ კლერმონის დიდ საეკლესიო კრებას, სადაც პაპმა ურბან II-მ სრულიად ევროპას მოუწოდა ჯვაროსნული ლაშქრობისკენ და გააცნო სამოქმედო პროგრამა. პაპის სიტყვის ძველ ფრანგულ ვერსიაში მოიპოვება ერთი უმნიშვნელოვანესი მონაცემი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საქართველოს, დავით აღმაშენებელს და მის ეპოქალურ მისიას ქრისტიანული სამყაროს წინაშე. კლერმონში შეკრებილ ევროპელ ხელისუფლებს პაპმა მიზნად არა მხოლოდ იერუსალიმის გათავისუფლება დაუსახა,

არამედ თურქთა უკუქცევა კავკასიის ქედს გადაღმა, რადგან მიიჩნეოდა, რომ აპოკალიფსური მაგოგი, ანუ თურქები სწორედ კავკასიიდან დაიძრნენ. ასეთი წარმოდგენები დასავლეთში ბუნებრივად ჩნდებოდა, რადგანაც ქრისტიანულ სამყაროზე თურქთა ექსპანსიის ბაზა მართლაც კავკასიაში – აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა, რაზეც ასახულია მრავალრიცხოვან ქრისტიანულ და მუსლიმურ წყაროებში. მათ შორის ყველაზე საგულისხმოა თურქული ნაციონალური ეპოსი – „ნიგნი პაპაჩემ ქორქუთისა“, როგორც თურქული ისტორიული მეხსიერების ამსახველი ძეგლი, სადაც თურქი ტომების ექსპანსიის ბაზად სწორედ კავკასია, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაა მიჩნეული. ამიტომ ურბან II-მ ჯვაროსნებს მიზნად დაუსახა არა მხოლოდ წმინდა ქალაქის გათავისუფლება, არამედ თურქული ტომების ექსპანსიის ბაზის მოშლაც კავკასიაში. პაპმა კრებულს ამგვარად მიმართა: „უკუაქციეთ [თურქები] კავკასიის მთის ქვაბულებამდე, საიდანაც ეს ჭირი მოედო მსოფლიოს“.¹³⁷

პაპის სიტყვის სხვა ვერსიებში ეს გეოგრაფიული არეალი დაკონკრეტებულია, როგორც კავკასიის, ანუ „კასპიის ჭიშკარი“, საიდანაც გოგ-მაგოგელნი – თურქები გადმოვიდნენ. ვფიქრობ, მაგოგისა და გოგის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან წყაროებთან შეპირისპირებით ძალიან იოლი გასაგებია, თუ რას გულისხმობს ურბან II თავის სიტყვაში.

პაპ ურბან II-ისგან კლერმონში გამოცხადებული ჯვაროსნული პროექტი ითვალისწინებდა ორ პუნქტს: 1. იერუსალიმის გათავისუფლება; 2. თურქთა უკუქცევა კავკასი-

¹³⁷ Aubert de Poitiers – „DES GUERRES FAICTES“, 1559. იხილეთ ურბან II-ის სიტყვა (ტექსტის გვერდები დაუნომრავია).

ამი, კავკასიის კართან, მათი ექსპანსიის ბაზაშივე, რადგან სხვა ადგილას მათი შეკავება ვერ მოხერხდება. აქ ახალი არაფერია ნაგულისხმევი, თუ არა „ალექსანდრიანის“ კარგად ცნობილი მარშრუტი. შუა საუკუნეების ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანი მრავალმხრივ განსაზღვრავდა მოცემული ეპოქის ევროპელთა კულტურულ იდეებს და წარმოდგენებს სამყაროს შესახებ. ალექსანდრეს აქ მოცემული მითოლოგიზებული ბიოგრაფიის მიხედვით, მან განახორციელა ორი ცივილიზაციური მნიშვნელობის აქტი, რომელიც ამავდროულად შუა საუკუნეების სამყაროს ფუძემდებლური მოვლენა და ცივილიზაციური ათვლის წერტილია. ალექსანდრემ დაამარცხა სპარსელები, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულა და კონტროლი დაამყარა კავკასიის ცივილიზაციურ კარიბჭეზეც. უამისოდ ალექსანდრე მაკედონელის მისია მხოლოდ სანახევროდ იქნებოდა შესრულებული. ჩანს, დაახლოებით ასე ესმოდათ პაპს და ჯვაროსნული მოძრაობის სხვა იდეოლოგებსაც ჯვაროსნული მოძრაობის არსი.

როგორც ვხედავთ, მაგოგის ანუ თურქთა შეკავებაზე კავკასიის აპოკალიფსურ და ცივილიზაციათმორის კარიბჭესთან პაპი საუბრობს, როგორც უმთავრეს ჯვაროსნულ მისიაზე. ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიიდან ვხედავთ, რომ ჯვაროსნებმა შეძლეს პაპისაგან კლერმონში გამოცხადებული ორპუნქტიანი ჯვაროსნული პროექტის მხოლოდ პირველი პუნქტის განხორციელება – წმინდა ქალაქის გათავისუფლება, მაგრამ პროექტის მეორე პუნქტი – თურქთა უკუქცევა კავკასიის კართან, მათ განუხორციელებელი დარჩათ.

„1447 წლით დათარიღებულ რუკაზე („გენოზეს“ – ბ.ჭ.), კავკასიონის ქვეშ გვხვდება კომკები, ხოლო მის ქვემოთ წარწერა: „პრესვიტერმა იოანემ ააგო ეს კომკები, რათა

მოეგერიებინა მომხდური [ბარბაროსები]“.¹³⁸ რეალურად ამ რუკაზე ასახულია კავკასიის კართან ბარბაროსთა უკუქცევა და შეკავება, რაც პაპმა კლერმონის საეკლესიო კრებაზე იერუსალიმის გათავისუფლებასთან ერთად უმთავრეს ჯვაროსნულ მისიად დასახა. წმინდა საფლავის ფრანგი ბერი, ანსელუსი, პარიზის ეპისკოპოსისადმი წერილში ნათლად საუბრობს დავით აღმაშენებლის ამავე მისიის შესახებ. მისი ჩვენებით, საქართველოს მეფე კეტიავს კავკასიის აპოკალიფსურ კარიბჭეს და იცავს ცივილიზებულ მსოფლიოს კავკასიელი წარმართების, გოგისა და მაგოგის, თავდასხმისაგან: „...დავით, რომელსაც მის წინაპრებით, კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს, ეჭირა და დარაჯობდა, რასაც მისი შვილი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო, მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ, ჩვენი წინა ბურჯია“.¹³⁹ ზედმიწევნით ამავეს გვამცნობს აღნიშნული რუკაც, მხოლოდ, საქართველოს მეფის სახელის ნაცვლად რუკის ამ მონაკვეთზე პრესვიტერ იოანეს სახელი წერია. უდავოა, რომ ორივე წყარო აქ ერთსა და იმავე სინამდვილეს ასახავს – პრესვიტერი იოანე (რუკაზე) და მისი ისტორიული პროტოტიპი – დავით აღმაშენებელი (ანსელუსის წერილში) იცავს კავკასიის კარიბჭესთან დასავლურ, ქრისტიანულ კულტურულ სამყაროს მისი ცივილიზაციური მტრებისაგან, ანუ ასრულებს კლერმონის საეკლესიო კრებაზე პაპისაგან განსაზღვრულ უმთავრეს ჯვაროსნულ მისიას. ვფიქრობ, სწორედ ამიტომაა დავითი მიჩნეული თანადროულ წყაროებში ჯვაროსანთა წინამძღოლად და თავად ჯვაროსან ხელმწიფედ.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიის მამები

¹³⁸ Knight, 2017: Newadvent. Org/cathen, prester John.

¹³⁹ ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1925, 17.

წმინდა წერილებზე დაყრდნობით ღვთისმეტყველებდნენ, რომ ბოლო ჟამს კავკასიის ბჭიდან გამოსული ბარბაროსები წარწყმედდნენ ქრისტიანულ სამყაროს და მის დედაქალაქს – იერუსალიმს. ამ წინასწარმეტყველებათა საფუძველზე იგულისხმებოდა, რომ „ბჭენი იერუსალიმისანი“ სწორედ კავკასიის კარიბჭესთან მდებარეობდა, სადაც საქართველოს დიდი ქრისტიანი მეფე იცავდა აპოკალიფსურ კარიბჭეს და შესაბამისად, ქრისტიანულ სამყაროს. სწორედ ამიტომ მიიჩნევს საქართველოს ეკლესიის პირველი კათალიკოსი პეტრე, რომ ქართველთა მეფის თავდადებასა და მსხვერპლზეა დამოკიდებული არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროსა და მისი დედაქალაქის – იერუსალიმის ბედიც. სპარსელებთან ბრძოლის წინ იგი გორგასალს მიმართავს: „იყავ შენ, ვითარცა გაზრახოს ღმერთმან, დაღაცათუ არა მოჰკუდეთ, მოგკუდეთ“. და ამით სიტყვთა ამხილა, ვითარმედ წყობასა მას არა დარჩეს, და რქუა: „არა-ხოლო-თუ ქართლი მიეცეს განსარყუნელად, არამედ იერუსალიმი-ცა, რომელ არს მშობელი ყოველთა შვილთა ნათლისათა“. ამგვარად, არსებობს ქრისტიანული სამყარო – „შვილნი ნათლისანი“, არსებობს ქრისტიანული სამყაროს მშობელი „იერუსალიმი“, და არსებობს საქართველო – „ქართლი“, რომლის მეფეც იერუსალიმის „ნათლის შვილთა“ ზღუდვა.

მოცემული შეხედულებები ქართველთა მეფეებსა და დავით აღმაშენებელზე, როგორც ქრისტიან ხელისუფალთა შორის უპირველესზე, შეჯამდა „ყველაზე დიდი ქრისტიანი ხელმწიფის, პრესვიტერ იოანეს“ ლეგენდარულ ფიგურაში. ამ უკანასკნელ საკითხს ვრცლად ცალკე ნაშრომში განვიხილავ, სადაც ძვირფასი მკითხველი შეძლებს

კიდევ ბევრ უცნობ, შთამბეჭდავ წყაროს გაეცნოს ჩვენი ისტორიის ოქროს ხანის შესახებ, რომელთა წარმოდგენაც აქ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.¹⁴⁰

ართული რაინდული იდეალი

ნაშრომის სხვადასხვა მონაკვეთში ბევრი ვისაუბრეთ იმის შესახებაც, რომ შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა არა მხოლოდ ჯვაროსნული, არამედ რაინდული იდეალებიც, რომელიც დიდ მსგავსებას ამჟღავნებდა შუა საუკუნეების ევროპულ რაინდობასთან. საკითხთა ამ წრის შესანიშნავი მკვლევარი, გულჩინა აკოფაშვილი წერს: „ჯარების წინამძღოლნი ლაშქრობათა დაწყების წინ მიმართავენ რა მეომრებს გამამხნევებელი სიტყვებით, მათ ყურადღებას ამახვილებენ იმაზედ, რომ თუ წარსულში, ვახტანგ გორგასლისა ან თუ დავით აღმაშენებლის დროს, იყვნენ სახელის მაძიებელი მეომარნი, რომელნიც სასიკვდილოდ სდებდნენ თავს ბრძოლის ველზე, რათა „ისტორიისაგან“ ქება და შესხმა დაემსახურებინათ, ახლა დროა გადავაჭარბოთ მათ და ვაჯობოთ – „გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შემსხმელთა“. რაინდობისადმი მიმართულ სიტყვებში, რომელსაც „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი გადმოგვცემს, მივინყებას არ მისცემია არც ერთი რაინდული იდეალი: გარდა წინაპართა საბრძოლო სახელისა და დიდების. მოლაშქრეთ შეახსენებენ იმ გმი-

¹⁴⁰ ბექა ჭიჭინაძე. „ევროპული წყაროები პრესვიტერ იოანეს და სხვა ქართველი მონარქების შესახებ ახალი მასალების მიხედვით“, 2022. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტი.

რებსაც, რომელნიც მიჯნურთა სახელის ხსენებით სდებდნენ თავს ბრძოლის ველზე, ანდა ბრძოლაში თავს სწირავდნენ ქრისტეს ღვანლისათვის: „მოვიგონნეთ ვიეთნიმე სჯულისა და ქრისტეს კუალთა შედგომილებისათვის თავის-მსხმელნი ლანძუთა და ტაფათა და კატაპულტთანი, და ვინმე გმირნი გოლიათნი სახელის მძებრობისათვის არამრიდნი სიკუდილისანი და ვინმე მიჯნურნი და მნათობთა მათთა მოგონებითა ყოვლად უწყალოდ მქნელნი ხორცთა და სულისანი. აჰა, ხელნი ხრმლად და სულნი ღმრთად“. ღვთის მსახურება, გამორჩენილ მეომარ-რაინდის სახელის მოპოვება, მიჯნურისათვის თავის დადება – აი, ის სამი მთავარი იდეალი, რომელსაც თავს უნდა სწირავდეს ჭეშმარიტი რაინდი და რასაც ქადაგებდნენ ქართული რაინდული ლაშქრის მეთაურნი“.¹⁴¹

გიორგი III-ის ეს მიმართვა ლაშქრისადმი შუა საუკუნეების რაინდობის იმდენად დიდებული ჰიმნია, რომ მისი დაყენება ევროპული რაინდული წესდებების გვერდითაც კია შესაძლებელი. მის ქართულ რაინდულ პროგრამაში სხვასთან ერთად საგანგებოდაა გახაზული რაინდისაგან სახელის ძიების მნიშვნელობა (შდრ. რუსთაველს: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“). სწორედ ამავ ეპოქის პრინციპს ეფუძნებოდა ევროპული რაინდობაც. ზოგჯერ, სახელის მოხვეჭისათვის ეს თავდადება რაინდებში ქედმაღლობის ფორმასაც იღებდა. თავმომწონეობა და ქედმაღლობა რაინდული იდეალის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი იყო. ზემოთ ჩვენ დავიმოწმეთ მიქაელ პსელოსის ცნობა, სადაც იგი ქართველებს სწორედ აღნიშნული თვისებით გამოარჩევს: „ეს ხალხი სიმაღლით

¹⁴¹ გ. აკოფაშვილი. „რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში“, 1992, 100-101.

მეათე ფუტს აღწევს და წარბებიც ქედმაღლურად აქვთ შეჭმუხნილი... უმამაცესად მებრძოლი ქართველები, ყველას ახლახან ამოსვლოდა წვერი, და თვით გაფურჩქნილ ყვავილს ჰგავდნენ; მაღალი ტანისა იყვნენ და თანაზომიერნი, თითქოს კანონის მიხედვით მოზომილნი“. ასეთივე შთაბეჭდილება დატოვა ქართველმა რაინდმა – შალვა ახალციხელმა ჯალალ ედ დინზე, რომელსაც მასზე უთქვამს, ადის ტომელს ჰგავს ეს კაციო. ისლამური გადმოცემებით, ადისტომელები მამაცი, მშვენიერი, მაგრამ ამპარტავანი ხალხი იყვნენ.

ქართული ნაციონალური ხასიათის რაინდული იდეალები შთამბეჭდავად აღუწერია დიდ ინტელექტუალსა და ძველი საქართველოს გამორჩეულ მცოდნეს, ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც ძალიან ახლოსაა პსელოსისეულ აღწერასთან. ვახუშტი ქართველებზე წერს: „მწნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მწედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, რამეთუ ვიეთნი ლგ ეჯს იდ ჟამს გაირბენს (აქ შეიძლება გავიხსენოთ მამაკაცის ძველი ქართული სახელები იჩქითი და ჩქარი, რომელნიც სწორედ სწრაფიდან მომდინარეობს. – ბ. ჭ.). სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვსთა სახელთათვს არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვსსა, სტუმართა და უცხოთ მოყვარენი; მხიარულნი, უკჭთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაჲ შეიჭირვიან; უხუნნი, არცა თვსსა და არცა სხვისას კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი [დაგროვებისკენ არ არიან მიდრეკილნი], გონიერნი, მსწრაფლ მიმნდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი... ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმდრებელნი, სირცხვილის მდევარნი, კე-

თილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყვარენი, თვალმგებნი და მოთაკილენი“.¹⁴²

გიორგის III-ის რაინდულ პროგრამაში საგანგებოდაა მოხსენიებული ვახტანგ გორგასალი, რაც შემთხვევითი არაა. „ჭაბუკი გორგასლიანი“ საქართველოში რაინდობის ეტალონის მნიშვნელობით იხმარებოდა, რადგან გორგასალს ისეთი ემბლემური ადგილი ეჭირა ქართულ რაინდულ ტრადიციაში, როგორც ევროპულში მეფე არტურს. ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ სწორედ ქართული რაინდული იდეალების ჰიმნია და არა ვახტანგის რეალური ბიოგრაფია.

კარგად ცნობილია, რომ ევროპული რაინდული ჩვეულების თანახმად, ორთაბრძოლაში მშვილდის გამოყენება უღირს საქციელად ითვლებოდა. გულჩინა აკოფაშვილი ხსენებულ ნაშრომში შენიშნავს, რომ ქართულ რაინდულ ტრადიციაშიც ორთაბრძოლაში მშვილდის გამოყენება უღირს საქციელად მიიჩნეოდა, „ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით ეს მუხთალი საქციელი იყო. ვფიქრობ, ამავე ტრადიციაში თავსდება ქართული რაინდული იდეალების პერსონიფიცირების – ვახტანგ გორგასლისა და ბაყათარის ორთაბრძოლაც. „მუხთალი“ ბაყათარი ისრების წვიმას ასხამს, რომელსაც ვახტანგი „სიფიცხლითა თუალთათა, და სიმახვილითა გონებისათა, და სიკისკასითა ტაიჭისა მისისათა ირიდებდა“. საბოლოოდ, ბაყათარი მის ცხენს დაჭრის, მაგრამ ცხენის დაცემამდე ვახტანგი მისწვდა ბაყათარს და „უხეთქნა ხრმალი და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე“. ამგვარად, ახალგაზრდა რაინდმა მშვილდის გარეშე, რაინდული წესების დაცვით გაიმარჯვა ბრძოლაში. მიუხე-

¹⁴²ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, 31-32.

დავად იმისა, რომ მისი კონკურენტი ამ წესებს პატივს არ სცემდა. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ვახტანგის გარდაცვალების ლეგენდა. იგი ისევ ისრის მუხთალი გამოყენებით იღუპება. საფიქრებელია, რომ მისი ტრაგიკული აღსასრულის ისართან დაკავშირება შემთხვევითი არაა. რაინდი მეფე მოიკლა რაინდული წესების ვერაგული დარღვევით. ვახტანგი აკმაყოფილებს ევროპული რაინდული იდეალის სხვა კრიტერიუმებსაც. მაგალითად, გლახაკთა მოწყალებას. „გორგასლიანის“ მიხედვით მან „განუყო ხუასტაგი დიდ-ძალი გლახაკთა“.

ოვსეთში ლაშქრობისას ვახტანგი თექვსმეტი წლის იყო და უკვე გამორჩეულ რაინდად მიიჩნეოდა, მაგრამ სრულქმნილ ჭაბუკობას ჯუანშერის ჩვენებით მეფემ ოცდაორი წლისას მიაღწია: „მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა; და იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშუენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა“. 21-22 წელი ევროპულ რაინდულ ტრადიციაშიც რაინდად სრულქმნის ასაკია. ზემოთ უკვე განვიხილეთ ჯუანშერის ის ცნობებიც, რომლის მიხედვითაც ვახტანგი იერუსალიმისა და ქრისტიანული სამყაროს მცველია. ეს მისიაც ლოგიკურად ეწერება ევროპული რაინდობის საფუძვლებში. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ჯერაც ყმანვილი ვახტანგი კონტროლს ამყარებს ჩრდილოეთ კავკასიაზე, რომელიც შუა საუკუნეთა მთელ ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროში მიიჩნეოდა აპოკალიფსურ ზონად, რომლის კონტროლზეც დამოკიდებული იყო ცივილიზაციის არსებობა. ამიტომ, მიიჩნეოდა, რომ ქრისტიანულ მითებში რაინდად წარმოდგენილმა ალექსანდრე მაკედონელმა დაამყარა კონტროლი კავკასიონზე, რითაც აღასრულა თავისი ცივი-

ლიბაციური და რაინდული მისია. შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის კარის დაცვა შუა საუკუნეების კულტურულ სამყაროს მთავარ ცივილიზაციურ და რაინდულ ამოცანად მიაჩნდა. ევროპული რაინდული ორდენების გაჩენაც ამავე მიზეზს ემსახურებოდა – ქრისტიანული სამყაროს დაცვას ცივილიზაციური მტრისგან.

როგორც უკვე ვნახეთ, სხვადასხვა ევროპული წყარო დავით აღმაშენებელსა და თამარს მიაწერს კავკასიის კონტროლის ეპოქალურ მისიას. ქართული რაინდული იდეალების პერსონიფიცირება – ვახტანგ გორგასალიც სწორედ კავკასიის დამორჩილებით იწყებს გეოპოლიტიკურ მოღვაწეობას. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ თანამედროვეთა წარმოდგენაში ისინი მიიჩნევიან არა მხოლოდ ჯვაროსნებად, არამედ ქრისტიანული სამყაროს მცველ რაინდებადაც. ამდენად, შუა საუკუნეთა ქართულ რაინდულ მოძრაობას, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ევროპულს, თანამედროვეთა თვალში (როგორც ევროპელ, ისე ქართველთა) გააჩნდა ეპოქალური მისია.

ზედმიწვევითი მსგავსებები ქართულ და ევროპულ რაინდულ ტრადიციებს შორის, რომლის საუკეთესო მაგალითიც „ვეფხისტყაოსანი“ და „ამირანდარეჯანიანი“, ზოგჯერ ისეთი სიზუსტით იმეორებენ ერთმანეთს, რომ გვიბიძგებენ ეს გარემოება ავხსნათ არა მხოლოდ საერთო ფეოდალური საფუძვლებით, არამედ უშუალო შეხების წერტილებითაც მათი ფორმირების პროცესში. ცნობილია, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპა ასპარეზზე გამოსული რაინდული ფენისათვის საკმარისი სივრცეარაა, რადგანაც აქშიდაკოლონიზაციის რესურსები უკვე ამონწურული იყო, ამიტომ ხდებოდა მათი აქტიური გადინება ბიზანტიის იმპერიაში. მეორე მხრივ, ამავე

მიზეზებით საქართველოდანაც მსახურეულ-რაინდული ფენა მეტად მრავალრიცხოვნად იყო წარმოდგენილი ბიზანტიაში. შესაბამისად, ქართველებს ხშირად უწევდათ ევროპელთა გადაკვეთა. ზოგჯერ საერთო სამხედრო შენაერთებშიც მსახურობდნენ. ამდენად, ბიზანტიის იმპერია იყო ის ფართო ასპარეზი ფორმირების პროცესში მყოფი დასავლეთევროპული და ქართული რაინდული ტრადიციებისთვის, სადაც შესაძლებელი იყო, გარკვეულ პუნქტებში ურთიერთგავლენით განვითარებულიყვნენ. ამან შეიძლება ახსნას ის განსაცვიფრებელი მსგავსება ქართულ და ევროპულ რაინდობას შორის, რომელსაც საკითხის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ უვლის.

„მად თაყუანება“ (რაინდად კურთხევა) **საქართველოში**

რაინდობა საქართველოში იმდენად გამოკვეთილ სოციალურ ფენად ჩამოყალიბდა, რომ როგორც ჩანს, რაინდად კურთხევისას აქაც სრულდებოდა საგანგებო რიტუალი, ისევე, როგორც დასავლეთ ევროპაში. გ. აკოფაშვილი ხსენებულ ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს თამარის ისტორიკოსის ცნობაზე ივანეს შესახებ, რომელიც მეფემ ითაყვანა დარბაზის ყმად, ანუ რაინდად. მაგრამ ეს ცნობა რა თქმა უნდა, არაა საკმარისი ამ საკითხზე საერთო აზრის ჩამოსაყალიბებლად. ვფიქრობ, ამ მხრივ საყურადღებოა ცნობები ქართველთაგან ტონზურის ანუ კოჭიკურის ტარების შესახებ. კოჭიკური იყო „ნაპარსი თხემზე“, რომელსაც შუა საუკუნეებში სამღვდლოები და ბერები კურ-

თხევის შემდეგ, კურთხევის ნიშნად იღებდნენ და რომლის განახლებაც პერიოდულად ხდებოდა. ყურადსაღებია, რომ ის როგორც კათოლიკურ, ისე მართლმადიდებლურ ტრადიციაშიც ქრისტიანი სასულიერო პირის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იყო. ევროპული წყაროები საგანგებოდ აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ კოჭიკურს ქართველთა შორის არა მხოლოდ მღვდლები, არამედ მხედრებიც ატარებენ. მხედართაგან ამ აღკვეცის ნიშნის ტარება, ცხადია, ნიშნავს იმას, რომ ისინიც, ისევე როგორც სამღვდელონი, „აღკვეცილი“ არიან და ეკუთვნიან განსაკუთრებულ ერთობას, შეიძლება ითქვას, გამორჩეულსა და საკრალურ დასს.

ჟაკ დე ვიტრის მიხედვით, ქართველი მღვდლები ატარებდნენ წრიულ კოჭიკურს, საერონი კი ოთხკუთხას.¹⁴³ უფრო დაწვრილებითია გერმანელი პილიგრიმის, თიტმარის ცნობა, რომელიც 1210-იანი წლებისთვის წერს, რომ ქართველებს კოჭიკური გრძელ თმაზე აქვთ დატანილი.¹⁴⁴ ანუ თმა კოჭიკურის ირგვლივაა გრძლად ჩამოშვებული. სავარაუდოდ, თიტმარმა თავადაც ასეთი ვარცხნილობა დაიყენა, რადგანაც წმინდა მინაზე იგი თავს ქართველად ასალებდა, რათა ესარგებლა იმ პატივისცემითა და მოკრძალებით, რითაც ქართველები სარგებლობდნენ მუსლიმებისაგან. ქართველ სასულიეროთა და საეროთა კოჭიკურებზე ცნობებს გვანვდიან ალბერიხი, ბართლომე დე სალინიაგო, ფრა სურიანო, ბუშე¹⁴⁵ და კიდევ უამრავი თვითმხილველი. საგულისხმოა, რომ ბურგუნდიაში ჩასული ქართველი ელჩის, ყვარყვარეს მოციქულ ფარსადან

¹⁴³ Collection Des Mémoires... Guizot, 1825, 376.

¹⁴⁴ R. Janin - „Les Géorgiens a Jérusalem”, Revue des études byzantines Année 1913 100, გვ. 212.

¹⁴⁵ იქვე, გვ. 211.

ახალციხელის მთავარი განმასხვავებელი ნიშანიც სწორედ კოჭიკური იყო.¹⁴⁶ ევროპელ ავტორთა მრავალრიცხოვანი ცნობები ქართული სასულიერო და საერო კოჭიკურების შესახებ ზედმინევით დასტურდება ქართული ფრესკების (ახტალა, საყდარი) და წერილობითი წყაროების მონაცემებითაც. ქართული ლექსიკონის მიხედვით, „თხემის ნაპარსთა სამღუდელთა კურთხევის დროს კოჭიკური, ხოლო საეროთა ნაპარსთა ჯენჯი“ ეწოდება.¹⁴⁷ ეს ცნობა რომ კონკრეტულად ქართულ კოჭიკურს ეხება, იქიდან ჩანს, რომ აქ მის ორ სახეზე, საეროსა და სასულიეროზეა საუბარი, რაც ლათინური წყაროების მიხედვით, მხოლოდ ქართველთა შორის არსებობდა.

ზოგი წყარო კოჭიკურს გადაპარსულ თმასაც უწოდებს, როგორც XIV საუკუნის „სამყაროს ხატის“ ჩვენში უცნობი ვერსია, რომელიც ქართველთა საომარ ყიჟინაზეც შეიცავს საგულისხმო ცნობას: „[ამორძალთა ქვეყნიდან] არც ისე შორს სომხეთი და საქართველოა, დასახლებული ქრისტიანი ხალხით, რომლისაც სარკინოზებს ემინიათ. მათი საომარი ყიჟინა არის „ნმიდა გიორგი“. ყველა თავგადაპარსულია და მათი ქალები იბრძვიან მათთან ერთად“.¹⁴⁸

ერთი შეხედვით, მოცემული წყაროები ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში გულისხმობენ მთლიანად ქართველ ერს, მაგრამ ჩვენებების ბოლოს ირკვევა, რომ მათ მხედველობაში ჰყავთ უფრო ვიწრო ჯგუფი, კონკრეტულად ის ნაწილი, რომელიც იბრძვის, ანუ ძირითადად ქართული რაინდულ-მსახურეული ფენა, რომელთაგანაც დაკომპლექტებული იყო ერთიანი ფეოდალური ქართული მონარქიის რაინდული

¹⁴⁶ Histoire des ducs de Bourgogne de la maison de Valois, 1364-1477, Volume 7, Amable-Guillaume-Prosper Brugière baron de Barante, 381.

¹⁴⁷ <https://classes.ru/all-georgian/dictionary-georgian-russian-term-6502.htm>

¹⁴⁸ L'image du monde, Sophie cassagnes-Brouquet, 2003, 80.

ლაშქარი.წმინდა ქართული ტერმინებით თუ ვისაუბრებთ, აქ იგულისხმებიან ქართველი ყმები/მოყმეები. განხილული მრავალრიცხოვანი წყაროების მიხედვით, ისინი ატარებენ კოჭიკურს, ანუ კურთხევისა და აღკვეცის მთავარ ნიშანს. მაგრამ რა სახის აღკვეცას უნდა ჰქონოდა ადგილი ერისკაცთა, მხედართა შორის? პასუხს თამარის ისტორიკოსის მოხმობილ ცნობაში ვპოულობთ. ივანე მხარგრძელმა, რომელიც წყაროებში ამ ხანის ერთ-ერთ მთავარ მოყმედ, ანუ რაინდად მიიჩნევა, გაიარა „ყმად თაყუანება“. ვფიქრობ, სწორედ ამ რიტუალის მიხედვით იღებდნენ ქართველი რაინდები პირველად თავიანთ განმასხვავებელ ნიშანს – ოთხკუთხა კოჭიკურს, რომელიც შემდეგ პერიოდულად ახლდებოდა ხოლმე. საყურადღებოა კიდევ რამდენიმე სხვა ატრიბუტიც, რომელსაც ამ ხანის ავტორები ქართველებს მიაწერენ. მაგალითად, გრძელი თმა-წვერი და შავი სამოსი. ამის შესახებ ვრცლად სხვაგან ვსაუბრობ, აქ კი იმის აღნიშვნით შემოვიფარგლები, რომ შავი ქართველ მხედართა სამოსის ტრადიციული ფერი იყო, რის გამოც თურქული ნაციონალური ეპოსის „წიგნი პაპაჩემ ქორქუთისას“ ზოგ ვერსიაში „შავოსანი“ ქართველის ეპითეტიც კია. ამავე მიზეზით, ერთ-ერთი ფრანგული იტინერარიუმი, ანუ მეგზური, როგორც ზემოთ ვნახეთ, „რუხ ქართველ რაინდებზე“ საუბრობს („chevaliers gris“). ქართველთა ტრადიციულ, შავ ქუდეებზეა საუბარი აკვილეის პრინცი-სასთანაც, როგორც უკვე ვნახეთ და სამყაროს ძველ ფრანგულ აღწერაშიც. განხილულ უცხოურ წყაროებს ქართველ მოყმეთა განსაკუთრებული სამოსის შესახებ ადასტურებს „ვეფხისტყაოსანიც“, სადაც „სამოსი საჭაბუკო“ რაინდის, ჭაბუკის ერთ-ერთი მკვეთრად განმასხვავებელი ნიშანია.¹⁴⁹

¹⁴⁹ „ვეფხისტყაოსანი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 253.

ამგვარად, სხვადასხვა წარმოშობის წყაროთა ურთიერთშეთავსებით წარმოგვიდგება ქართველი რაინდის ასეთი ხატი: მაღალი აგებულების, შავი სამოსით, შავი ქუდით, გრძელი თმა-წვერით და კოჭიკურით. წმინდა გიორგისა და იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშებით. „სარკინოზები მათი ხილვისას ძრწიან“ და ბაჟის გადაუხდელად უშვებენ წმინდა ქალაქში და უფლის საფლავთან.

აშკარაა, რომ ქართველი რაინდის სახის ყველა ეს ელემენტი შთაგონებულია ბერის ტრადიციული, კანონიკური ატრიბუტებით, იქნება ეს გრძელი თმა-წვერი, შავი ქუდი (კუნკული), შავი სამოსი თუ საბერო/სამღვდლო აღთქმის კოჭიკური, უმთავრესი ნიშანი კურთხევისა და აღკვეცილობისა, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა. ყველა ეს სიმბოლო მიაჩნებოდა, რომ ქართველი მოყმეები თავს მეომარ ბერებად მიიჩნევენ. დაახლოებით ისე, როგორც ეს ევროპულ რაინდულ ორდენებში ხდებოდა. მართლაც, განსახილველი ეპოქის ქართული რაინდული ლაშქარი „ქრისტეს მხედრობად“ მიიჩნეოდა. ასეა იგი ნოდებულის დიდგორის ბრძოლის წინ წარმოთქმულ დავით აღმაშენებლის ცნობილ სიტყვაშიც. სწორედ „ქრისტეს მხედრობისა და ბერობის“ ნიშანი უნდა ყოფილიყო საბერო/სამღვდლო აღთქმის ის კოჭიკური, რომელსაც ქართველი მხედრები ატარებდნენ.

ქართველი რაინდის კურთხევის აღწერილობას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ამ ინსტიტუტის სიმბოლოების ბერულ ატრიბუტებთან დიდი სიახლოვის გათვალისწინებით ის ბერად კურთხევის რიტუალის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ამ მონაცემების საფუძველზე ვეცდებით დაახლოებით წარმოვიდგინოთ აღნიშნული რიტუალი.

კოჭიკურის დადება, რომელიც საქართველოში „ყმად თაყუანების“ მთავარი სიმბოლო უნდა ყოფილიყო, საბერო

ტრადიციასთან ანალოგიების გათვალისწინებით, ამგვარად უნდა წარმართულიყო: „სათაყუანებელი“ ანუ აღსაკვეცი მოყმე ჩოქით/მეტანიებით მიუახლოვდება წმინდა საკურთხეველსა და ამბიონზე მდგომ მაკურთხეველ მღვდელმთავარს, ან წინამძღვარს, რომელიც მისი თმის მოსაკვეც სამართებელს დაბლა დააგდებს. აღსაკვეცი სამართებელს აიღებს და ისევ მღვდელმთავარს გაუნვდის, რომელიც ხელმეორედაც გადააგდებს სამართებელს, „აღსაკვეცი მოყმე“ მას ისევ მიანვდის. მღვდელმთავარი მესამედაც დააგდებს სამართებელს. ამჯერადაც, აღსაკვეცი კვლავ მიანოდებს მაკურთხეველს სამართებელს, ნიშნად იმისა, რომ მტკიცედ სურს შეუდგეს ქრისტეს მხედრის გზას. ამის შემდეგ მღვდელმთავარი შემდეგი ლოცვით დაიწყებს მოყმის თხემზე ოთხკუთხა კოჭიკურის, ანუ ჯვენჯის ამოპარსვას: „აჰა, ესერა ხელისაგან ქრისტესსა მიიღებ ამას, იხილე და იკრძალე. „ძმაი ესე ჩუენი (სახელი) მოიკვეცს თმასა თავისა თვისისასა სახელითა მამისათა, ამინ, და ძისათა ამინ, და სულისა წმიდისათა, ამინ. ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ, ვსრქუათ ყოველთა ამისათვის და სულისა წმიდისათა ვსრქუათ“. ბოლოს უნდა მომხდარიყო იარაღის კურთხევა, როგორც ეს ფავნისის ფრესკაზეა ასახული და მისი საზეიმო გადაცემა „გორგასლიანი ჭაბუკის“, რაინდისათვის, რომელიც უკვე „გიორგის ყმად, მონშიდარ მოყმედ“ იყო განათლული. მისი ცხოვრების რაინდული პროგრამა ანუ მოყმის „სახილველი და საკრძალველი“, რის ნიშნადაც მან წმინდა კოჭიკური მიიღო, მტკიცედ იყო განსაზღვრული, როგორც ეს გიორგი III-ის „რაინდულ სჯულდებაში“ უკვე ვნახეთ, ის შედგებოდა სამი ძირითადი პუნქტისაგან, 1. არამრილობა სიკუდილისა სჯულთა საღმრთოთათვის. 2. გმირ გოლიათობა სახელის მძებრობისათვის. მოხუეჭა სახელისა უმეტეს ყო-

ველთა მოსახვეჭელისა. 3. უწყალო ქმნა ხორცთა და სულთა თვისთა მნათობთა მიჯნურთათვის.

ღვთისათვის, სახელისათვის, მიჯნურისათვის! ძალისხმევის ამ სამ დაუღვენელ წყაროში – ღმერთში, საკუთარ ღირსებასა და მიჯნურში პოულობს ქართველი რაინდი ძალას. ძალას დიდგორისთვის, შამქორისთვის და ბასიანისთვის, ძალას იერუსალიმისთვის.

ქართველ მეომარ ბერთა სახე მრავლისმეტყველადაა განზოგადებული პრესვიტერ იოანეს ფიგურაში, რომელიც ერთდროულადაა მებრძოლიც და სასულიერო პირიც.

დასასრულ, მინდა მოვიხმო სოლმის გრაფ იოჰანის ცნობა, რომელიც ბრწყინვალედ აჯამებს ძველი ქართული რაინდული ტრადიციის მთელ ისტორიას: „ეს მამაცი და მძლავრი მოდგმაა, ჰყავს რაინდები და ომის დროს მრავალი მეომარი გამოჰყავს. ამიტომაც მათ მეზობელ სარკინოზებს, სპარსელებს, მიდიელებსა და ასურელებს ქართველების ეშინიათ. თუმცა ქართველთ ირგვლივ ურწმუნოები ახვევია, მაგრამ ეს არ აშინებთ. პირიქით, მეზობელი ხალხები ცდილობენ, რომ არ გააღიზიანონ“.¹⁵⁰

¹⁵⁰ ალ. თვარაძე, „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში...“, 2004, 172.

აღბომი

წინამდებარე აღბომში მოცემულია შუა საუკუნეების უცნობი დასავლეთევროპული და ბიზანტიური მინიატიურები ქართველთა შესახებ. მათ შორის გამორჩეულად ღირებულია დავით აღმაშენებლის უნიკალური ძველი ფრანგული მინიატიურები. საერთოდ, შუა საუკუნეების მინიატიურები წერილობით წყაროთა გვერდით მნიშვნელოვნად მიიჩნევიან. ცხადია, მათი პორტრეტულობა და რეალობასთან შესაბამისობა ყოველთვის სასურველად ზუსტი არაა, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ამა თუ იმ გამოსახულებით შუა საუკუნეების ევროპულ აუდიტორიაში ხდებოდა კონკრეტული ისტორიული სინამდვილისა და პერსონათა ვიზუალიზება, რაც განსაზღვრავდა ამ ეპოქის წარმოდგენებს. შესაბამისად, მოცემული მინიატიურების სახით გვაქვს ის ხატები, რომელნიც შუა საუკუნეების ევროპელთა წარმოდგენებში ქართველთა ვიზუალიზების სტიმულატორის როლს ასრულებდნენ. ქართველთა ფიგურებისა და სილუეტების წარმოდგენა საუკუნეთა განმავლობაში დასავლეთ ევროპაში სწორედ მოცემული ვიზუალური მონაცემებით ხდებოდა.

აღბომში ამ ეტაპზე ვერ შევიტანე ფილიპე III-ისა და ქართველი ელჩების მინიატიურა. სამწუხაროდ, ჩემი მოკრძალებული ფინანსური რესურსი, რომელიც მთლიანად ამ კვლევა-ძიებით საქმიანობას დავუთმე, ყველა მინიატიურის მაღალი რეზოლუციის დიგიტალური ასლის შესაძენად საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ ამ ერთ-ერთ საინტერესო მინიატიურას ძალიან ვისაკლისებ, მაგრამ უახლოეს ხანებში, ვიმედოვნებ, რომ მის მოპოვებასაც შევძლებ.

დავით აღმაშენებლის
ძველი ფრანგული მინიატიურა – XIV ს.



დავითი აქ წარმოდგენილია ლურჯ ჯუბაში შემოსილი მძიმედ შეაბჯრული მხედრის სახით, ჯვრისჭრილიანი მუზარადითა და გვირგვინით, რომლის ცენტრალური ქიმიც აგრეთვე ჯვარია. მეფეს მახვილი აქვს შემართული. ევროპელ მხატვარს სურდა ღირსეული და ძლევამოსილი, ანტიკურ გმირს დასადარი მხედრის დახატვა, რადგანაც თავად ტექსტი, რომლის ილუსტრაციაც ეს მინიატიურაა, დავითს ასეთად წარმოგვიდგენს. მოცემული მინიატიურა XII საუკუნის ფრანგი ავტორის – ბენუა დე სან მორის თხზულების „ტროას რომანის“ ილუსტრაციაა. ამ ავტორის ცნობებზე წიგნში უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ. დავითის გამოსახულების ზემოთ მოთავსებულია ძველი ფრანგული წარწერა: „Li rois de jorgie, qui Daut estoit appeles“ – „მეფე საქართველოსი, რომელსაც დავითი ერქვა“.

დავით აღმაშენებლის მეორე,
ძველი ფრანგული მინიატიურა:



ეს მინიატიურა ზემოთ განხილულის გვერდითაა მოთავსებული და ასახავს ბენუას თხზულების იმ მონაკვეთს, სადაც ქართველთა მეფე დავითი და მისი დიდებულები იხსენიებიან. აქ მეფე გამოსახულია მუზარადის გარეშე, ნათელი სახით, გრძელი თმით, ჯვრისქიმიანი გვირგვინით და მენამული ქლამიდით. მხატვარს აშკარად სურდა მორჭმული ხელმწიფის გამოსახვა, როგორადაც იგულისხმება დავითი ბენუას ტექსტში. მეფე აქ თითქოს ილიმის და გვახსენებს მემატიანის ცნობას მასზე: „სანადელ ღიმილითა“.

დავით აღმაშენებლის ერთადერთი სარწმუნო ქართული გამოსახულება – გელათის ფრესკა, XVI საუკუნეს განეკუთვნება. ამიტომ დავითის ეს უნიკალური მინიატიურები შესაძლოა მეფის უძველეს გამოსახულებებად მივიჩნიოთ.

საქართველო – XIV საუკუნის ფრანგული მინიატიურა:



მოცემული მინიატიურა ჰაიტონის ისტორიის XIV საუკუნის ფრანგული ხელნაწერის ილუსტრაციაა და აღწერს ქართველთა სამეფოს „Royaume de Jorgie“.

საყურადღებო ისაა, რომ აქ მოცემულია საქართველო, როგორც მთლიანობა, თავისი ფლორით, ფაუნით, ქალაქებითა და მოსახლეობით – თავად ქართველებით. ამიტომაც ამ გამოსახულების ღირებულება ძალიან მაღალია.

ლაშა-გიორგი, XV საუკუნის ხელნაწერი:



ლაშას ეს მინიატიურა ფრაგმენტულია, მაგრამ მაინც საგულისხმო. გამოსახულება XV საუკუნეში ანჟუში გადაწერილი ხელნაწერის ილუსტრაციაა და ასახავს XIII საუკუნის ათიან წლებში ქართველთა მეფის სამხედრო წარმატებებს. ქრონიკაში ლაშა მოიხსენიება, როგორც „Rex Georgianorum potentissimus“ – „ქართველთა ძლევამოსილი მეფე“. იგი აქ ქართული ლაშქრის წინამძღოლადაა წარმოდგენილი.

ქართველთა და მონღოლთა ბრძოლა, XIV საუკუნე:



ეს ბრწყინვალე ფრანგული მინიატიურა, რომელიც 1220 წელს მონღოლთა და ქართველთა ბრძოლას ასახავს, ჰაიტონის ისტორიის ილუსტრაციაა და ასურათებს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელიც აღწერს, რომ ქართველებმა და მათმა მეფემ მძვინვარედ შეუტყიეს მონღოლებს, მაგრამ ბოლოს უკუიქცნენ. ქართველები გამოსახულნი არიან მარჯვენა მხარეს. ლაშქრის წინამძღოლი, რომელსაც ფრთიანი ლახტი აქვს შემართული, თავად ლაშა უნდა იყოს. მინიატიურა ძალიან დიდი მნიშვნელობისაა და მონღოლთა და ქართველთა ამ ბრძოლის მთელ საიდუმლოს ინახავს. მონღოლები შეიარაღებულები არიან თავიანთი ტრადიციული მშვილდებით. მეორე მხრივ კი გამოსახულია ქართველთა ლაშქარი და მისი წინამძღოლი, რომელიც მათ ფრთიანი ლახტით უპირისპირდება. XII-XIII საუკუნეებში ლახტი ქართველთა ერთ-ერთი საყვარელი და ძირითადი იარაღი გახდა, როგორც ამას „ამირანდარეჯანიანიდან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“ ვხედავთ. სწორედ ეს სინამდვილეა ასახული მოცემულ მინიატიურაზე. მშვილდისა და ლახტის დაპირისპირებით ამ უნიკალურ მინიატიურაზე განსაზღვრულია დაპირისპირებულ ქართველთა და მონღოლთა ლაშქრის ძირითადი თავისებურებები – ქართველები ხელნართულ ბრძოლას ამჯობინებენ, ამიტომაც ლაშას საცემი იარაღი – ლახტი აქვს შემართული, ხოლო მის გვერდით მდგომ ქართველ მხედარს – მახვილი, მონღოლები კი დისტანციურად იბრძვიან, ამიტომაც მშვილდებით არიან შეიარაღებულნი.

საქართველოს ბუნება, XV საუკუნე:



მოცემულ ხელნაწერში დაცულია ბართლომეუს ანგლიკუსის თხზულება. მისი მინიატიურები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იმითაა, რომ აქ გადმოცემულია საქართველოს დამახასიათებელი კლდოვანი და მთაგორიანი ლანდშაფტი, რომელიც უხვად ირწყვება მდინარეებით.

გიორგი I-ის ცოლი – დედოფალი ალდე და
 მისი ვაჟი – უფლისწული დემეტრე:



სკილიცეს მადრიდული ხელნაწერის აღწერაში წავანყდი ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აღნიშნული ხელნაწერი შეიცავდა არა მხოლოდ გიორგი I-ის, არამედ ბაგრატ IV-ის, ალდეს, დემეტრესა და ქართველი ელჩების გამოსახულებებსაც. მოვალე ვარ, აღვნიშნო, რომ ჩვენში უცნობი ეს რამდენიმე მინიატიურა სკილიცეს ხელნაწერიდან მოვიძიე ჩემს მეგობართან – მედიევისტ ნიკა ხოფერისთან ერთად.

მოცემულ მინიატიურაზე ალდე საკუთარ ვაჟთან ერთადაა გამოსახული.

ბაგრატ IV იმპერატორ კონსტანტინე
IX მონომახის წინაშე:



მთლიანობაში სკილიცეს მადრიდული ხელნაწერი კარგადაა შემონახული, მაგრამ სამწუხაროდ, ბაგრატის გამოსახულება ეკუთვნის ხელნაწერის იმ უიშვიათეს გვერდებს, რომელიც წაშლილია. ბაგრატის გამოსახულება წაშლილია ატენის ფრესკაზეც. ამ ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მეფის გამოსახულებებსაც კი ისტორიულმა ფორტუნამ უიღბლობა არგუნა, თუმცა, გამოსახულება სანახევროდაა წაშლილი და ზოგი დეტალი ნათლად იკითხება. ბაგრატი წარმოდგენილია მაღალი ტანით, შემოსილია მენამული პორფირით და დარქმული აქვს სამკუთხა გვირგვინი. მოცემული მინიატიურა ისტორიკოს ნიკა შონიასთან ერთად მოვიძიე.

ქართველი (აბასგიელი) ელჩები საჩუქრებით:



მინიატიურის აღწერილობაში ნათქვამია, რომ აქ გამოსახულნი არიან აბასგიის დედოფლის, ანუ ბავრატ IV-ის დედის – მარიაშის ელჩები იმპერატორ რომანოზ არგიროსის წინაშე. ელჩების საჩუქრებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცხენები. ქართული ცხენი შუა საუკუნეებში მთელ მსოფლიოში დიდად ფასობდა.

თბილისის მეჩეთი, XIII საუკუნის მუსლიმური მინიატიურა:



ეს მინიატიურა ცნობილი მუსლიმი სასულიერო მოღვაწის – ალ ჰარირი ალ ბასრის თხზულების ილუსტრაციაა. ყურადღებას იქცევს მეჩეთში გამოსახული რამდენიმე კანდელი, რაც გვახსენებს იბნ ჰაუკალის თხზულების XII საუკუნის ერთ-ერთი ჩანართის ცნობას, სადაც აღნიშნულია, რომ ქურჯთა (ქართველთა) მეფე მფარველობდა ისლამურ თემს და იცავდა თბილისის მეჩეთს. ამ ურთიერთნდობის გამოხატულების ნიშნად, ჰაუკალის ინტერპოლატორის გადმოცემით, მეფისთვის თბილისის მეჩეთში რამდენიმე კანდელი ენთო. შესაძლოა აქ სწორედ ეს სინამდვილე იყოს ასახული.

R esume

The flag of Georgia is one of the oldest in the world and its history is particularly interesting, sources give us different information about this problem.

From the 12th century, the Christian Kingdom of Georgia became the leader of the region. Georgian kings believed that they had a great role in the Christian world, therefore, Jerusalem had a great ideological significance for them. Georgian monasteries located here possessed great wealth. Georgian kings cared not only for Georgian monasteries, but also for other holy places in Jerusalem and especially for the tomb of Christ, the Greek Patriarch of Jerusalem Dositheos writes about this, according to him, Georgian kings saved many monasteries.

The cult of Jerusalem was so strong in Georgia that the five-cross flag of Jerusalem became the flag national of Georgia.

The book discusses many unknown sources about the relationship between Georgians and Crusaders. European sources of this era write a lot about the Georgians and their military successes, the crusading world believed that these successes were the common success of Christians against the Saracens. The historian of the Crusades, William de Tyre, writes that the battles of the Georgians against the infidels was very important for the Crusaders. In the book, together with unknown sources are discussed unknown visual materials, medieval European miniatures about Georgians and their kings.

სარჩევი:

შესავალი	4
შუა საუკუნეების ევროპელთა წარმოდგენები ქართველთა შესახებ (ახალი მასალების მიხედვით)	5
ძველი ბულგარული წყაროები საქართველოს შესახებ	27
ქართველი რაინდის შტანდარტი	32
ქრისტეს საფლავი ქართველთა ხელში	36
შუა საუკუნეების ქართველთა წარმოდგენები დასავლეთ ევროპის შესახებ	48
პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურები და საქართველო	61
თამარი და ჯვაროსნული სამყარო ამორძალები და საქართველო	77
ქართველთა მეფის ისტორიული მისია და ამორძალთა დედოფალი	80
ამორძალი ქრისტიანი დედოფალი – სომეხთა დედოფალი?	82
თამარი, იერუსალემი და ტამპლიერები	87
თამარი და შუა საუკუნეების ევროპული რაინდულ-ჯვაროსნული იდეალები	96
პრესვიტერ იოანესა და დინარ დედოფლის ჯვაროსნული სახელმწიფო – შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს პოლიტიკური იდეალი	108
დავით აღმაშენებელი და „ჯვაროსნული თანამეგობრობა“	124
ქართული რაინდული იდეალი	131
ყმად თაყუანება“ (რაინდად კურთხევა) საქართველოში	137
ალბომი	144
Resume	155